# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   შაბათი, 28 თებერვალი   1998 №29 (564)   ფასი 50 თეთრი

# აურზაური სასახლის გამო

## GENS UNA SUMUS?

### დიდოსტატმა ქალებმა პრეზიდენტის არჩევაში მონაწილეობა არ მიიღეს



ზურაბ აზმაიფარაშვილი — საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტს ზურაბ აზმაიფარაშვილს არჩევის დღიდანვე სერიოზული, ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაში ჯერ კიდევ არნახული პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს — შემოირიგოს ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები, რომლებიც გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყრილობაზე აზმაიფარაშვილის პრეზიდენტად არჩევას არ დაელოდნენ და დარბაზში დატოვეს. თუმცა ყველაფერ ამაზე თანმიმდევრობით.**

#### დებიუტი

დებიუტი საკმაოდ მშვიდად წარიმართა. ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ გახსნა ყრილობა და შემდეგ საანგარიშო მოხსენებაში საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც ჭადრაკის ფედერაციამ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გასწია. გარეშე პირისთვისაც არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ ფედერაცია და მისი პრეზიდენტი უქმედ არ ყოფილან და ამ პერიოდში ჩვენს ჭადრაკს არაერთი წარმატება მოუპოვებია. ჭადრაკის სასახლეში განუწყვეტლივ დუღს საჭადრაკო ცხოვრება და, მართალია, ეს ყველაფერი შორსაა იმისგან, რისი სურვილიც აქვთ მოჭადრაკეებს, მაგრამ საჭადრაკო ფედერაცია რომ ბევრს მუშაობს, თუნდაც სხვა სახეობათა ფედერაციების ფონზე, უდავოა. სიტყვის დასასრულს ვაჟა შუბლაძემ აღნიშნა, რომ ეს მისი ბოლო გამოსვლაა, როგორც პრეზიდენტისა და ახალ არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებს. შემდგომ გამომსვლელებმაც აღნიშნეს გარკვეული წინსვლა ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაში და იმისთვის, რომ ამ დროს შუბლაძე ხსნის თავის კანდიდატურას, განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია. ამ ვითარებაში, როცა პრეზიდენტის არჩევნების წინ მხოლოდ ერთი — ზურაბ აზმაიფარაშვილის კანდიდატურა დარჩა, მოვლენების განვითარება მშვიდ და წყნარ ატმოსფეროს გვპირდებოდა.

#### მიტელშპილი

პირველი შუბლაძის განცხადებას აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩხარტიშვილი გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ თუ ასე კარგად მუშაობდა ფედერაცია, პრეზიდენტი რატომ უნდა გადადგესო. ამას მყისვე მოჰყვა საპასუხო სვლა — ცნობილმა მოჭადრაკემ თამაზ კიკიანმა არ უარყო შუბლაძის შრომისუნარიანობა, თუმცა მის მუშაობას კომკავშირული უწოდა. რაც კარგი აქვს ბატონ პრეზიდენტს, ისიც კომკავშირული აქვს და რაც ცუდი, ისიცო. მადლობა მოვუხადოთ მას გაწეულ მუშაობისთვის, მაგრამ ჩვენ ხელმძღვანელად ისევ ჩვენი, საჭადრაკო სამყაროს კაცი გვირჩევნია. ასეთი კი ზურაბ აზმაიფარაშვილიაო. კიკიანმა ისიც თქვა, რომ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები ჩვენი ავტორიტეტის დაცემას უწყობენ ხელს, როცა საქართველოში ამდენი კარგი მწვრთნელია და მათ კი უცხოელები მოჰყავთ დიდი ტურნირებისთვის მოსამზადებლად, ოლიმპიადის წინ კი ზურაბ აზმაიფარაშვილს, რომელსაც გარი კასპაროვთან და იუდით პოლგართან უმუშავია, უთხრეს უარიო. ამან დარბაზში სიტუაცია დაძაბა. ვიცე-პრეზიდენტმა დავით გურგენიძემ სცადა მდგომარეობის განმუხტვა იმით, რომ შუბლაძის განცხადებას ზნეობრივი საქციელი უწოდა. „მან ეს გადაწყვეტილება სამი თვეა მიიღო, მაგრამ ყრილობა ღირსეულად მოამზადა და დღეს, როცა ადვილად არ თმობენ თანამდებობებს, შუბლაძემ საკითხის გამწვავებას თავისი კანდიდატურის მოხსნა ამჯობინაო.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

## ლივერპული გამოტყდა



გიორგი ქინქლაძის მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ინგლისური გაზეთები ყოველდღე ახალ-ახალ ვერსიებს გვთავაზობენ. უფრო ზუსტად, ვერსიები ძველიცაა და ძველთაძველიც, უბრალოდ, ბრიტანული პრესა დეტალებს აზუსტებს.

აქამდე რამდენიმე სავარაუდოდან მხოლოდ ორი კლუბი აცხადებდა ოფიციალურად, ქინქლაძის შეძენა გვსურსო. ახლა კი „ევერტონსა" და „ლიდსს" თავად გიორგი ქინქლაძისთვის ასე სასურველი „ლივერპულიც" შეემატა.

მართალია, ჯერ არ გაცხადებულა, რა თანხის გადახდაზეა ყაბულს თანაქალაქელ „ევერტონის" ამ საქმეშიც დაუძინებელი მტერი, მაგრამ ცხადი ისაა, თუ „ლივერპულმა" ვინმეს შეძენა მოისურვა, საწადელსაც აისრულებს.

ქინქლაძე იმედოვნებს, რომ ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ იგი სწორედ „ლივერპულში" ამოჰყოფს თავს, მაგრამ თუ მეინ და ენფილდ როუდელები ვერ შეთანხმდნენ, კარიერის გაგრძელებას ჰოლანდიურ „აიაქსში" შოთა არველაძის გვერდიგვერდ ამჯობინებს.

## დამტკიცდა!

ედუარდ შევარდნაძემ მორიგ განკარგულებას მოაწერა ხელი. ამჯერად განკარგულების ტექსტში იმ ხალხის გვარებია ჩამოთვლილი, რომლებმაც საქართველოში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მრავალწლიანი პროგრამა უნდა შეიმუშაონ და მიმდინარე წლის ბოლომდე სამთავრობო სხდომას წარუდგინონ განსახილველად.

გემახსოვრებათ, იანვრის პირველ რიცხვებში კანცელარიაში სამთავრობო კომისიის შესაძლო წევრები რომ შეიკრიბნენ. 25 თებერვალს კი, პრეზიდენტმა 33-კაციანი სია დაამტკიცა. მათი პირველი შეხვედრა მარტის ბოლოსთვისაა დაგეგმილი, მაშინ სპორტის დეპარტამენტი, ფეხბურთის ფედერაცია, კლუბი თბილისის „დინამო" და კიდევ სხვა დაინტერესებული მხარე თავიანთსეულ პროგრამის-ვარიანტებს წარუდგენენ „სარბიელის" მეორე გვერდზე ჩამოთვლილთ. როგორც სახელმწიფო კანცელარიის რეფერენტმა სპორტის საკითხებში, ბატონმა ეზეკი ინწკირველმა გვითხრა, კომისიის შემადგენლობა ადრეც დამტკიცდებოდა და პირველი შეკრებაც აქამდე შედგებოდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების გამო ვერ განხორციელებულა ჩანაფიქრი. გარდა ამისა, ბატონ ეზეკის სპორტის დეპარტამენტისთვის და ფეხბურთის ფედერაციისთვის უთხოვია, ერთად დამსხდარიყვნენ და პროგრამის ვარიანტები შეეჯერებინათ, რათა კომისიის სხდომაზე დიამეტრიულად დაპირისპირებული პოზიციები არ ყოფილიყო.

მოკლედ, ყველაფერი დალაგდა, ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამის შემმუშავებელი კომისიის წევრებიც დამტკიცდა. ცოტა ხანში მარტის ბოლო მოვა და კომისიაც მუშაობას შეუდგება, დეკემბრამდე იშრომებენ, მათ ნაჯაფარს კი მთავრობა განიხილავს. ისე, „ოცდაცამეტეული" თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლისგან შედგება — მთავრობა, ფედერაცია, დეპარტამენტი, მინისტრები და მოადგილეები, კლუბი, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია... ახლა ისღა გვაქვს სანატრელი, 1998 წელიც მალე გასრულებულიყოს და ქართული ფეხბურთიც შემუშავებული პროგრამის საფუძველზე ისევე სწრაფად განვითარდეს, როგორი სისწრაფითაც დეპარტამენტ-ფეხბურთის ფედერაციამ ჩაფარცხა ერთმანეთთან დაპირისპირება.

**ქობა ინასარიძე**



# კომუნიზმი სოფლად

## ქართველებო, ძალიან, ძალიან მიყვარხართ!

ჩვენი კორესპონდენტის ელგუჯა ბერიშვილის ბოლო რეპორტაჟი ნაგანოდან.

იხილეთ მერვე გვერდი



# ფედერაციას თხოვენ...

საფეხბურთო სეზონი მარტის დასაწყისში თასის გათამაშების მეოთხედფინალური თამაშებით განახლდება. თითქოს ამაში უცნაური არაფერია, ფედერაცია ადრეც მსგავსად გეგმავდა ჩემპიონატის განრიგს, მაგრამ ამჯერად მეოთხედფინალისტებს ერთმანეთში დიდი ბჭობა გაუმართავთ, ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ახალშემატებული მოთამაშეების მინდორზე გაყვანის ნება დაგვრთონო.

შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო სეზონი, რომელიც წრეებს შორის შესვენებისას იხსნება და თითქმის სამი თვის მანძილზე ფეხბურთელებს გუნდიდან გუნდში გადასვლას არ უშლის, ზოგიერთ მოთამაშეს სათასო თამაშებს გამოატოვებინებს. ვთქვათ, ფეხბურთელმა თასის გათამაშების ადრეული ეტაპები ერთ გუნდში ითამაშა, მერე სხვამ უკეთესი პირობები შესთავაზა და იქ გადაბარგდა. ახალი გუნდი თასისთვის ბრძოლას თუ განაგრძობს, ახალშემატებულს ვერ გამოიყენებს. ასე იყო დაკანონებული გათამაშების დებულებაში. სწორედ ამ მუხლის წინააღმდეგ ილაშქრებენ მეოთხედ ფინალში გასული გუნდების თავკაცები. ისინი აღნიშნული ფეხბურთელებისთვის აკრძალვების მოხსნას ითხოვენ და ფეხბურთის ფედერაციის სახელზე ერთობლივი წერილიც გაუგზავნიათ.

ფეხბურთის ფედერაციაში წერილს 5 მარტს განიხილავენ და საბოლოო განაჩენსაც გამოიტანენ. ამ დღეს ფედერაციაში ალმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება, რომელზეც ზემოაღნიშნულთან ერთად ჩემპიონატის მეორე წრის და ნაკრებების საკითხსაც გაიტანენ. ყოველივეს დაწვრილებით 7 მარტს მოგახსენებთ.

## გააჩერეთ ხომერიკი!

გუშინწინ თბილისის „დინამომ" ბოლო ამხანაგური მატჩიც ჩაატარა ბელგიაში. იქაური „ვესტერლო" შერეულ შემადგენლობას ჩვენებიც არაოპტიმალური თერთმეტეულით გაეჯიბრებიან და 4:1 მოიგებს. დინამოელთაგან გოლები ბოლო ხანს ბომბარდირობადაჩვეულ ხომერიკს, ბურდულს, პეტრიაშვილსა და მუჯირს შეუგდიათ. გუშინ ქართველები ანტვერპენს გაემგზავრნენ, იქ ერთი დღე დაისვენებენ და დღეს თბილისში ჩამოვლენ.



## შეყილაძე ბრუნდება

გუშინ თურქული მზადების ორკვირეული დაამთავრა ჩემპიონობის რეალურმა კანდიდატმა „ბათუმმა". წუხელ ფეხბურთელები ბათუმს დაბრუნდნენ, სადაც ორსამ დღეში თბილისის „დინამოსთან" ერთად ბელგიაში გასასინჯად მყოფი გელა შეყილაძე შეუერთდებათ. მას, თურმე, „ბათუმთან" კონტრაქტი დამთავრებია და ამიტომაც გამგზავრებულა ევროპაში, თუმცა, როგორც „ბათუმის" ტექნიკურმა დირექტორმა მევლუდ ცინარიძემ გვითხრა, გელა სეზონს „ბათუმში" ჩაამთავრებს, გუნდში მომავალი ევროტურნირების ბოლომდე დარჩება. შეყილაძეს ბათუმში დაურეკავს და უთქვამს, უკან ვბრუნდებიო.

რაც შეეხება თავად გუნდს, იგი ძველებურად წარმატებით თამაშობს ამხანაგურ მატჩებს, რის დასტურიც თურქეთის მეორე ლიგის ნაკრების განადგურებაა — 4:0. დანარჩენ შეხვედრებზე ადრე ვწერდით, მაგრამ არ გვითქვამს მაჭუტაძის, სოლოღაშვილის, ჭიჭვეიშვილის ტრავმებზე, რომლებსაც ფეხი აწუხებთ და შესაძლოა, თასის მეოთხედფინალიც გამოტოვონ. სხვათა შორის, 10 მარტს ბათუმში მცირე ზეიმია დაგეგმილი. საქმე ისაა, რომ „ბათუმის" ხელმძღვანელობას, უმთავრეს პატრონ მერიასთან და ავტონომიური რესპუბლიკის თავკაცობასთან ერთად, გადაუწყვეტია, ბავშვები უბილეთოდ შეუშვას სტადიონზე. ეს ამბავი პატარებსაც ძლიერ გახარებიათ და თავიანთი კლუბის საგულშემატკივრო რეპერტუარიც შეუმუშავებიათ. ისინი თითქმის ყოველდღე გადიან რეპეტიციას, ჩემპიონატის განახლების აღნიშვნას კი სულ ტაშ-ფანდურით აპირებენ და ასე პირველობის ბოლომდეც გააგრძელებენ. კარგი იქნება, ბათუმელთა მაგალითს სხვებმაც მიბაძონ, ეგებ უსახურ მატჩებს ცოტა პეწი მაინც შემატონ.

## დაცვას მიხედეთ, დაცვას!

## ტორპედომ თურქეთში 16:1 მოიგო

თურქეთში ორკვირიან შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ" პირველი ამხანაგურ მატჩში ნახევრადპროფესიულ გუნდთან 16:1 მოიგო. მეტოქის სახელი კლუბის მეპატრონე ბესიკ ჯიქიამ ველარც გაიხსენა. იოლი მისახვედრია, რომ ასეთ მატჩს საკონტროლოზე მეტად საწვრთნელი ხასიათი ექნებოდა. ამაში ცუდიც რა უნდა იყოს. მაგრამ მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, ეტყობა, დაცვის პრობლემა ბოლომდე ვერ გადაუჭრია. აბა, 16 გოლს რომ გაუტან, ასეთი გუნდისგან, თავად როგორ უნდა გაუშვა. მეორე სპარინგ-პარტნიორი რუსების მეორე ლიგის წევრი კემეროველთა „კუზბასი" ყოფილა. ჩვენებს მატჩი 2:3 დაუთმიათ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მსაჯი კემეროველი იყო და საწყის ათ წუთში ორი ნაღდი თამაშგარე არ დააფიქსირა ჩვენდა საზიანოდ, მაშინ „ტორპედოს" წაგება მაინცდამაინც არ უნდა გაგვიკვირდეს. ქუთაისელთა ორივე გოლი ზურაბ იონანიძის ანგარიშზეა. მიუხედავად მარცხისა, „ტორპედოს" თავკაცი სოსო ფრუიძე ფეხბურთელთა გარჯით კმაყოფილი დარჩენილა. მესამე მატჩს ჩვენებურები უმაღლესი ლიგის „ანთალიასპორთან" დღეს გამართავენ.

## მესამე და სამართალი

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი, ფაქტობრივად ჯგუფის დასატოვებლად განწირული ზესტაფონის „მარგვეთი" ოთხშაბათიდან მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა. გუნდი ზესტაფონში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში გადის წვრთნას. გუნდიო ვთქვით, თორემ რეალურად საქმე სხვაგვარადაა — ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი „მარგვეთი" პირველი წრის შემდეგ კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდა, რის გამოც ზესტაფონელთა ძირითადმა ბირთვმა, დაახლოებით 12 ფეხბურთელმა, გუნდი დატოვა. დამატებით კი არც არავინ დაუმატებიათ, ან კი როგორ უნდა მოეხერხებინათ ვინმეს გადმობირება, როცა კლუბის ხაზინაში გახვრეტილი შაურიანი რაა, ისიც არ გდია.

კლუბის ხელმძღვანელობას ყოველგვარი იმედი იმისა, რომ გუნდი ჯგუფში ადგილს შეინარჩუნებს, თითქმის გადაეწურა. ბედს შეგუებულნი ახლა მომავლის გეგმებზე ფიქრობენ, მაგრამ ვის ან რის იმედად, ჯერჯერობით უცნობია. „მარგვეთის" ბედით დამწუხრებული, გაოგნებული და მისი გადარჩენისთვის ამაოდ დამშვრალი, სასოწარკვეთილი ხალხი მთელს რაიონში ხომ ფაქტობრივად ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელია.

„მარგვეთის" მთავარი მწვრთნელი, ზაურ ჩუბინიძე, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ისევ გუნდში მოაბრუნეს, მაგრამ, მისივე თქმით, მხოლოდ დროებით, სანამ კლუბის პრეზიდენტი ვინმე სხვას მოძებნის. ჩაძირული გემის კაპიტნობის მსურველი კი, ცხადია, არავინაა და უეჭველად ისევ ჩუბინიძეს მოუწევს, ზიდოს მძიმე ჭაპანი. ეს, რა თქმა უნდა, მაშინ, თუ განგებამ ინება და ზესტაფონელთა „სათაყვანებელმა" გუნდმა ჩემპიონატის გაგრძელება შეძლო.

მოკლედ, ვითარება ისეთია, ალბათ, „მარგვეთი" მესამე ვიცე-ჩემპიონი იქნება, „სამტრედიის" და „ცხუმის" დარად, რომელსაც პირველი ჯგუფის დატოვება მოუწევს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია

ნიკო ლეკიშვილი — საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე
ზაზა შენგელია — საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე ჩივაძე — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
კახი ასათიანი — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ჯანსუღ ბაგრატიონი — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი
ვაჟა ბერიძე — საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ხელშეწყობის განყოფილების უფროსი
ამირან გამყრელიძე — საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
ვასილ გიგოლაშვილი — საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
ომარ გოგიაშვილი — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი
ილია დათუნაშვილი — ვეტერანი ფეხბურთელი, კავშირის წევრი
ემზარ ზენაიშვილი — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი
ეზეკი ინწკირველი — საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ხელშეწყობის განყოფილების რეფერენტი, კომისიის მდივანი
გიორგი კალანდაძე — საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველი მოადგილე
მამუკა კაკოიშვილი — საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენთა კლუბის „XXI საუკუნის ვარსკვლავები" პრეზიდენტი
დავით კვინიკაძე — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი
ტარიელ კულულაშვილი — საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე
გიგა ლორთქიფანიძე — საქართველოს პარლამენტის წევრი
მანუჩარ მაჩაიძე — საქართველოს პარლამენტის წევრი
რომან მიმინოშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე
თემურ მირიანაშვილი — საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მთავარი კონსულტანტი
ჯემალ მიქელაძე — საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე
გია ნაცვლიშვილი — საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის გენერალური დირექტორი
მერაბ ჟორდანია — საფეხბურთო კლუბ „დინამოს" პრეზიდენტი
ნოდარ ულუმბერაშვილი — საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე
ზურაბ ფოცხვერია — საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
გიორგი შარვაშიძე — საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილე
გიორგი შერაძე — საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე
აკაკი ჩხაიძე — საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ძიძიშვილი — საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი წერეთელი — თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილე
მურთაზ ხურცილავა — ვეტერანი ფეხბურთელი, კავშირის წევრი
მიხეილ ჯოჯუა — საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კლუბის პრეზიდენტი
ემირ ჯუღელი — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე









## პაიჭაძის ბუცები

„დინამოს" მახაჟისტმა ანზორ გაბიტაშვილმა ბურთი ხელიდან გამოსტაცა მსაჯ რიკარდო ლატანცის და მიიმალა...

მინსკში, იქაურების და ჩვენების თამაშისას, დავით ყიფიანს 10-ნომრიანი მაისური შემოახიეს და მანაც 13-ნომრიანი მოირგო და იმით გააგრძელა თამაში...

აგერ, ახლა თემურ ქეცბაიამ „ბოლტონს" რომ გამარჯვების გოლი გაუტანა, ბუცის გახდა დააპირა...

ეს სამი ამბავი წამომიტივტივდა გონებაში, როცა ამ სვეტის გამო ვფიქრობდი. და რამდენი ასეთი ამბავია ჩვენს ფეხბურთში, რამდენი ასეთი ეპიზოდია? თუნდაც ძველი ისტორიები, ჭაღარა ქომაგთაგან ნათხრობი და ხალხში მოარული.

ზემოთ ნახსენები სამივე ნივთი: ბურთი, გახეული მაისური და ბუცი, რომელიც ქეცბაიამ აღარ გაიხადა, ჩვენი ფეხბურთის ისტორიის ნაწილია. ეს ის ნივთებია, წარსულის უკვდავებას რომ ქმნის. უფრო სწორად, ნივთი გუშინდელ დღეს აცოცხლებს და ინახავს, გრძნობებსა შლის და ფიქრს იწვევს. ეს მე არ მითქვამს, ერთმა გვარიანმა ფრანგმა მწერალმა თქვა. პრინციპში, მუზეუმიც სხვა არაფერია.

გამიგონია, „ენფილდზე" ძველი ბუცების ოთახი არსებობდა და იქ გუნდის ახალწვეულს შეახედებდნენ ხოლმე, აგე უყურე და იფიქრეო.

მე პირადად მგონია, რომ ყოველმა დინამოელმა უნდა შეხედოს პაიჭაძის ბუცებს, უნდა შეხედოს პაიჭაძის მაისურს, მის კაპიტნის სამკლაურს. ყველამ უნდა უყუროს საბჭოთა და უცხოური თასების ასლებს და იფიქროს. ყოველმა ფეხბურთელმა და ახალი დროის ქომაგმა ასე უნდა შეიგრძნოს თავისი გუნდის წარსული, თავისი ფეხბურთის სული. მაგრამ სად არის ეს ყველაფერი? ჭეშმარიტად არ ვიცი. სად არის სამოსი, ყიფიანს რომ ეცვა ევროპის ნაკრებში? მახსოვს, ყვითელი იყო.

ისტორიულ მუზეუმში იდგა კადიხში მოგებული „კარაველა", ლამაზი საერთაშორისო ჯილდო. იდგა, ახლა აღარ ვიცი, ისევ დგას, ალბათ, მაგრამ იქ რა უნდა? სტადიონზე უნდა გვედგას. ანდა, სად არის ის დეპეშა, მიხეილ მესხს რომ დაუმალეს რუსებმა და მსოფლიოს ნაკრებში არ გაუშვეს? ეგ დეპეშაც თვალსაჩინო ადგილზე უნდა გვქონდეს გამოკრული. ანდა, სად არის ანდრო ჟორდანიას კეპი, ანდა, თუნდაც ერთი იმ ცარიელი სიგარეტის კოლოფი, ნოდარ ახალკაცი რომ ეწეოდა? ანდა, გავრილ კაჩალინის ჰალსტუხი, ანდა, თუნდაც ერთი უზბეკური „ტუბიტეიკა", პირველად გაჩემპიონებულ დინამოელებს რომ აჩუქეს ტაშკენტში?

არ ჩანს. არადა, უნდა ჩანდეს. ეს ყველაფერი ერთად უნდა იყოს. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ ფეხბურთელებისთვის, არამედ ხალხისთვისაც. მე მინდა, ჩემს შვილს ხელი მოვკიდო, სადმე მივიყვანო და ვაჩვენო ის, რასაც ქომაგობს. მე არ მინდა, რომ მან ჩვენი ფეხბურთი მხოლოდ ევროპის ქალაქებში გაბნეული ათიოდე კარგი ბიჭი ეგონოს და არ მინდა, რომ ღამე მხოლოდ „ლივერპულ" — „ევერტონის" საყურებლად ტეხოს.

განა მართალი არა ვარ?

აბა, რომელი გულშემატკივარი იტყვის, რომ მასაც არ უნდა ეს ყველაფერი?

არა მგონია, ვინმეს არ უნდოდეს, ასე იყოს. ამას მუზეუმიც დაერქვას, მაგრამ ეს მუზეუმი ფოტოგამოფენას კი არ უნდა ჰგავდეს, არამედ მართლაც მუზეუმი უნდა იყოს. იქვე, ეკრანებზე უნდა ხედავდე წარსულის დიდ შერკინებებს. ველოსიპედს გამოგონება არ სჭირდება — ყველაფერი გვინახავს უცხოეთის დიდ კლუბებში.

მაგრამ ნივთები? წარსულის რელიქვიები?

მათი დაკარგვით ხომ წარსულს ვკარგავთ?

წარსულის გარეშე კი „უბრალოდ ფეხბურთი" გვაქვს და არა „შენი ფეხბურთი".

ეჰ, რამდენი ასეთი რამ დავტოვეთ იმ ძველ წლებში. რამდენ ადამიანს აკლია საშუალება, მთელი არსებით ჩაწვდეს თავისი ფეხბურთის სულს?

მე მაინტერესებს გაიოზ ჯეჯელავას ბუცების ნახვა. ეს ბუცები სასწაულებს ქმნიდა მინდორზე.

ნუთუ არ გვინდა, რომ სასწაული გადარჩეს?

შსს აკადემია თბილისი

ასკ თბილისი

თორი ბორჯომი

იბერია სამტრედია

იბერია ქარელი

ივერია ხაშური

იმერეთი ხონი

კოდაკო თბილისი

კოლხეთი ხობი

მერცხალი ოზურგეთი

მეშახტე ტყიბული

სამეგრელო ჩხოროწყუ

საპოვნელა თერჯოლა

სქური წალენჯიხა

ფაზისი ფოთი

ცხინვალი

# საქართველოს IX ჩემპიონატი
# მეორე ჯგუფი
# მეორე წრის კალენდარი

XVI ტური

*15 მარტი, კვირა*

სამეგრელო : იბერია ს
კოდაკო : ივერია
იმერეთი : მეშახტე
იბერია ქ : ცხინვალი
ფაზისი : მერცხალი
თორი : ასკ
საპოვნელა : სქური
კოლხეთი : შსს აკადემია

XVII ტური

*19 მარტი, ხუთშაბათი*

კოლხეთი : სამეგრელო
შსს აკადემია : საპოვნელა
სქური : თორი
ასკ : ფაზისი
მერცხალი : იბერია ქ
ცხინვალი : იმერეთი
მეშახტე : კოდაკო
ივერია : იბერია ს

XVIII ტური

*23 მარტი, ორშაბათი*

სამეგრელო : ივერია
იბერია ს : მეშახტე
კოდაკო : ცხინვალი
იმერეთი : მერცხალი
იბერია ქ : ასკ
ფაზისი : სქური
თორი : შსს აკადემია
საპოვნელა : კოლხეთი

XIX ტური

*30 მარტი, ორშაბათი*

საპოვნელა : სამეგრელო
კოლხეთი : თორი
შსს აკადემია : ფაზისი
სქური : იბერია ქ
ასკ : იმერეთი
მერცხალი : კოდაკო
ცხინვალი : იბერია ს
მეშახტე : ივერია

XX ტური

*3 აპრილი, პარასკევი*

სამეგრელო : მეშახტე
ივერია : ცხინვალი
კოდაკო : ასკ
იმერეთი : სქური
იბერია ქ : შსს აკადემია
ფაზისი : კოლხეთი
თორი : საპოვნელა
იბერია ს : მერცხალი

XXI ტური

*7 აპრილი, სამშაბათი*

თორი : სამეგრელო
საპოვნელა : ფაზისი
კოლხეთი : იბერია ქ
შსს აკადემია : იმერეთი
სქური : კოდაკო
ასკ : იბერია ს
მერცხალი : ივერია
ცხინვალი : მეშახტე

XXII ტური

*12 აპრილი, კვირა*

სამეგრელო : ცხინვალი
მეშახტე : მერცხალი
ივერია : ასკ
იბერია ს : სქური
კოდაკო : შსს აკადემია
იმერეთი : კოლხეთი
იბერია ქ : საპოვნელა
ფაზისი : თორი

XXIII ტური

*18 აპრილი, შაბათი*

ფაზისი : სამეგრელო
თორი : იბერია ქ
კოლხეთი : კოდაკო
საპოვნელა : იმერეთი
შსს აკადემია : იბერია ს
სქური : ივერია
ასკ : მეშახტე
მერცხალი : ცხინვალი

XXIV ტური

*23 აპრილი, ხუთშაბათი*

სამეგრელო : მერცხალი
ცხინვალი : ასკ
მეშახტე : სქური
ივერია : შსს აკადემია
იბერია ს : კოლხეთი
იბერია ქ : ფაზისი
იმერეთი : თორი
კოდაკო : საპოვნელა

XXV ტური

*27 აპრილი, ორშაბათი*

იბერია ქ : სამეგრელო
ფაზისი : იმერეთი
ასკ : მერცხალი
თორი : კოდაკო
საპოვნელა : იბერია ს
კოლხეთი : ივერია
შსს აკადემია : მეშახტე
სქური : ცხინვალი

XXVI ტური

*1 მაისი, პარასკევი*

სამეგრელო : ასკ
ცხინვალი : შსს აკადემია
მერცხალი : სქური
ივერია : საპოვნელა
იბერია ს : თორი
მეშახტე : კოლხეთი
იმერეთი : იბერია ქ
კოდაკო : ფაზისი

XXVII ტური

*5 მაისი, სამშაბათი*

იმერეთი : სამეგრელო
იბერია ქ : კოდაკო
ფაზისი : იბერია ს
თორი : ივერია
საპოვნელა : მეშახტე
კოლხეთი : ცხინვალი
შსს აკადემია : მერცხალი
სქური : ასკ

XXVIII ტური

*9 მაისი, შაბათი*

სამეგრელო : სქური
ასკ : შსს აკადემია
მერცხალი : კოლხეთი
ცხინვალი : საპოვნელა
მეშახტე : თორი
ივერია : ფაზისი
იბერია ს : იბერია ქ
კოდაკო : იმერეთი

XXIX ტური

*17 მაისი, კვირა*

კოდაკო : სამეგრელო
იმერეთი : იბერია ს
იბერია ქ : ივერია
ფაზისი : მეშახტე
თორი : ცხინვალი
შსს აკადემია : სქური
საპოვნელა : მერცხალი
კოლხეთი : ასკ

XXX ტური

*23 მაისი, შაბათი*

სამეგრელო : შსს აკადემია
სქური : კოლხეთი
ასკ : საპოვნელა
მერცხალი : თორი
ცხინვალი : ფაზისი
მეშახტე : იბერია ქ
ივერია : იმერეთი
იბერია ს : კოდაკო

**გადასასვლელი მატჩები**
**27-28 მაისს და 2 ივნისს**



## საქართველოს თასი

მეოთხედფინალი
6 მარტი, პარასკევი
10 მარტი, სამშაბათი
ნახევარფინალი
14 აპრილი, სამშაბათი
26 აპრილი, კვირა
ფინალი
26 მაისი, სამშაბათი

*და საერთოდ, ეს ისტორია, ისტორია გიო ქინქლაძის გაყრისა მეინ როუდთან, არ არის უბრალო რამ. ადამიანი უყურებს გაზეთის პირველ გვერდს და ხედავს ნაცნობ სათაურს და ნაცნობ სიტყვებს: „გიო და სიტი“, „სიტი და გიო“.*

*ნაცნობი და უბრალო სიტყვებია და ამბავიც ისეთივე ძველია, როგორც სამყარო, ბედი და იღბალი.*

# მეორედ მოსვლა

## ოკრობოკრო ინგლისური გზებო, საით წაიყვანთ პატარა ქინქის?

იმ კვირიდან ახალი ქართული ფეხბურთის საოცარი და უცნაური სახელი — გიო ქინქლაძე ახალ ცხოვრებას იწყებს. „იმ კვირიდან“ ეგებ არასწორიც იყოს და კვირა თვედ იქცეს, ანდა წელიწადად. ასეთი რამ უკვე ყოფილა ქინქის ცხოვრებაში, მაგრამ „ის კვირა“ — იმედით დათქმული დროა.

ახალი ცხოვრება და მეორედ მოსვლა პრემიერლიგაში. „პრემიერლიგაც“ იმედით დათქმული ადგილია და საერთოდაც, კუნძულზე მყოფი ქართველი ვარსკვლავის ხვალინდელ დღეს ყოველთვის დამატებითი განმარტებები სჭირდება ხოლმე. ეს თვალში საცემია. არა იმიტომ, რომ ალბიონიდან არასოდეს მოდის ზუსტი ამბავი, არამედ იმიტომ, რომ ქინქის ასეთი ხვედრი ერგო — გაურკვევლობა, ლოდინი და არჩევანი მისი ინგლისური ეპოპეის თანამდევი ცნებებია.

და ეს მხოლოდ ფეხბურთი არ არის. ეს არ აიხსნება ენამწარე სიტყვებით, სხვისი ხელფასის თვლით, ლეგენდებით „სიტის“ ქომაგთა გამორჩეულობის შესახებ და მხოლოდ ერთგულებით. ეს, ჩვენი მოლოდინის და მისი გადაწყვეტილებების ერთობა, არ შეიძლება აიხსნას ერთი სიტყვით. ეს არ არის ერთი რამ, რომ ერთი სიტყვით აიხსნას.

ოკრობოკრო ინგლისურ გზებზე სიარული ბევრს გასჭირვებია. იმათაც კი, ვისაც ათასი მინდორი გადაუთელავს იქ ჩასვლამდე. მაგრამ ეს ერთი საქმეა. მეორე საქმე კი ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, სად შევაბიჯეთ. საზღვრები, ქვეყანა განთავისუფლდა და ჩვენ დასავლეთისკენ გადავდგით ნაბიჯი. ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა, სად შევაბიჯეთ. და დავინახეთ უცნობი და ძნელი სამყარო და დაგვხვდა წესები და ადათები, რომლებისაც არაფერი გაგვეგებოდა. ასეთ დროს ცდილობ, მოერგო უცხოეთს, მაგრამ არ იქნება, არ დაკარგო რაღაც დიდი და შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი. სამაგიეროდ, იღებ სხვას და ეგებ ეს სხვა არც იყოს იმასავით ლამაზი, რაც შენ დაკარგე, მაგრამ ნაღდი და წყალგაუვალია.



ქინქი ახალ საკლუბო სამოსს ელის

ასეთი რამ ხშირად ხდება და ბევრს ემართება. ბევრში ეს ტკივილს იწვევს.

რაღა საქართველოს მივაცილდით? ბრაზილიელი ემერსონი მხოლოდ იმიტომ იტანჯებოდა მიდლსბროში, რომ ბორო პატარა და წყნარი ქალაქია, მის ცოლს კი ინგლისური საჭმელი კუჭს უჭრის: ეს უბრალო საქმეა — ყოფითი თუ კულტურული შოკი.

პირველად რომ გავდგამთ ფეხს დასავლეთში, არა მხოლოდ ის გვიკვირს, რომ ჰომოსექსუალისტები ქუჩაში კოცნიან ერთმანეთს, არამედ ისიც რომ სატელეფონო აპარატში ბარათი უნდა გაუყარო და ისე დარეკო, იმ ბარათის სახელი კი არ იცი. შენ არ იცი, რომ შენს კონტრაქტში ჩაწერილი სიტყვა ფორმალობა კი არა, შენი ხვალინდელი დღეა და ყოველი არჩაწერილი სიტყვა შენივე მესაფლავეა.

და ხვდება კაცი იქ, შორეულ მხარეში და ჰგონია, რომ ერთ შეცდომაზე თუ გაულიმეს, მეორე შეცდომაზე თუ გაულიმეს, მესამეზეც გაულიმებენ. მესამე კი დრამად იქცევა ხოლმე.

ჩვენ კი ქინქიზე ვფიქრობთ. იმ შემოდგომას ვიხსენებთ, გიო რომ პრემიერლიგას იპყრობდა. ჩვენ გვიყვარს, როცა ის ფეხზე მიიკრავს ხოლმე ბურთს და გვიყვარს მის მიერ შექმნილი თამაში.

ფეხბურთი ხომ ცხოვრებაა?

ადამიანი ვერასოდეს გაჩერდება სამუდამოდ. მას შეუძლია ერთ ადგილას იდგეს მთელი დღე, რადგან იმ ადგილას მდგომს ვარდებს ჩუქნიან. მან შეიძლება გაიჭიროვოს და მეორე დღესაც დარჩეს იქ რათა ზრდილობიანად მიიღოს მიძღვნილი ვარდები და საქებარი სიტყვები. მაგრამ ძნელია, კიდევ გაჩერდეს იქ და მოეწონოს ვარდები და სიტყვები. ამასობაში მატარებელი წავა, რადგან ასეთია მატარებლის დანიშნულება და არაფერია იმაზე ცუდი, რომ მატარებელს ჩამორჩები. რა გრჩება სანაცვლოდ? ვარდების გროვა და ქარის მიერ წაღებული ლამაზი სიტყვები. იქეთ კი ბიჭები მატარებელს შეახტნენ, რადგან იციდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს ვარდი მხოლოდ ეკლიანი ყვავილია და სხვა არაფერი.

და ქინქი ემზადება პრემიერლიგაში ხელახლა შესაბიჯებლად. კარგი იქნება, თუ ეს შებიჯება მისი ალბიონზე მეორედმოსვლის დასაწყისი იქნება. თორემ დახედავ გაზეთის პირველ გვერდს და ხედავ ნაცნობ სიტყვებს: „სიტი და გიო“, „გიო და სიტი“ და ასე დაუსრულებლად. აქედან ჩანს, რომ ქინქლაძემ ბევრი რამ გაიარა და ბევრიც განიცადა. არ არსებობს სიმშვიდე ფეხბურთის ღმერთთაგან დავიწყებულ ადგილას, სადაც ყველაზე უწყინარი ოცნებაც კი სასაცილოა. არ არსებობს კმაყოფილება იქ სადაც კარგავ შენი ხელობის მაგიას და მხოლოდ გუშინდელი დღე გასულდგმულებს.

ქინქი ბრუნდება — ის სხვა მდინარეში შედის. ეგებ დაღლილი და სევდიანიც ჩანდეს, მაგრამ ბრუნდება იმედითა და ოცნებით სავსე. ახლა უკვე სწორედ დაიჭერს საჭეს. იმ კვირაში კვლავ გვათქმევინებს: ქინქიმ დაგლიჯა! ის ხომ არც „სიტისაა“, არც „ტოტენჰემის“, არც „ევერტონის“ და არც „ვესტ ჰემის“ — ის ჩვენია და ოკრობოკრო ინგლისურ გზებზე სიარულისას ჩვენც ხშირად ვახსენდებოდით.

იქნებ ამიტომაც, მან ხელახლა უნდა დაიპყროს მინდვრები. ის მეორედ უნდა მოვიდეს, თუნდაც იმისთვის, რომ გვითხრას:

— მე არ წავსულვარ თქვენი გულებიდან, ჩვენ კვლავ ერთად ვართ...

**ირაკლი გამყრელიძე**

## აფრიკის თასი '98

### მატჩი მესამე ადგილისთვის
**ბურკინა ფასო 4:4 კონგო**
**(პენ 1:4)**

ბურკინა ფასო: დიარა, ფ. სანუ, ტალე, გნონკა, დიაბატე, ბ. ტრაორე, კამბუ (ს. ტრაორე 57), ბარო, ნაპონი (კორბეოგო 61), უ. სანუ, უდრაოგო

კონგო: მაიალა, კიმოტო (მუნგოგო 66), კასომბე, მუტამბა (ბაპუპა 46), ბაკასუ, სელენგი, სიმბა, მამალუ, კაბონგო, ტონდელუა, ბემბუანა (მბაიო 46)

1:0 უდრაოგო (6), 2:0 ბარო (52), 3:0 ნაპონი (56), 3:1 მუნგოგო (76), 4:1 ტალე (86), 4:2 კასონგო (87), 4:3 ტონდელუა (88), 4:4 მუნგოგო (89)

# ტრუსიე სამხრეთში წავიდა



...86-ე წუთზე მასპინძელმა იბრაჰიმ ტალემ ნკუენი მაიალას კარი მეოთხედ აიღო და თითქოს შეხვედრაც აქ დასრულდა, მაგრამ მოხდა ის, რაც ათასში კი არა, მილიონში ერთხელ ხდება — ბოლო ოთხ წუთში კოკორა მეჯუდის დამოძღვრილმა კონგოელებმა სამჯერ შეძლეს დიარას კარის დალაშქვრა. ისე თავად იბრაჰიმა დიარას რომ არ გამოედო თავი, ვერც კასონგო შეამცირებდა სხვაობას და კიდევ ორი გოლიც არ გავიდოდა, მაგრამ მეკარემ თავის გამოჩენა ბოლო წუთებში მოიწადინა, ამან კი რა შედეგიც გამოიღო, თავად ხედავთ. მართლაც დაუჯერებული რამ მოხდა — სამი გოლი სამ წუთში, უბრალოდ რომ ვთქვათ, საოცრებაა.

მატჩის დასაწყისი კონგოელთ კარგს არაფერს უქადდა — ფრანგი ტრუსიეს გაწვრთნილი მასპინძლები ძლიერად თამაშობდნენ, ყველაფერში უპირატესობას ფლობდნენ და ანგარიშს ნელ-ნელა ზრდიდნენ, მაგრამ თუ 85 წუთის მანძილზე მიღწეულს ბოლოს მაინც წყალში გადაყრიდნენ, არავის ეგონა. ტრუსიეს სახე უნდა გენახათ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ — კაცს აშკარად ეტყობოდა, შოკირებული იყო. მართლაც რკინის ნერვები უნდა გქონდეს, საკუთარი გუნდის ასეთ ნგრევას რომ შეესწრო.

სხვათაშორის ტრუსიე გუშინდლის შემდეგ მასპინძელთა ნაკრების მწვრთნელი აღარაა. მას ბურკინა ფასოს გუნდი ამ გათამაშების ბოლომდე ებარა, პირველი მარტიდან კი იგი სამხრეთაფრიკელებს ჩაიბარებს.

...4:4-ის შემდეგ თითქოს დამატებითი დრო უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ყოვლად გაუგებარი მიზეზის გამო ჯერი პირდაპირ პენალტებზე მიდგა, აქ კი ნკუენი მაიალა შეუდარებელი იყო, ორი მასპინძლის პენალტი უკუაგდო და სენსაციურ გამარჯვებაში თავისი წვლილიც შეიტანა.

# რეკორდი აუცილებლად გამეორდება

დღეს ფინალია. აფრიკის თასის მორიგი გათამაშების გადამწყვეტი მატჩი. თითქმის ერთი თვეა მიმდინარეობს, ეს მეტად დაძაბული ტურნირი, დღეს კი თასის მფლობელი სამხრეთ აფრიკა შეეცდება ეგვიპტელთა ძლევით ორი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეოროს. აქედანვე უნდა ითქვას, მეტოქეთა შანსები თანაბარია, ამის გამო კი პროგნოზების გაკეთება ძნელია.

...საერთოდ რაიმე დიდი ტურნირის მასპინძელს სხვა მონაწილეებთან შედარებით ერთი საკმაოდ ძვირფასი უპირატესობა აქვს — შინ თამაში. მასპინძელთა გამარჯვებაში ეს ფაქტორი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს, მაგრამ ამ გათამაშების მასპინძელი ქვეყნის გაცხადებისთანავე ნათელი გახდა, რომ ბურკინა ფასო აფრიკის თასს ვერ დაეუფლებოდა. მართალია, მასპინძლებმა მხურვალე გულშემატკივრობის წყალობით უწიეს მათთვის საოცნებო ნახევარფინალს, მაგრამ თასის მოგებას ისინი მაინც ვერ შეძლებდნენ. ამის მიზეზი მარტივია — გუნდს, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე აფრიკის მაჩანჩალად ითვლებოდა, გამორიცხული იყო, რამდენიმე თვეში ისეთი სიძლიერისთვის მიეღწია, ლიდერთა ძლევა მოეხერხებინა. ხომ ცნობილია რომ ძლიერი გუნდები თვეობით კი არა წლობით იქმნებიან. ფინალში თამაში და მით უმეტეს ჩემპიონობა კი არა, ბურკინა ფასოს ნახევარფინალში გასვლაც დიდი მოულოდნელობა იყო. ბოლოს და ბოლოს მათი ხმაურიანი სვლა ეგვიპტემ შეაჩერა, გუნდმა, რომელმაც ამ გათამაშებაში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. „ფარაონები" (მათი ნაკრების მეტსახელია) ფინალში თასის მფლობელს დაუპირისპირდნენ, გუნდს, რომლის თამაშიც ნამდვილად უკეთესის სურვილს ტოვებს.

დღეს სამხრეთ აფრიკა ეგვიპტეს მესამედ ეთამაშება. აქამდე გამართული ორი შეხვედრიდან მეტოქეებმა თითო მოიგეს, დღეს კი სასწორი აუცილებლად რომელიმე მხარეს გადაიხრება. ზემოთ ვთქვით, ფინალს ფავორიტი არ ჰყავსო და მართალიცაა — მეტოქეთა გუნდებში საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები არიან და თან გამოცდილება, რაც ასე მნიშვნელოვანია გადამწყვეტ მატჩებში, არც ერთს აკლია. მართალია, სამხრეთ აფრიკა კარგა ხანი იყო მოწყვეტილი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს, მაგრამ ქვეყანაში ეს მეტად პოპულარული თამაში რომ არ ჩამკვდარა, მათმა საერთაშორისო სარბიელზე დაბრუნებამაც დაადასტურა. თუ კონკრეტულად აფრიკის თასის გათამაშებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ ამ მხრივ ეგვიპტელთა უპირატესობა აშკარაა. ტურნირში მონაწილეობის მხრივ ეგვიპტე არა მარტო სამხრეთ აფრიკის, არამედ შავი კონტინენტის ყველა გუნდს სჯაბნის — ისინი თასის 16 გათამაშებაში მონაწილეობდნენ, რაც რეკორდია. ისტორიის მხრივ ეგვიპტელთა უპირატესობა მეტოქეზე კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ თასს ისინი სამჯერ ფლობდნენ (1957, 1959 და 1986 წლებში), სამხრეთ აფრიკამ კი გათამაშება ერთხელ მოიგო, ორი წლის წინ.

კონკრეტულად დღევანდელ შეხვედრას რაც შეეხება, ვფიქრობ, მატჩი დაძაბული უნდა გამოდგეს. გარდა იმისა, რომ გადამწყვეტი მატჩია, დაპირისპირებაა თავდამსხმელებს შორისაც — ეგვიპტელი ჰასან ჰოსამი და სამხრეთ აფრიკელი ბენი მაკართი 7-7 გოლით გათამაშების ბომბარდირები არიან. სხვათა შორის, თუ მოხდა და რომელიმემ ფინალში ორი გოლი შეაგდო, ისინი ყოფილ ზაირელს, ახლა კი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკელი ნდაუ მულამბას რეკორდს გაიმეორებენ (1974 წელს მულამბა 9 გოლით ზაირში გამართული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, ეს მიღწევა კი დღემდე განუმეორებელია), ჰეთ-თრიკის შემთხვევაში კი ახალ რეკორდს დაამყარებენ.

ვინ რამდენს შეაგდებს ფინალში, ძნელი საქთმელია. მანამდე კი იმას გეტყვით, რომ სამხრეთ აფრიკელმა მარკ ფიშმა, რომელიც წინა გათამაშებაში გამარჯვებული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, დაიქადნა, ჰოსამს ფეხს არ გავანძრევინებთ, ბომბარდირი აუცილებლად მაკართი უნდა გახდესო. ეგვიპტელებს ოცი წლის მაკართის საწინააღმდეგო არაფერი შემოუთვლიათ, მაგრამ უეჭველია, აიქსელი თავდამსხმელის შეჩერებას შეეცდებიან.

თუ ფინალამდე ეგვიპტელებს რაიმე სერიოზული სანერვიულო არაფერი ჰქონდათ, ტურნირის პრესცენტრის დაუდევრობის გამო სამხრეთ აფრიკელებს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა შეექმნათ. „ბაფანა ბაფანამ" ნახევარფინალში კონგო რომ სძლია, მსაჯმა გამარჯვებულთა კაპიტანი ლუკას რადებე გააფრთხილა, ნაკრების მწვრთნელ იომო სონოს კი პრესცენტრში განუცხადეს, ორი გაფრთხილების გამო რადებე ფინალში ვეღარ ითამაშებსო. გადამწყვეტ მატჩში კი არა, ამხანაგურ თამაშებშია წამყვანი ფეხბურთელის მოსაკლისება დასანანი, ახლა კი გუნდის საღ-სალამათ ლიდერს თამაშის ნებას არ აძლევდნენ. ცხადია, სამხრეთ აფრიკელებმა კარგად უწყოდნენ გაფრთხილებულ-გაძევებულთა ვინაობები და ორგკომიტეტს აცნობეს, ჯგუფურ ტურნირში რადებეს ყვითელი ბარათი არ მიუღია, თქვენთან შეცდომააო. მართლაც მატჩების სტატისტიკა გადაამოწმეს, მოგვიანებით კი პრესცენტრის თავკაცმა კუანა კაკუკამ სამხრეთ აფრიკელებს მოუბოდიშა, ძლიერ შევცდით, კინაღამ დაგღუპეთო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ბაფანა ბაფანას" დაკვირვებულმა თავკაცებმა რადებეს თაობაზე სამართალი აღადგინეს, დეეიდ ნაიტის გამო კი ვერას გახდნენ — იგი მართლაც ორჯერ გაფრთხილებული აღმოჩნდა, რის გამოც დღეს ფინალში ვეღარ გაირჯება.

**ლაშა გოდუაძე**

## დარჩა 103 დღე — ფუტიქსის დროშით

# ბატიგოლის დაბრუნება

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა დანიელ პასარელამ 10 მარტს ბულგარელებთან ამხანაგურ შეხვედრაზე მიიწვია „ფიორენტინას" თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა.



გაბრიელ ბატისტუტა

პასარელა არგენტინულ გაზეთებს შავ დღეში ჰყავდათ ჩაგდებული. მწვრთნელს საშინლად აკრიტიკებდნენ გულშემატკივრებიც. მათ არ მოსწონდათ, რომ ქვეყნის ეროვნულ გუნდში დიდებული ბატიგოლის ნაცვლად „პარმაში" მოთამაშე ერნან კრესპოს იწვევდნენ.

არგენტინელთა თავკაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეხვედრებში იგი რიგ-რიგობით შეამოწმებს უცხოურ კლუბებში მიმოფანტულ ფეხბურთელებს, ისე რომ ამ კლუბების რისხვა არ გამოიწვიოს.

— სანამ ამხანაგური თამაშების ციკლს დავიწყებდით, უკვე შეთანხმებულნი გახლდით, რომ ბატისტუტა ბულგარეთთან ითამაშებდა, კრესპო კი დაისვენებდა — თქვა პასარელამ.

მის სიაში ყველაზე მეტად „სალამანკაში" მოთამაშე გუსტავო ლომბარდის ხილვა გაუკვირდათ. ლომბარდი მცველია, ის 20 წლამდელთა ნაკრებში გამოდიოდათ, იმაში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა.

არგენტინელთა გამარჯვებებმა იუგოსლავიასა და რუმინეთთან კრიტიკოსთა გულები ვერ მოალბო. ისინი გუნდს უსახურობასა და არაორგანიზებულობაში ადანაშაულებენ. მოედნიდან გამავალ კრესპოს იუგოსლავიასთან თამაშის შემდეგ (3:1) ჰეთ-თრიკის მიუხედავად უსტვინეს.

### ბულგარეთი

სად ჩატარდება ბულგარელებთან შეხვედრა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. ერთი რამაა გადაწყვეტილი, ბულგარელები რუმინელებისა და იუგოსლავიელებისგან განსხვავებით ოკეანის გაღმა უძლიერესი შემადგენლობით ჩავლენ: მეკარეები — ზდრავკო ზდრავკოვი (ისთანბულსფორი, თურქეთი), ბორისლავ მიხაილოვი (სლავია); მცველები — ტრიფონ ივანოვი (ცსკა), ივაილო პეტკოვი (ლიტექსი), გეორგი ანტონოვი (ლოკომოტივი), რადოსტინ კიშიშევი (ბურსასფორი, თურქეთი), სვეტოსლავ ტოდოროვი (ლიტექსი); ნახევარმცველები — ივაილო იორდანოვი (სპორტინგი, პორტუგალია), ზლატკო იანკოვი (ბეშიქთაში, თურქეთი) იორდან ლეჩკოვი (ბეშიქთაში, თურქეთი), კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი, გერმანია), ილია გრუევი (ნეფტოხიმიკი); თავდამსხმელები — ხრისტო სტოიჩკოვი (ბარსელონა, ესპანეთი), ლუბოსლავ პენევი (კომპოსტელა, ესპანეთი), გეორგი ივანოვი (ლევსკი), მარიან ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ემილ კოსტადინოვი (ცსკა), ხრისტო იოვოვი (მიუნხენ 1860, გერმანია), ველკო იოტოვი (ნიუელ ოლდ ბოისი, არგენტინა).

# ფრანგი პოლიციელები იხუმრებენ

ინგლისის ქალაქ ბლექბერნში შეკრებილმა ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიციათა შეფებმა იმსჯელეს, როგორ აღკვეთონ მსოფლიოს პირველობის დღეებში ხულიგნობა.

საფრანგეთში გასამართი შეჯიბრებისათვის მზადება ბოლო დროს ბილეთების სკანდალმა დაჩრდილა. სხვადასხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციები უკმაყოფილონი არიან, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორები მათ გულშემატკივრებს საკმარისი რაოდენობის ბილეთებით არ ამარაგებენ და შეშფოთებულნი აცხადებენ უბილეთო ქომაგთა უნდა გვეშინოდესო.

საქმე ასეა: 80 ათასიან სტადიონზე თამაშზე დასასწრებად მონაწილე გუნდების ქომაგებს სულ 3 ათასი ადგილი გამოუყვეს. ბილეთების საერთო რაოდენობის 60 პროცენტი ფრანგ გულშემატკივართა შორის გავრცელდება, 20 პროცენტს კი სპონსორები წაიღებენ.

ბლექბერნის კონფერენციას ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ უძღვებოდა. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად შეხვდება ფრანგ ორგანიზატორებს და აუხსნის, რომ უცხოელ ქომაგთათვის დამატებითი ბილეთების გადაცემა აუცილებელია.

— ეჭვი არაა, ბილეთების სწორად გავრცელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ უცხოელებისთვის 3-5 ათასის ნაცვლად 20 ათასიც რომ გაიღონ, ძალადობის წინააღმდეგ სერიოზულად გალაშქრება მაინც მოგვიწევს — განაცხადა სტროუმ.

წლეულს ისტორიაში უდიდესი მასშტაბის ჩემპიონატი გაიმართება, მასში 32 ქვეყანა და შესაბამისად უამრავი მაყურებელი, ჟურნალისტი და სპონსორი მიიღებს მონაწილეობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საფრანგეთში ჩასვლა ბევრი ქვეყნის მოქალაქეთათვის ერთობ იოლია, ამიტომაც უბილეთოთა მოზღვავებაა მოსალოდნელი. მართალია ფრანგი ორგანიზატორები იქადნებიან ყველა ბილეთზე მფლობელის სახელი იქნება დასმული და უმისოდ სტადიონზე ჩიტსაც არ გავაჭაჭანებთო, მაგრამ ეს სტადიონებს გარეთ, ქალაქებში არეულობას ვერაფრით უშველის.

ანტიხულიგნურ მოძრაობაში სახელმწიფოებიც მიიღებენ მონაწილეობას. ყოველი მათგანი საფრანგეთში პოლიციელ აგენტებს მიავლენს, რომლებიც თანამემამულე ქომაგებს შორის ხულიგნებს ამოიცნობენ. ბრიტანელები, რომელთაც უწესრიგობებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვთ საფრანგეთში ჩავლენ და მასპინძელ პოლიციელებს თავიანთ ცოდნას გაუზიარებენ, ეტყვიან როგორ ამყარებდნენ წესრიგს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე.

— ეჭვი არაა ბრიტანეთს ფეხბურთის საპოლიციო საქმეებში უდიდესი ცოდნა აქვს — თქვა სტროუმ ამასწინდელ ღია სემინარზე, რომელიც „ბლექბერნ როვერსის" სტადიონზე მოაწყო.

მართლაც, ევრო 96-ზე ფაქტობრივად არ ყოფილა დიდი, საბედისწერო არეულობა, გულშემატკივრები და პოლიციელები კი ერთად ფოტოებს იღებდნენ.

ფრანგებს ვითარების გასაკონტროლებლად 6 ათასი პოლიციელი და ასეულობით ჯარისკაცი ჰყავთ გამოყოფილი, მაგრამ განა გამორიცხულია ბრიტანელმა ფანებმა მათ ახლებური ხულიგნობა შესთავაზონ?

— ვლელავ, მაინტერესებს როგორ აპირებს პოლიცია ინგლისელ ქომაგებთან ურთიერთობის გარკვევას. ფრანგი პოლიციელები ხომ უხეშები არიან — თქვა ინგლისის ფეხბურთის ქომაგთა ასოციაციის წარმომადგენელმა შეილა სპაიერსმა.

ბრიტანეთის პოლიცია უფრო მშვიდადაა.

— ფრანგები ურთიერთობათა ინგლისურ ყაიდაზე გადასვლას აპირებენ. ეს კი ტაქტს და იუმორს ნიშნავს — განაცხადა პოლიციის შეფთა ასოციაციის პრეს-ატაშემ.

## აფრიკის თასი '2000

# მათ მომავალი განჭვრიტეს

ეს გათამაშება ჯერ არ დასრულებულა, აფრიკის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია აფკ-ი კი გუშინ უგადუგუში შეიკრიბა და თასის მომავალი გათამაშების შესარჩევი ტურნირის კალენდარი და მონაწილეები დაამტკიცა.

აფრიკის თასის რიგით 22-ე გათამაშება ზიმბაბვეში გაიმართება 2000 წელს. ამასთანავე გადაწყდა, რომ მონაწილეობის უფლება ლიბიასაც დაერთოს, რომელიც 1988 წელს, ლოკერბიში მომხდარი ავიაკატასტროფის შემდეგ გაეროსგან მიღებული სანქციების გამო აფკ-დან დისკვალიფიცირებული იყო. აფკ-ის გადაწყვეტილებით, ლიბია, რომელიც შარშან პან-არაბულ თამაშებში (პან-ამერიკული თამაშების აფრო-აზიული ანალოგია) მონაწილეობდა, მომდევნო თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირშიც იასპარეზებს. მათი პირველი მეტოქე ალჟირი იქნება. დადებითად გადაწყდა ნიგერიის საკითხიც, გუნდისა, რომელმაც 1994 წელს გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ მავანთა სანქციების გამო ბოლო ორი პირველობა გამოტოვა. ნიგერია, ლიბიისგან განსხვავებით, პირდაპირ შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპზე, მეხუთე ჯგუფში განთესეს. სხვათა შორის, 2000 წლის აფრიკის თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში ნიგერია პირველ შეხვედრას ოქტომბერში ამჟამინდელი ჩემპიონატის მასპინძელ ბურკინა ფასოსთან გამართავს.

სხვა მხრივ შავი კონტინენტის თასის მორიგი გათამაშება იმითაა აღსანიშნავი, რომ მისი მონაწილე 45 ქვეყანა იქნება, რაც აქამდე არ მომხდარა. პირველად ითამაშებენ ჯიბუტი, სან ტომე დე პრინსიპი და ერითრეა. სხვათა შორის, ახალწარმოქმნილი ერითრეა შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპზე ეთიოპიას შეხვდება, ქვეყანას, რომლის კოლონიაც იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იყო.

შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპზე დაწყვილებული გუნდები მიმოსვლითი სისტემით (პირველი მატჩები წლეულს 31 ივლისს, 1 და 2 აგვისტოს, განმეორებითი კი 14-16 აგვისტოს გაიმართება) გამარჯვებულთა ვინაობას გაარკვევენ, მოგებულები კი შვიდ ჯგუფში გადანაწილდებიან.

დღეს ფინალში დამარცხებული გუნდი მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ითამაშებს, გამარჯვებული კი მასპინძელ ზიმბაბვესთან ერთად ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაიშვება.

ქვემოთ თასის მორიგი გათამაშების შესარჩევი ტურნირის გუშინ გამართული კენჭისყრის შედეგებს შემოგთავაზებთ:

**I ჯგუფი:** კამერუნი, განა, ბოტსვანა ან მოზამბიკი, ერითრეა ან ეთიოპია.

**II ჯგუფი:** გვინეა, მაროკო, სან ტომე დე პრინსიპი ან ტოგო, მავრიტანია ან სიერა ლეონე

**III ჯგუფი:** კოტ დივუარი, კაბო ვერდე ან მალი, მალავი ან ნამიბია, კონგო ან ჩადი

**IV ჯგუფი:** ეგვიპტე ან ს. აფრიკა, ანგოლა ან ბენინი, ეკვატორული გვინეა ან გაბონი, ლესოტო ან მავრიკეთი

**V ჯგუფი:** ბურკინა ფასო, ნიგერია, გამბია ან სენეგალი, ბურუნდი ან ტანზანია

**IV ჯგუფი:** კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ყოფილი ზაირი), ზამბია, ჯიბუტი ან კენია, მადაგასკარი ან სვაზილენდი

**IV ჯგუფი:** ტუნისი, ალჟირი ან ლიბია, ლიბერია ან ნიგერი, რუანდა ან უგანდა

P.S. თითო ჯგუფიდან პირველ ორ ადგილზე გასული გუნდი ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს, იქ კი მათ თასის მფლობელი და მასპინძელი დაემატება. თამაშები ჯგუფურ ტურნირში შემოდგომაზე, კერძოდ კი ოქტომბერში დაიწყება და მომავალი წლის ივნისში დასრულდება.

## ინგლისი

### თასის გათამაშების მეხუთე წრე

საპასუხო მატჩები

**ბარნსლი 3:2 მანჩესტერი**

**ბარნსლი:** უოტსონი, ეპლბი (შერიდანი 65), მოუზისი, ჰენდრი (ლიდელი 46), რედფერნი, ბალოკი (მარსელი 73), მარკშტედი, უორდი, ბერნარდი, ჯოუნსი, ბოზანჩიჩი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, მეი, პალისტერი, ფ. ნევილი, ტორნლი, კლეგი (ტვისი 78), ნივლენდი (შერინგემი 34), ბექემი, მაკლეირი (ირვინი 49), კოული

1:0 ჰენდრი (9), 2:0 ჯონსი (45), 2:1 შერინგემი (56), 3:1 ჯონსი (65), 3:2 კოული (81)

ა, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა მზაკვრულია ოლიმპიური გათამაშების პრინციპი — დამარცხებული უმალვე წყვეტს ბრძოლას, არანაირი შანსი გადარჩენისა.

# იუნაიტედი უქიმერიონი არაა



ბარნსლი — მანჩესტერი. ჯონსის მეორე გოლმა სტუმრები წელში გატეხა

პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში პირველობისთვის მებრძოლ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს, ალექს ფერგიუსონს ეგებ კიდეც გაუხარდა „ბარნსლისთან“ მარცხი — ჩემპიონობის და ლიგის მოგებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, ამათთან შედარებით წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვან ასოციაციის თასზე ძალების ხარჯვას კი შესაძლოა, ალისფერი ეშმაკებისთვის არასასიამოვნო შედეგები მოეტანა. სტუმართა შემადგენლობა უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ფერგიუსონი მატჩს არც ისე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ ვეჭვობ, უსახურ „ბარნსლისთან“ წაგება ვინმესთვის სახეირო იყოს.

ხლობათ, ყველა თქვენთაგანს უნახავს „ფელა“. გახსოვთ განუმეორებელი იპოლიტე ხვიჩიას ცნობილი კინოგმირი? ფეხბურთთან მწყრალად მყოფი „ფელა“, როცა ოლიმპიური სისტემის არსს გაეცნო, მას დიდი სიხარულით შეხვდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ხვდებოდა გათამაშების მზაკვრობას და მარცხის შიშიც თანდათან ემატებოდა. „ფელას“ სასიხარულოდ, მისი შეკოწიწებული „უქიმერიონი“ მუდამ გამარჯვებული რჩებოდა, ა, ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი დამარცხდა, თან, რაც ყველაზე ცუდია, დამარცხდა სამარცხვინოდ და გუნდთან, რომელსაც ჩემპიონატის პირველ წრეში 7:0 სძლია.

პირველ შეხვედრაში მანჩესტერში მიღწეულმა ფრემ (1:1) ბარნსლელებს განმეორებითი მატჩის წინ ფრთები შეასხა და მასპინძლებმაც თავიდანვე ისე შეუტიეს მეტოქეს, თითქოს ქვეყნის ჩემპიონს კი არა, რომელიღაც მესამე-მეოთხე დივიზიონის გუნდს ეთამაშებოდნენ. ცხადია, რომ გაიმარჯვო, უნდა შეუტიო კიდეც, მაგრამ „ბარნსლისგან“ ამგვარ იერიშებს არავინ ელოდა.

რას შვრებოდა ამ დროს „მანჩესტერ იუნაიტედი“? გუნდი ქაოსურად იცავდა თავს, რასაც მოჰყვა კიდეც ჰენდრის გოლი — ბერნარდმა მარჯვენა ფრთაზე მეტად გაილაღა, მისი გადაცემით კი ორ სტუმარ მცველს შორის მოქცეულმა ჰენდრიმ იხეირა. ის-ის იყო მსაჯს გუნდები შესვენებაზე უნდა გაეხმო, რომ სკოტ ჯონსმა მეორედ დალაშქრა სტუმართა კარი.

საშინელი თამაში არც მეორე ნახევარში გამოსწორებულა, ერთი ეგ იყო, „ბარნსლის“ კარში ორჯერ შევარდა ბურთი — სტუმრები განადგურებას და სირცხვილს შერინგემმა და კოულმა გადაარჩინეს. „მანჩესტერ იუნაიტედს“ აშკარად აკლდა მოთამაშე, რომელიც გარდა იმისა, რომ თავდასხმაში შედეგიანად გაირჯებოდა, დაცვასაც სათანადოდ მიხედავდა.

ახლა „ბარნსლი“ მეექვსე წრეში, იგივე მეოთხედფინალში თემურ ქეცბაიას „ნიუკასლს“ სტუმრობს. იმედია, დაჩაჩანაკებული „ნიუკასლი“ შეძლებს პრემიერლიგის დებიუტანტის ძლევას და ნახევარფინალში გასვლას.

...„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამ შეხვედრამდე ბოლოს „ოუკველზე“ შორეულ 1964 წელს ითამაშა და 4:0 მოიგო. ის შეხვედრაც, ახლანდელის დარად, თასის გათამაშების მეხუთე წრის მატჩი გახლდათ. მაშინ მეტ ბასბის გუნდში ჯორჯ ბესტი, დენის ლოუ, ბობი ჩარლტონი და სხვები თამაშობდნენ...

**ბლექბერნი 1:1 ვესტ ჰემი (პენ 4:5)**

**ბლექბერნი:** ფეტისი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი (დალინი 119), მაკინლი (ფლიტკროფტი 19), ენჩოსი, დაფი, კროფტი (უილკოქსი 105), სატონი, გალაჰერი

**ვესტ ჰემი:** ფორესტი, ანსუორსი, ლომასი, ფერდინანდი, მონკური, ლოზარიდისი, ლემპარდი, პირსი, იმპი, ბერკოვიჩი (აბუ 56), ჰარტსონი

0:1 ჰარტსონი (103), 1:1 რიპლი (114)

ამ სეზონში მეტოქენი განსხვავებულ პოზიციებზე არიან — აწ უკვე დამარცხებული მასპინძლები, შანსების ნაკლებობის მიუხედავად, ჯერაც ჩემპიონობის კანდიდატებად ითვლებიან, ლონდონელი „ჩაქუჩები“ კი პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან. ევროპის ბევრ ქვეყანაში ამგვარ განსხვავებულ ადგილზე მყოფი გუნდების შეხვედრებში გამარჯვებული თითქმის ყოველთვის ძლიერია, მაგრამ მოგეხსენებათ, ჩვენ ინგლისზე ვსაუბრობთ, იმ ქვეყნის საფეხბურთო ბატალიებზე, სადაც სუსტის მიერ ძლიერის ძლევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის მაგალითად ეს შეხვედრაც გამოდგება და თავში ნახსენები მატჩიც.

...ოთხ-ოთხი დარტყმა მეტოქეებმა ზუსტად შეასრულეს. ჯერი ბოლო, მეხუთე პენალტზე რომ მიდგა, მასპინძელთა გამოცდილმა შოტლანდიელმა მცველმა კოლინ ჰენდრიმ ვერ შეაგდო, ექსსიტელმა სტივ ლომასმა კი გაიტანა და...

**კრ. პალასი 1:2 არსენალი**

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი (ემბლინი 82), როჯერი, სმიტი (მაკენზი 67), ისმაელი, ჰრიდარსონი, ფალერტონი, დაიერი, ბროლინი (ლონიგენი 82)

**არსენალი:** მენინგერი, დიქსონი, ვიეირა, ადამსი, ანელკა, კეონი, აშსონი (კროუი 82), ბოა მორტე, ჰიუზი, პლატი, ბერხკამპი (ოვერმარსი 67)

0:1 ანელკა (2), 0:2 ბერხკამპი (28), 1:2 დაიერი (35)

„არსენალი“ რამდენიმე დღის წინ ლიგის თასის გათამაშებას კი გამოეთიშა, მაგრამ თანაქალაქელთა დანავსულ „სელჰარსტ პარკზე“ გამარჯვებით ასოციაციის თასს კიდევ უფრო მიუახლოვდნენ. ისე, რა გუნდი უნდა იყოს, „კრისტალ პალასი“ სტუმრად ვერ სძლიოს... მან ხომ ამ სეზონში შინ მატჩი რაა, ის ვერ მოიგო.

**ვულვზი 2:1 უიმბლდონი**

**ვულვერჰემპტონი:** სტოუელი, ატკინსი, ნეილორი, სეჯლი (სიმპსონი 38), რიჩარდსი, კერლი, პაატელაინენი, რობინსონი, კინი (უილიამსი 86), ფრიდმენი (ბალი 89), ოსბორნი

**უიმბლდონი:** სალივანი, ჯოუნსი, ბლექველი, ტეტჩერი, გეილი, პერი, ჰიუზი, ერდლი, ჯაპი (კასტელდანი 41), იუელი (კლარკი 87), ფეარი (კორტი 86)

0:1 ჯოუნსი (48), 1:1 რობინსონი (68), 2:1 ფრიდმენი (85)

გიჟმაჟმა ლონდონელებმა გადათამაშება კი წააგეს, მაგრამ მსაჯმა ერდლის და იუელის ორი გოლი არ ჩათვალა.

**ლაშა გოდუაძე**

**იტალიური** სერია A-ს კლუბი „უდინეზე“ მშვიდ ცხოვრებას ემშვიდობება. გუნდის მენეჯერ დირექტორზე ჯინო პოცოზე ამბობენ ბევრს არ იხდისო.

უცნაურია, მაგრამ ესპანურმა პოლიციამ დაადასტურა, რომ პოცოს საქმეს იტალიელები იძიებენ. თურმე პოცო თავისი საოჯახო კომპანიის ბარსელონურ განყოფილებას „უდინეზესთან“ დაკავშირებული თანხების გადასამალავად იყენებდა. თანხა 33,7 მილიონი დოლარი ყოფილა.

## პოცო რაღაცას მალავს

„უდინეზე“ პოცოების ხელში 1986 წელს გადავიდა, როდესაც კლუბი ჯინოს მამამ ჯამპაოლომ იყიდა.

ადვოკატი ალესიო ვერნი ორი წელიწადი იქექებოდა „უდინეზეს“ საქმეებში, ახლაღა კი მოითხოვა პოცოს ბარსელონური ოფისის გაჩხრეკის ნებართვა. რეაქცია უცნაური იყო, პოცოებმა თქვეს კლუბის გაყიდვა გვინდაო.

„ჩვენი ოჯახის გადაწყვეტილება ცალსახაა: „უდინეზეს“ გაყიდვა გვსურს, რადგან იურიდიულმა წნეხმა, 1986 წლის შემდეგ რომ გვაწევს, სპორტული მოღვაწეობის გაგრძელება შეუძლებელი გახადა“ — განაცხადეს ჯამპიერი და ჯინო პოცოებმა.

ჯამპიერო პოცო ხის მასალათა ნაწარმის ინდუსტრიული ჯგუფის ხელმძღვანელია. მისი კომპანია ერთდროულად იტალიასა და ესპანეთში მოქმედებს, ჰყავს 300-ზე მეტი თანამშრომელი და წლიურად 85 მილიონ დოლარს აბრუნებს.

„უდინეზე“ და პოცოთა ოჯახი დიდი ხანია იტალიური საგადასახადო სამსახურების პრესინგს განიცდიან. ჯერ კიდევ 1986 წელს ჯამპიერო პოცო და მისი გუნდის ბრაზილიელი ვარსკვლავი ზიკო იყვნენ ეჭვმიტანილნი. ხელისუფალთ ფეხბურთელისთვის უცხოეთში გადარიცხული ფული აეჭვებდათ. შემდეგ არგენტინელი მოთამაშე ნესტორ სენსინი ამოწმეს. სენსინი, რომელიც დღეს „პარმაშია“ და მისი მაშინდელი კლუბი მშრალად გამოვიდნენ.

1992 წელს საგადასახადო შეუსაბამობათა მოსაგვარებლად „უდინეზეს“ პატრონებს დიდი ფულის გადახდა მოუხდათ.

დღევანდელი გამოძიება უკვე „რომაში“ მოთამაშე სხვა არგენტინელს აბელ ბალბოსაც ეხება. ჯინო პოცო დღეს ბარსელონაშია და „გაძეტა დელო სპორტს“ იქედან, ტელეფონით მისცა ინტერვიუ:

„გამუდმებული შეტევების და გამოძიების ისეთი მეთოდების შემყურენი, რომლებიც ნარკოგამავრცელებლებთან ბრძოლისთვის უფრო გამოსადეგია, ვგონებთ მეტს ვეღარაფერს გავაწყობთ. ბრალდება სულელურია, გამოძიება წლობით გრძელდება და ვერაფერი გვიპოვეს. ეს ეჭვს მიჩენს, რომ „უდინეზე“ საგანგებო ყურადღების საგნადაა ქცეული.“

ყურადღების საგნად ქცეული „უდინეზე“ დღეისათვის ჩინებულ ფორმაშია და სერია A-ს ცხრილში მეოთხე ადგილი უჭირავს. ჯინო პოცო აცხადებს, რომ გამოძიება გუნდის თამაშზე გავლენას არ მოახდენს.

## ესპანეთი

### თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები

**მალიორკა 1:0 ალავესი**

1:0 გალვესი (86)

**სარაგოსა 0:0 ბარსელონა**

„ალავესის“ ოცნება დასამარდა — მეორე დივიზიონის კლუბი, რომელმაც ნახევარფინალამდე პრიმერა დივიზიონის რამდენიმე გუნდი ჩამოიშორა, მათ შორის მადრიდის „რეალიც“, ფინალში გასვლას ძლიერ ეცადა, მაგრამ ამას რომ ვერ შეძლებდა, პირველმა ნახევარფინალმაც დაამტკიცა — შინ 1:2 წაგებას გუნდის სულიერი დაცემა მოჰყვა. ამჯერად „მალიორკამ“ მთლიანად შებოჭა მეტოქე და გასაკვირია, გოლი ადრე რომ ვერ გაიტანა. სახიფათო მომენტებს მასპინძლები საკმაოდ ქმნიდნენ, მაგრამ პეპე გალვესის გოლამდე შედეგი არ ჩანდა.

საბოლოო ჯამში „მალიორკამ“ ორი მატჩის მიხედვით 3:1 იმარჯვა და ქვეყნის თასის ფინალში მხოლოდ მეორედ გავიდა. მისი მეტოქე კატალონიელები იქნებიან, რომლებმაც ზედიზედ მესამედ უწიეს გადამწყვეტ მატჩს — 1996 წელს ისინი „ატლეტიკომ“ დაამარცხა, შარშან კი მათ „ბეტისი“ სძლიეს. ფინალში ფავორიტად სწორედ ვან გაალის გუნდი ითვლება, რომელმაც განმეორებითი მატჩი რომ ვერ მოიგო, გასაკვირია.

...ფინალი 29 აპრილს გაიმართება.

# მაინც რა გინდოდა, ჰასენ

უეფამ დაადგინა: თასების თასის მეოთხედფინალს, „ბეტისი“ — „ჩელსი“, შვედი ლეიფ სუნდელის ნაცვლად ბულგარელი ათანას უზუნოვი გასჯის.

სუნდელთან ერთად საქეს ჩამოაცილეს თანამსაჯები მიკელ ჰანსენი და სტეფან უიტბურგი. მიზეზი: სამივენი შენიშნეს ვიპთა ლოჟაში „ბეტის“ — „ესპანიოლის“ შეხვედრის დროს.

ინგლისურ „დეილი მირორთან“ საუბრისას სუნდელმა თქვა: — უნდა მივმხვდარიყავი, რომ არასწორად ვიქცეოდი და ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ მობრუნდებოდა.

შემდეგ მან აღწერა, როგორ ჩადგა ბილეთი ასაღებად რიგში, მაგრამ „ბეტისის“ ხელმძღვანელებმა შენიშნეს, რიგს გამოსტაცეს და ვიპთა ლოჟაში პატივით მოასვენეს.

უეფას საგანგებო განცხადებაში წერია, რომ საკითხს მსაჯთა კომიტეტი იძიებს, სუნდელის საქციელს კი „უდროო ვიზიტი“ ეწოდა.

„ბატონი სუნდელი და მისი კოლეგები სამხრეთ ესპანეთში ტურნირზე იყვნენ, სადაც სკანდინავიური გუნდები თამაშობდნენ. შემდეგ მათ ინიციატივა გამოიჩინეს, სევილიას გაემგზავრნენ და დაესწრნენ ზემოხსენებულ შეხვედრას. ისინი „რეალ ბეტისის“ მიერ არ იყვნენ მიწვეულნი. მიუხედავად ამისა, კომიტეტი ვერაფრით ამართლებს ამ უდროო ვიზიტს, რომელიც „ბეტისის“ „ჩელსისთან“ უმნიშვნელოვანეს მატჩამდე ერთი კვირით ადრე განხორციელდა და ადგენს, რომ მსაჯები უნდა გამოიცვალონ, მაგრამ დისკვალიფიკაციით არ უნდა დაისაჯონ“ — ეწერა განცხადებაში.

შვედი მსაჯების იმ მატჩზე ყოფნა ესპანეთის ტელევიზიამ გამოამზეურა. კომპანია „სტატიონ პლუსის“ რეპორტაჟის დროს ნათლად გამოჩნდა, როგორ ესალმებოდა სუნდელი „ბეტისის“ გულშემატკივრებს.

გაზეთ „მარკას“ სტატიაში ეწერა: „სუნდელი ზოგიერთმა გულშემატკივარმა იცნო და ატყდა ხუმრობა, ეკითხებოდნენ, როგორ დამთავრდება თასების თასის მოახლოებული მატჩი.“

გაზეთის ცნობით, სუნდელი და მისი კოლეგები მარბელაში ნამსაჯი მატჩის შემდეგ ჩავიდნენ სევილიაში. „ბეტისის“ ოფისიდან გამოსული ხმების თანახმად კი შვედი არბიტრი წინა კვირას სტადიონზე რომ მივიდა საყვედური თქვა, აკრედიტაციის მისაღებად ფაქსი გამოვგზავნე, თქვენ კი პასუხი არ მაღირსეთო.

და მაინც, „ბეტისის“ პრეზიდენტი რუის დე ლოპერა შვედის ქომაგად დარჩა.

— ის ღირსეულად და პატიოსნად ჩამოვიდა. განსხვავებით ჩვენგან და სხვათაგან, მის ქვეყანაში უპატიოსნონი არ არიან.

პრეზიდენტს ათანას უზუნოვით სუნდელის შეცვლა არ ეჭაშნიკა. საქმე ისაა, რომ ბულგარელს 1995 წელს უკვე უმსაჯია შეხვედრა „ბეტისის“ მონაწილეობით, ფრანგულ „ბორდოსთან“.

— ჩვენზე მას აკვიატებული აზრი აქვს. მისი მსაჯობა არ გვსურს. ის თუ იმსაჯებს, საქმე კარგად არ წაგვივა.

და ბოლოს ბილეთებზე.

— „ჩელსი“ ყოველ დილა-საღამოს გვეხმაურება. ასეთ სირთულეებს არასდროს წევწყდომივარ. ჩვენს სტადიონზე ჩამოსვლას სამი ათასი ინგლისელი აპირებს. მათ დიდ ნაწილს ბილეთები არ აქვს. ისინი უმართავნი არიან.



— შესანიშნავი პლაკატია, მე პირადად ძალიან მომეწონა. იცით, ჩემს მშობლიურ ქალაქს კარგა ხანია, მოვწყდი, იქაურობა ძლიერ მომენატრა, ამ სურათის შემხედვარეს კი ბენტო რიბეირო მახსენდება, რიოს ის უბანი, რომელშიც ყრმობის წლები გავატარე. ბევრმა ეს სურათი სხვანაირად შეიძლება აღიქვას. გეფიცებით, ამაში ცუდი არაფერია, როცა გოლი გამაქვს ზუსტად ასე ვშლი ხელებს. მე ღმერთი მწამს და ამ პლაკატში ცუდს ვერაფერს ვხედავ — განაცხადა ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა რონალდომ.

...კორკოვადოს მთაზე იესო ქრისტეს ცნობილი ქანდაკება დგას, რომელიც ბრაზილიის ყოფილ დედაქალაქს ზემოდან დაჰყურებს. სანახაობა მართლაც ლამაზია. „ინტერის“ სპონსორმა, საბურავების მწარმოებელმა მძლავრმა ფირმამ „პირელიმ“ კი ახალ პლაკატზე, რომელმაც გამოსვლისთანავე ორაზროვანი რეაქცია გამოიწვია, ქრისტე რონალდოთი შეცვალა.

— ვფიქრობ, ამაში ანტიქრისტიანული არაფერია. ასე მგონია, ხალხი მიხვდება სურათში ჩადებულ აზრს და ჩვენს მოქმედებას სათანადოდ შეაფასებს — თქვა „პირელის“ პრეზიდენტმა მარკო ტრონჩეტი პროვერამ.

...და მაინც, საჭირო იყო ასეთი პლაკატი?

## თურქეთი

თასის ნახევარფინალი: ტრაბზონსპორი — გალათასარაი 0:0, ქოჩაელი — ბეშიქთაში 0:1

## ჰოლანდია

**ჰერენვენი 3:1 როდა**

0:1 ვან ჰუდტი (14), 1:1, 2:1 სამარჯიჩი (34, 59), 3:1 დე ვისერი (82)

## საჭირბოროტო ?! კითხვა–პასუხი

*— აი, გაზაფხულიც მოვიდა. რას გამოელი აქედან?*

— ბევრს არაფერს. ახალი არაფერი ხდება. აი, გიგზიც დაიმტვრა. ახალი არაფერია.

*— გიგზი თუ დაიმტვრა, როგორღა არ არის ახალი ამბავი?*

— კარგი ერთი. გიგზი შარშანაც დაიმტვრა და შარშანწინაც. საერთოდ, უცნაური ბიჭია, უელსელია და არც არის უელსელი, მაგარია და არც არის მაგარი, დამტვრეულია და არც არის დამტვრეული. საერთოდ, ზამთარში უყვარს თამაში.

*— დანარჩენ დროს?*

— დანარჩენ დროს დამტვრეულია, ან იმისთვის ემზადება, რომ დამტვრეული იყოს.

*— როგორ თუ ემზადება?*

— აი, ეგრე. ფერგიუსონმა ხომ უნდა გაიმართლოს თავი, გიგზი არა გვყავს და ვაგებთო.

*— ეგ რა გამართლებაა?*

— ერთგვარი. აი, რედონდო კი ვერაფრით გაიმართლებს თავს.

*— ეგ რედონდო რომელია?*

— აი, მაგარ გოგოს რომ ჰყავს და მაგარი ბიჭი რომაა. „რეალში“ თამაშობს.

*— რა ჩაიდინა?*

— ახალი არაფერი. „რეალმა“ „ტენერიფესთან“ წააგო.

*— უყურე შენ „ტენერიფეს“, როგორ მოახერხა ეს ამბავი?*

— ჭურში ზიხარ? საკვირველი ის იქნებოდა, „რეალს“ რომ მოეგო. მეხო კოდრო მეხივით დაეცა იმ ბრიოლინიან კასისარესს. სულ პენალტები ჩაუჯინა.

*— რატომ იქნებოდა საკვირველი? ან ეგ მეხო რა ამისთანა მეხია?*

— მეხო სულაც არ არის მეხი. ერთი თათრის ბიჭია. უბრალოდ, „რეალს“ უჭირს კუნძულელებთან თამაში. სულ ასეა, რაც რედონდო „ტენერიფედან“ „რეალში“ გადავიდა. „რეალს“ რომ რედონდო არ გადმოეყვანა, ყოველთვის აჯობებდა „ტენერიფეს“.

*— უცნაური ხომ არ არის ეს ლაპარაკი?*

— ეგებ უცნაურიც იყოს, მაგრამ იმაზე უცნაური მაინც არ არის, ფრანგებს რაც სჭირთ.

*— ფრანგებს რაღა სჭირთ?*

— რა და, იმის მაგივრად, რომ აფრიკის მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, ნორვეგიელებს ეთამაშებიან.

*— გამაგიჟებს ეს კაცი. რა უნდათ ფრანგებს აფრიკის ჩემპიონატში?*

— რა და, ოქროს მედლები. უეჭველად გახდებოდნენ აფრიკის ჩემპიონები, მაგრამ ემე ჟაკეს ჰგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდება და ამიტომ არ წავიდა აფრიკის ჩემპიონატზე, არ დაგვითარსოო.

*— და განა შეიძლება ევროპის გუნდი აფრიკის ჩემპიონატში მონაწილეობდეს?*

— როგორ არა. მითუმეტეს, როცა ევროპის ჩემპიონატში ვერანაირ ტურას ვერ დაიჭერს. ხომ გახსოვს, რა ტურაც დაიჭირეს ტურამმა და სხვებმა?

*— მაინც ვერ გავიგე, როგორ შეიძლება ევროპელი აფრიკის პირველობაზე დაუშვან.*

— საკვირველი ის არის, რომ ლილიან ტურამს და იბრაჰიმ ბას უშვებენ ევროპის ჩემპიონატზე და არა ის, რომ ზინედინ ზიდანი აფრიკის ჩემპიონი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რახან აფრიკის თასზე ნიგერია არ არის, ფრანგებმაც არ იკადრეს.

*— ნიგერიაო... ნიგერიაშიც არაფერია ახალი?*

— არც ისე. კვირას კანუ გამოვიდა „ლაციოსთან“.

*— მერე?*

— მერე გამოჩნდა, რომ ახლა გული კი აღარ სტკივა, არამედ შესტკივა.

*— ეგ როგორ?*

— როგორ და ისე. რონალდოს არ შესტკივა, ჯორკაეფს არ შესტკივა, კანუს კი შესტკივა — აქაოდა, დიდხანს მეძინაო.

*— რა მიზეზია, რომ „ინტერი“ ვერ იგებს?*

— მე ბერგომის ტელევიზორთან ვეძებდი, ის კი კაპიტანია.

*— ვინ არის ბერგომი?*

— „ინტერის“ ბრეჟნევი.

*— მაშ, საქმე ჩაფლავებულია?*

— ეგ ხუუბ სტევენსს ჰკითხე. კაცია ეგეთი. სან-სირო იმან იცის.

*— და გაზა რას ამბობს, გაზა?*

— იქნებ კრიკეტზე გველაპარაკა. ახალი ისედაც არაფერია.



DON BALON

## რკინის დაბრუნება

ფერნანდო იერო, მადრიდის „რეალის“ ცნობილი მცველი, მოედანზე დასაბრუნებლად უკეთეს დროს ვერ იპოვნიდა, ვიდრე „მალიორკასთან“ ამ ტურის შეხვედრაა.

იეროს არყოფნისას „რეალმა“ შავი დღეები გადაიტანა და ახლა უმძიმესი კვირა ელის. ოთხშაბათს მადრიდელები ჩემპიონთა თასზე ლევერკუზენის „ბაიერს“ ეთამაშებიან, შემდეგ შაბათს კი ესპანეთის პირველობაზე ბარსელონაში გადახდება დიდი ბრძოლა.

იეროს მნიშვნელოვნება ყველასთვის თვალსაჩინოა. ფეხბურთელმა კუნთი გაიჭიმა, გრიპიც გადაიტანა და... თუნდაც ბოლო თამაშის ამბავი გავიხსენოთ, „რეალი“ 3:1-ს იგებდა და ბოლო 6 წუთში ორი გოლი გაუშვა.

იერო ესპანურად რკინას ნიშნავს. მას ჰკითხეს, მოედანს რომ დაუბრუნდებით, გუნდი უკეთ თუ ათამაშდებაო. „მე რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ამდენს ვერ გაგვიტანდნენ. „მალიორკასთან“ შეხვედრა ჩემპიონთა თასის მატჩის წინ ჭკუის სასწავლებელი იყო, მე ბევრი დასკვნა გავაკეთე.“

იეროს დაბრუნება მწვრთნელს იუპ ჰაინკესს რაულის დასვენების საშუალებას მისცემს. რული „მალიორკასთან“ არ ითამაშებს, „ლევერკუზენთან“ თამაშის წინ დაისვენებს, თუმცა კაცი „მალიორკასგან“ წესით სიურპრიზებს უნდა ელოდეს. ეს გუნდი უკვე ბევრს ამწარებს, ცხრილში მეხუთე ადგილზეა, თასზე კი ნახევარფინალში „ალავესს“ მოუგო და ისტორიაში მეორედ გავიდა ფინალში.

„მალიორკას“ წინსვლის დიდი იმედი აქვს. მისი მწვრთნელი ექტორ კუპერი ამბობს: — ჩვენ „რეალის“ დამარცხება შეგვიძლია, მწამს მძიმე წუთებს დავუყენებთ.

„მალიორკა“ თასის ფინალში გასვლით მომავალ სეზონში თასების თასზე ითამაშებს. მიზეზი ისაა, რომ მისი მეტოქე, მეორე ფინალისტი, „ბარსელონა“ უეჭველად პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებს ჩემპიონატში და ჩემპიონთა თასზე გავა, თასების თასზე კი მალიორკელებს გაუშვებს.

„მალიორკასა“ და „სელტას“, „რეალ სოსიედადისა“ და „ატლეტიკოს“, „რეალ ბეტისისა“ და ცხადია „ბარსელონას“ დაწინაურება მადრიდის „რეალისთვის“ მეტად არასასურველი გახლავთ. „რეალს“ აუცილებლად სჭირდება ჩემპიონობა, თუ არა მეორე ადგილი მაინც, რათა მომავალ ლიგაში მოხვდეს. ამას „სამეფო გუნდისგან“ სხვა თუ არაფერი, ფინანსური მდგომარეობა ითხოვს.

„მალიორკასაც“ კი არა აქვს ასე საქმე. ამბობენ, ბანკმა „კახამადრიდმა“ დიდ „რეალს“ ფული ასესხა რათა მის ხელმძღვანელებს ფეხბურთელებისთვის ხელფასი გადაეხადაო.

ფერნანდო ეროს მოედანზე დაბრუნებამ იქნებ ბევრი რამ შეცვალოს.

## და რა შუაშია აქ „იუვენტუსი“?

„კრისტალ პალასში“ დიდი ცვლილებებია! მთავარი გახლავთ ის, რომ ეს ლონდონური კლუბი თავმჯდომარემ რონ ნოდსმა 49,5 მილიონი დოლარის საფასურად კომპიუტერული ინდუსტრიის მაგნატს, მილიონერ მარკ გოლდბერგს მიჰყიდა. ორიოდ დღის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გოლდბერგმა სხვათა და სხვათა შორის თქვა ჩვენი კლუბის აქციათა 10 პროცენტი იტალიის ჩემპიონს, „იუვენტუსს“ გადაეცემაო.

რა შუაშია აქ „იუვენტუსი“?

„გაძეტა დელო სპორტმა“ ამის გასარკვევად „იუვეს“ ვიცე-პრეზიდენტს რობერტო ბეტეგას დაუსვა კითხვები. ბეტეგამ მხრები აიჩეჩა:

— ამის მესახებ არაფერი ვიცი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი არაფერი მომხდარა. ამ წუთისთვის „იუვენტუსსა“ და „კრისტალ პალასს“ შორის რაიმე ფინანსური ან კომერციული გარიგება არ არსებობს. ერთადერთი ხელშეკრულება, რაც ლონდონელებთან გვაკავშირებს, ტექნიკურ თანამშრომლობას ეხება, წილი კი, ვიმეორებ, „კრისტალ პალასში“ არ გვაქვს.

ბეტეგამ ეს კი თქვა, მაგრამ იტალიური მას-მედია არ ცხრება. რომაული და მილანური გაზეთები წერენ, რომ მხარეთა წარმომადგენლები თუ აქამდე არ გარიგებულან, აუცილებლად გარიგდებიან. საამისო პირობა ის ტექნიკური თანამშრომლობაა, ზემოთ ბეტეგამ რომ ახსენა. „იუვენტუსი“ „კრისტალ პალასს“ რჩევებს აძლევს და თან ორი ფეხბურთელი ატილიო ლომბარდო და მიკელე პადოვანო მიჰყიდა. იმასაც ამბობენ 10 პროცენტიანი წილი ამ მოთამაშეთა ფასიაო. ანგარიში მაისში უნდა გასწორდეს.

კიდევ ერთი ცვლილების შესახებ ლონდონელების მწვრთნელმა სტივ კოპელმა ისაუბრა. საქმე მის გადადგომას ეხება.

— ვითარება ასეთია: კოპელმა თქვა, რომ როგორც კი კლუბი ახალ მწვრთნელს მოძებნის, ის გადადგება — დაადასტურა „პალასის“ პრეს-ატაშემ.

როგორც ჩანს, „ახალი მწვრთნელი“ ტერი ვენეიბლზს ნიშნავს. გოლდბერგი მისი თაყვანისმცემელია. ვინ არის ვენეიბლზი, ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ერთადერთი პრობლემა, მისი ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა გახლავთ. ჯერ იმ კონტრაქტის ვადა უნდა ამოიწუროს, რომლის თანახმადაც ვენეიბლზი ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელია, შემდეგ კი შესაძლოა იგი დაუბრუნდეს გუნდს, რომელსაც 70-იან წლებში ერთობ სიამოვნებით ედგა სათავეში.

გოლდბერგი ვენეიბლზზე ნადირობის გარდა სხვა საქმეებსაც შეუდგა. უპირველესად მაინც ტრანსფერზეა საუბარი. მან „ასტონ ვილას“ ხელმძღვანელებს საშა ჩურჩიჩზე ჩამოუგდო სიტყვა და ასე, მილიონი გირვანქა შესთავაზა. შედეგი ჯერ არ არის.

## რაო, გრეგორიო?

### რატომ წავიდა „ასტონ ვილადან“ ბრაიან ლიტლი?

თავად ამბობს, ძალა არავის დაუტანებია, მე თვითონ გადავდექიო. არადა, უცნაურ დროს გადადგა, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ უეფს თასის მეოთხედფინალამდე ერთი კვირით ადრე.

ისე, ლიტლს წამოცდა, რაღაც-რაღაცეები კულისებშიც ხდებოდაო. რა რაღაც-რაღაცეებიო, ჰკითხეს, მაგრამ არ უპასუხა.

— წასვლაზე კარგა ხანია ვფიქრობ. წუთიერი აღელვების გამო არაფერი გადამიწყვეტია. ბოლო კვირების განმავლობაში ჩემზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ჩავთვალე, რომ ამას ფეხბურთელებზე ცუდი გავლენა ექნებოდა. ახლა იმედი მაქვს, რომ წასვლით გუნდს ზეწოლას ავაცილებ — ასეთი პასუხი გასცა.

ფეხბურთელობისას „ვილა პარკის“ პუბლიკას ლიტლი ძალიან უყვარდა, მან 300 თამაშში 82 გოლი გაიტანა.

— როდესაც სამი წლის წინ გუნდს მწვრთნელად დავუბრუნდი, ვიმედოვნებდი, რომ ძველებურ წარმატებას მივაღწევდი. რაღაც გამარჯვებები გვქონდა კიდეც: კოკა-კოლას თასი და ორჯერ ევროთასებზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ, მაგრამ ამ სეზონში საქმე ცუდად წაგვივიდა. რვა თვეა, ვერაფერს ვახერხებთ და საკმარისია. თანამდებობიდან ჩემით მივდივარ, გული არ მწყდება. მოხდა ისეთი რაღაცეები, რაც მიმანიშნებს, რომ წასვლა დროულია. დაბრუნებით კი იქნებ ოდესმე მართლაც დავბრუნდე.

თავიდან თქვეს, ახალი მწვრთნელის მოსვლამდე გუნდს ლიტლის ასისტენტი ალან ევანსი გაუძღვებაო. ევანსი ამბობს: — ბრაიანის წასვლაზე პირი დავაღე. წარმოიდგინეთ, მადრიდში ვიყავი „ატლეტიკოს“ დასაზვერად და წარმოდგენაც არ მქონდა...

„ვილას“ ხელმძღვანელებს კი მკაფიოდ ჰქონდათ გუნდის მომავალი წარმოდგენილი. რა ევანსი, რის ევანსი, ლიტლის შემცვლელი მეორე დღესვე დაინიშნა — ჯონ გრეგორი.

— სამსახური საღამო ექვს საათზე შემომთავაზეს და არც დამიხანებია, ისე ვთქვი, დიახ. ვიცოდი, ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არაფრით შეიძლებოდა. ვინ იცის, ბედი მეორედ როდის გაგიღიმებს. საქმეს ორივე ხელით ჩავებღაუჭე. მჯერა, წარმატებას მივაღწევ — თქვა გრეგორიმ.

გრეგორის აზრით, „ასტონ ვილა“ ის გუნდია, რომელიც ყოველი სეზონის ბოლოს ცხრილის ზედა ოთხეულში უნდა ვეძებოთ, თუმცა ისიც კარგად მოეხსენება, რომ წლეულს ეს შეუძლებელი ამბავია. მან თქვა, „ქოვენთრისთან“ შინ წაგება (პირველად ისტორიაში, ასოციაციის თასზე) განგაშს ნიშნავს, თუმცა რაკილა საიმონ გრეისონი და სტენ კოლიმორი ჯერ კიდევ გუნდში არიან, მომავლის იმედი მაქვსო.

გრეგორის მოსვლა ბევრისთვის ისეთივე სიურპრიზი იყო, როგორც ლიტლის წასვლა. მასთან ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი დადეს, არადა გულშემატკივრები ვინმე ცნობილს ელოდნენ, ვთქვათ, ტერი ვენეიბლზს, ბობი რობსონს, დევიდ პლატს ან თუ გნებავთ რუუდ გულიტს.

ლიტლის წასვლამდე „ასტონ ვილას“ შანსს „ატლეტიკოსთან“ 10-1 აფასებდნენ. ახლა ბუქმეიქერების აზრია 5-1.

— დღეს ჩემი ერთადერთი მიზანი „ვილას“ პრემიერლიგაში დატოვებაა — ამბობს 43 წლის გრეგორი — დაგვრჩა 11 თამაში და ვფიქრობ 42-ან 43 ქულა საკმარისი იქნება. თუ ამ ამოცანას გადავჭრით, მერე სხვანაირ მომავალზეც ვიფიქრებთ.

დღეს ბირმინგემის გუნდს 30 ქულა აქვს და 20-იან ცხრილში მე-15 ადგილზეა. გრეგორი ფეხბურთელებს ებლაუჭება. მას ირლანდიელი სტივ სტონტონის გაშვებაც კი არ სურს, თუმცა სტონტონს კონტრაქტის ვადა გაუდის და ბოსმანის წესის თანახმად თავისუფალი კაცი ხდება. ესე იგი, ახალი მწვრთნელი ძველ ირლანდიელს ახალ ხელშეკრულებას შესთავაზებს.

კითხვაზე, საიდან მოიყვანეს ეს გრეგორი, პასუხია: მეორე დივიზიონის „ვიკომბ უონდერერზიდან“. ის ადრე „ასტონ ვილას“ ფეხბურთელი იყო, მწვრთნელად კი ბრაიან ლიტლთან ერთად მუშაობდა, ჯერ „ლესტერში“, მერე კი „ვილაში“. ცხადია, ასისტენტი იყო. „ვილადან“ ერთი წლის წინ წავიდა „ვიკომბში“.

„ვილა პარკზე“ თამაშის წლებში გრეგორის „მისტერ ნაირსახეობას“ უწოდებდნენ. 1977-1979 წლებში, ორ სეზონში ცხრა პოზიციაზე გასინჯეს, ხოლო შემდეგ „ბრაიტონს“, „ქუინზ პარკს“, „დერბის“ და „პორტსმუთს“ მოედო. 80-იანი წლების დასაწყისში ექვსჯერ ნაკრებშიც ათამაშეს. გრეგორი იმ „ქუინზ პარკში“ იყო, 1982 წლის ასოციაციის თასის ფინალში „ტოტენჰემთან“ რომ წააგო.

### ჯონ გრეგორი

დაიბადა 1954 წლის 11 მაისს.
1973: „ნორთჰემპტონში“ პროფესიონალი ფეხბურთელი ხდება.
1977: გადადის „ასტონ ვილაში“.
1981: გადადის „ქუინზ პარკ რეინჯერსში“.
1982: იღებს ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში დამარცხებულის მედალს.
1983: პირველ თამაშს ატარებს ინგლისის ნაკრებში.
1985: გადადის „დერბი ქაუნთიში“ და 1987 წელს ხდება მეორე დივიზიონის ჩემპიონი.
1988: გადადის „პორტსმუთში“ მოთამაშე მწვრთნელად.
1989: ხდება „პორტსმუთის“ მწვრთნელი.
1990: ხდება „პორტსმუთის“ მოთამაშე და მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი. იმავე წლის მარტში გადადის „ბოლტონ უონდერერზში“, სადაც 7 მატჩში იღებს მონაწილეობას, შემდეგ კი ფეხბურთელობას თავს ანებებს.
1991: ხდება „ლესტერ სიტის“ ერთ-ერთი მწვრთნელი.
1994: ხდება „ასტონ ვილას“ ერთ-ერთი მწვრთნელი.
1997: ხდება „ვიკომბ უონდერერზის“ მწვრთნელი.
1998: 25 თებერვალს „ასტონ ვილას“ მწვრთნელად იწყებს მუშაობას.


## სარბიელი
### სპორტული ლატარია “CROCO”

**უეფას თასი. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები

3 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინტერი — შალკე | (1,2-3,5) | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| აიაქსი — სპარტაკი | (1,1-5,0) | 1,2 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ლაციო — ოსერი | (1,2-3,5) | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ატლეტიკო — ასტონ ვილა | (1,3-2,8) | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | | 2,0 | 3,2 | 2,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი — დინამო | (1,1-5,0) | 1,25 | 4,2 | 7,5 |
| 0:1 | | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| მონაკო — მანჩესტერი | (3,5-1,2) | 2,4 | 2,7 | 2,6 |
| ლევერკუზენი — რეალი | (2,0-1,5) | 1,8 | 2,8 | 4,0 |
| ბაიერნი — დორტმუნდი | (1,3-2,8) | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | | 1,8 | 3,2 | 2,4 |

**თასების თასი. მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები

5 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სლავია — შტუტგარტი | (5,0-1,1) | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| როდა — ვიჩენცა | (3,5-1,2) | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| აეკ — ლოკომოტივი | (1,35-2,5) | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| ბეტისი — ჩელსი | (1,8-1,6) | 1,8 | 3,0 | 3,6 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პრემიერლიგიდან შარშან ჩამოქვეითებული „ნოტინგემ ფორესტის" თავკაცები ერთობ შეუშფოთებია კლუბის ფინანსურ ზარალს, რომელმაც ქვეყნის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის შემდეგ 10,6 მილიონ დოლარს მიაღწია. საქმე ამით არ დამთავრებულა, პირიქით, ფინანსური კრახი უფრო და უფრო იზრდება. ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი გუნდის (1979 და 1980 წლებში) თავმჯდომარემ ნაიჯელ ლერემ განაცხადა, თუ ამ სეზონში პრემიერლიგას არ დავუბრუნდით, ზარალის შესამცირებლად და დასაფარავად წამყვანი მოთამაშეების გაყიდვა მოგვიწევსო. „ნოტინგემი" პირველ დივიზიონში ამჟამად მეორე ადგილზეა.

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა, „მეცმა" უარყო ცნობა იმის თაობაზე, თითქოს გუნდის უპირველეს ბომბარდირს, რობერტ პირესს სეზონის ბოლოს წასვლა სურდა. 25 წლის პირესის შეძენის სურვილი ბევრმა კლუბმა გამოთქვა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის, კარლო მოლინარის თქმით, ფეხბურთელმა კარიერის უცხოეთში გაგრძელებას შინ დარჩენა ამჯობინა. მოლინარმა ისიც დასძინა, თუ ვინმეს პირესის ყიდვა მოუნდება, 9 მილიონი დოლარი შემოგვთავაზოს და მერე ვილაპარაკოთო.

**შოტლანდიის** ნაკრებისა და „გლაზგო რეინჯერსის" ვეტერან მცველს, გორდონ დიურის, ჩემპიონატში „კილმარნოკთან" მატჩში მეტოქესთან შეჯახებისას თავი გაუტყდა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ფეხბურთელიც მალე განაახლებს ვარჯიშს, თუმცა, თავით თამაშს რომ მოერიდება, ცხადია.

**გერმანიის** ჩემპიონატის ლიდერმა, „კაიზერსლაუტერნმა" ბომბარდირი ოლაფ მარშალი კვლავ გაურკვეველი დროით მოისაკლისა. გუშინ „კარლსრუესთან" თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ვეტერანმა თავდამსხმელმა მუხლი დაიზიანა და გარდა იმისა, რომ მატჩს გამოაკლდა, შესაძლოა, კიდევ კარგა ხანი ვეღარ ითამაშოს.

**რუმინეთის** პოლიციამ მეტად იყოჩაღა და ბუქარესტის „დინამოს" 1000-მდე ქომაგიდან 14 გამორჩეული ხულიგანი დააკავა. თასის მეოთხედფინალში, „ოცელულთან" საყვარელი გუნდის თანმხლებმა ვაი-გულშემატკივრებმა მატარებელში მგზავრები შეურაცხყვეს, ამასთანავე, ვაგონების ფანჯრები ჩაამსხვრიეს. სამართალდამცავებმა შფოთისთავების დასჯა არ იკმარეს და კლუბი გვარიანი თანხით დააჯარიმეს.

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციამ დოპინგ-კონტროლზე გამოჭერილი ორი ფეხბურთელი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. პსჟ-ს ვინსენ გერენი და „ტულუზის" დომინიკ არნბაჟი აკრძალული პრეპარატების მიღებაში შარშან ამხილეს, მას შემდეგ კი ფედერაცია მათი სპორტული აფერისტობის დამტკიცებას ლამობდა. ეს ორი კი დაისაჯა, მაგრამ მესამე ეჭვმიტანილი, „ოსერის" ანტონ სიბიერსკი ცამდე მართალი აღმოჩნდა.

**გერმანელი** იურგენ კლინსმანი, რომელიც თებერვლის დასაწყისში დაშავდა, გამოჯანმრთელდა და ამ უქმეებზე შესაძლოა, ჩემპიონატში ითამაშოს კიდეც.

**გერმანიის** 1995 და 1996 წლების ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას" სასამართლოში ექნება საქმე კლუბის მეკარემ, შტეფან კლოსმა, რომელსაც კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ვის გაშვებასაც „ბორუსია" არ აპირებს, განაცხადა, თუ გუნდმა ოფიციალურად არ დამაყენა ტრანსფერზე, საქმეს ძალიან გავუჭირვებო. მანვე დასძინა, რკინის ქალამნებს ჩავიცმევ და მსოფლიოს ჩემპიონატშიც რომ ვერ ვითამაშო, ჩემსას მაინც მივაღწევო.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაცია „უემბლის" შემცვლელს ეძებს. მოგეხსენებათ, ინგლისის უპირველესი სტადიონი, რომელიც მხოლოდ გამორჩეულ შეხვედრებს მასპინძლობს, 1999 წლის გაზაფხულზე, ქვეყნის თასის ფინალის შემდეგ, სარესტავრაციო სამუშაოების გამო რამდენიმე წლით დაიხურება. ამ ხნის განმავლობაში კი ქვეყნის ნაკრებს სხვაგან მოუწევს ბურთაობა. „უემბლის" შემცვლელად ამ დღეებში თვიქნემის 75-ათასიანი სარბიელი დაასახელეს, მაგრამ წინადადებას მხარი არც ფეხბურთის ასოციაციაში დაუჭირეს და არც რაგბის კავშირში.

**უნგრეთის** ნაკრების მწვრთნელს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია რამდენიმე დღეში გაარკვევს, მანამდე კი კანდიდატთა ვინაობები დასახელდა, რომელთა შორისაც ყველას გასაკვირად, ნაკრები გუნდის ამჟამინდელი თავკაცი იანოშ ცანკიცაა, ვის ხელშიც უნგრელებმა მარცხი მარცხზე განიცადეს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი-ოფში კი იუგოსლავიასთან ორჯერ საშინლად დამარცხდნენ. ცანკის გარდა კანდიდატებად „გიორ ეტოს" ტექნიკურ დირექტორ ბარტალან ბეცკეის, ბუდაპეშტის „ვაშაშის" თავკაც იმრე გელეის და დედაქალაქისვე მტკ-ს მწვრთნელ გეორგ მეცაის მოიხსენიებენ. სხვათა შორის, გელეის გარდა ნაკრებს ორივე კანდიდატი წვრთნიდა — მეცაიმ გუნდი 1986 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, მეორედ კი ქვეყნის პირველ გუნდს სათავეში 1988 წელს ჩაუდგა, როცა ბეცკეი შეცვალა, რომელიც ნაკრებს მხოლოდ ცხრა შეხვედრაში თავკაცობდა.

**იტალიის** ჩემპიონატის აუტსაიდერ „ნაპოლის" მეკარემ ჯუზეპე ტალიალატელამ განაცხადა, მზად ვარ, გუნდთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გავაგრძელოო. მან ისიც დასძინა, ამჟამად ძირითადი მეკარე კი ვარ, მაგრამ მომავალში ჩემს შემცვლელებად ვალერიო ვისკონტი და ფერდინანდო კოპოლა მესახებიანო. ტალიალატელამ „ნაპოლიში" პირველად 1988 წელს ითამაშა და მას შემდეგ გუნდის ერთგულია.

**სამხრეთ ამერიკის** კონტინენტზე ლიბერტადორესის თასის მორიგი გათამაშების პირველი მატჩები გაიმართა: ამერიკა (კოლუმბია) — ატლეტიკო ბუკამარანგა (კოლუმბია) 2:1, ბარსელონა (ეკვადორი) — დეპორტივო კიტო (ეკვადორი) 0:0, ოლიმპია (პარაგვაი) — სერო პორტენო (პარაგვაი) 5:1, კოლო კოლო (ჩილე) — კატოლიკა (ჩილე) 3:1, პენიაროლი (ურუგვაი) — ნასიონალი (ურუგვაი) 2:1, ბოლივარი (ბოლივია) — ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) 3:2.

**ინგლისის** „ევერტონმა" მორიგი მოთამაშე რონ ატკინსონი შეიძინა, კაცი, რომელიც რამდენიმე წლის წინ კლუბის ყველაზე სატულველ მეტოქე „ლივერპულში" თამაშობდა. 1994 წელს ატკინსონი „ლივერპულიდან" აღვირახსნილი საქციელის გამო გაუშვეს „ვესტ ჰემში", იქიდან კი „შეფილდ იუნაიტედში" მოხვდა. „ევერტონმა" ატკინსონის სანაცვლოდ 1,6 მილიონი დოლარი სწორედ შეფილდელებს გადაუხადა.

**იტალიელი** ლორენცო ამორუზო, რომელიც მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ „გლაზგო რეინჯერსს" რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა, კვლავ საშინლად დაშავდა. შარშან ზაფხულში „ფიორენტინადან" 6,6 მილიონ დოლარად შეძენილმა მცველმა პირველი ტრავმის გამო შვიდი თვე გამოტოვა, ახლა კი კოჭი ამოიგდო და კიდევ რამდენ ხანს ვერ ითამაშებს, არავინ უწყის.

**რუმინეთში** გუშინ ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელზეც ახალი მწვრთნელის ვინაობაც დამტკიცდა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების ამჟამინდელმა თავკაცმა ანგელ იორდანესკუმ, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს მეტოქე საბერძნეთი უნდა გაწვრთნას და ამიტომაც რუმინეთის ფეხბურთის მამებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი. რფფ-ს პრეზიდენტ მირჩა სანდუს განცხადებით, ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ვიქტორ პიტურკა გაწვრთნის. 43 წლის პიტურკამ 1986 წელს „სტიაუას" ჩემპიონთა თასი მოაგებინა და ამისთვის გენერლის წოდება მიანიჭეს. თავის დროზე „სტიაუას" გარდა პიტურკა კრაიოვას „უნივერსიტატიასაც" წვრთნიდა. მას ნაკრებში ნათამაშევ 13 შეხვედრაში 6 გოლის შეგდებაც მოუხერხებია. მწვრთნელად [illegible] შენა მას ძალიან გაუხარდა, მაგრამ ათენის აეკის თავკაცს დუმიტრუ დუმიტრიუს, ანაც „ნანსის" მწვრთნელ ლადისლაუ ბოლონის რომ ემარჯვათ, მაშინ პიტურკას სასიხარულო არაფერი ექნებოდა.

## რეგულარული ჩემპიონატი

# ჰაკიმის 1001 ღამე



ჰაკიმ ოლაჯუონმა (34) 24 ათას ქულას გადააბიჯა

25 თებერვალი

### ბოსტონი 111:94 საკრამენტო

**ბოსტონი: უოლკერი (25+10 მოხსნა), ანდერსონი (21)**
**საკრამენტო: ოუენსი (20+11 მოხსნა), რიჩმონდი**

საკრამენტომ ზედიზედ მეხუთედ წააგო.

### დეტროიტი 88:98 შარლოტი

**დეტროიტი: ჰილი (27)**
**შარლოტი: რაისი (33), გეიგერი (20)**

დეტროიტთან შეხვედრაში შარლოტის ლიდერმა გლენ რაისმა გაილაღა. იგი წარმოშობით დეტროიტელია და იქ ეზიარა კალათბურთის ანბანს, მისი ერთ-ერთი სკოლისა და მიჩიგანის უნივერსიტეტის ღირსებაც დაუცავს. რაისმა 18 სროლიდან 12 ჩააგდო, 8 საჯარიმოდან კი ერთი ააცილა. შარლოტის ძირითადი ცენტრის ვლადე დივაცის არყოფნაში აგრეთვე კარგად გაისარჯა მისი შემცვლელი მეტ გეიგერი. დეტროიტს ვერ უშველა სუპერვარსკვლავმა გრანტ ჰილმა და მან სეზონში 30-ე მარცხი იწვნია.

### ორლანდო 100:79 დალასი

**ორლანდო: აუთლოო (29+11 მოხსნა), ჰარპერი (18)**
**დალასი: ფინლი (16)**

საცოდავმა დალასმა პირველი მეოთხედი ორი ქულით მოიგო, მეორესა და მესამეში კი მხოლოდ 35 ქულას დასჯერდა და საბოლოოდ კიდეც წააგო ზედიზედ მეექვსედ. ორლანდომ კი ზედიზედ მოგებების სერია ხუთამდე გააგრძელა. ორლანდოელი ნიკ ანდერსონი (13 ქულა) გასულ კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

### ინდიანა 89:96 ლეიკერსი

**ინდიანა: სმიტსი (19), ჯექსონი (18)**
**ლეიკერსი: ონილი (24), ჯონსი (20), ფიშერი (20)**

ლეიკერსს სამიოდე კვირით გამოაკლდა ძირითადი გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა. მისი ადგილი ძირითადში დერიკ ფიშერმა დაიკავა და 20 ქულით სეზონის რეკორდიც გაახერხა, რითაც მასპინძელ ინდიანას დამარცხებაში კარგად წაეხმარა გუნდის ლიდერებს — შაკილ ონილსა და ედი ჯონსს.

### დენვერი 88:112 ატლანტა

**დენვერი: გოლდვაისი (20)**
**ატლანტა: ჰენდერსონი (22), სმიტი (18), ლეიტნერი (18)**

ატლანტასთან მარცხი დენვერისთვის ზედიზედ მეცხრე იყო.

### კლივლენდი 106:101 ვანკუვერი

**კლივლენდი: ჰენდერსონი (30), ილგაუსკასი (22+11 მოხსნა)**
**ვანკუვერი: რივზი (29)**

კლივლენდის ახალბედამ სედრიკ ჰენდერსონმა 30 ქულით სეზონის და კარიერის რეკორდი დაამყარა. ჰენდერსონს კარგად წაეხმარნენ ილგაუსკასი და კემპი, რომელმაც 16 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა და ორად ორი შედეგიანი გადაცემა დააკლდა სამმაგი დუბლის გასაკეთებლად, თუმცა მან ექვსი პერსონალურის გამო მხოლოდ 32 წუთი დაჰყო მოედანზე. ეს სამივე მოთამაშე პასებით კარგად მოამარაგა კიდევ ერთმა ახალბედამ ბრევინ ნაიტმა (17 პასი).

### ჩიკაგო 101:106 პორტლენდი

**ჩიკაგო: ჯორდანი (33)**
**პორტლენდი: სტუდემაიერი (24+11 პასი), რაიდერი (22), საბონისი (21+20 მოხსნა)**

საბონისი რომ ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრია NBA-ში, ამ მატჩმაც დაადასტურა. 221-სანტიმეტრიანმა ლიტველმა თავგზა აუბნია თავის მეურვე ლუკ ლონგლის, მისმა პორტლენდმა კი ლიგის 5-გზის ჩემპიონებს შინ 29 თამაშში მესამე მარცხი აწვნია. მაიკლ ჯორდანმა 33 ქულა კი გააკეთა, მაგრამ 26 სროლიდან მხოლოდ 9 ჩააგდო და თავისი მონაგარის თითქმის ნახევარი (15 ქულა) საჯარიმოებით გააკეთა. თავი შეირცხვინა ჩიკაგოს მეორე ლიდერმა სკოტი პიპენმაც. მან 14 სროლიდან 5 ჩააგდო და 12 ქულასღა გამორჩა.

### კლიპერსი 117:108 ფილადელფია

**კლიპერსი: პიატკოვსკი (27), ტეილორი (20)**
**ფილადელფია: კოულმენი (25), შოუ (24)**

ლოსანჯელესელები კარგად მაშინ თამაშობენ, როდესაც ერიკ პიატკოვსკი სტაბილურად ესვრის სამქულიანებს. ფილადელფიასთან შეხვედრაში მან სეზონში ყველაზე მეტი, 5 სამქულიანი ჩააგდო და კარიერაში ყველაზე მეტი — 27 ქულა გააკეთა. პიატკოვსკის კარგად წამოეხმარნენ ახალბედა მორის ტეილორი და მაიამიდან გადმობარგებული ისააკ ოსტინი (19 ქულა, 12 მოხსნა) და კლიპერსმა შეწყვიტა შვიდმატჩიანი წაგებების სერია.

26 თებერვალი

### იუტა 108:97 ფინიქსი

**იუტა: მელოუნი (28+17 მოხსნა), მორისი (20)**
**ფინიქსი: კიდი (23), სკოტი (18)**

შუა დასავლეთის დივიზიონის ლიდერმა იუტამ პირველი მეოთხედი 33:19 მოიგო და მთელი თამაში ამ უპირატესობის შენარჩუნებას მოანდომა. ფინიქსი კი ბევრს ეცადა, ბოლო მეოთხედი 30:23 მოიგო, მაგრამ იუტელმა კრის მორისმა ბოლო 12 წუთში 12 ქულა გააკეთა და იუტას მოგება გაუნაღდა.

### ჰიუსტონი 118:98 მინესოტა

**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (20), ბარკლი (15+13 მოხსნა)**
**მინესოტა: მარბერი (16), რობერტსი (16+10 მოხსნა)**

ოლაჯუონმა თავის 1001-ე თამაშში 20 ქულა გააკეთა და კარიერაში 24 000-იან ზღვარს გადააბიჯა. გარდა ამისა, ყოფილ ნიგერიელს ერთადერთი თამაში აკლია, რომ გაუსწორდეს კელვინ მერფის, ვისაც „ჰიუსტონ როკეტსის" როგებში ყველაზე მეტჯერ უთამაშია.

### სან ანტონიო 97:86 ტორონტო

**სან ანტონიო: დანკანი (24+11 მოხსნა), დელ ნეგრო (18)**
**ტორონტო: კრისტი (17)**

სან ანტონიოს უკვე მეხუთე თამაშია, ლიდერი დევიდ რობინსონი აკლია. მის არყოფნაში ახალბედა ტიმ დანკანი თავს არ ზოგავს და ამ ხუთ თამაშში საშუალოდ 25,8 ქულასა და 13,4 მოხსნას აკეთებს.

### ნიუ იორკი 102:90 მილუოკი

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (19), კამინგსი (18)**
**მილ[illegible]ისონი (26), ალენი (26+0 მოხსნა)**

### ნიუ ჯერსი 102:99 საკრამენტო

**ნიუ ჯერსი: კასელი (25+10 პასი), უილიამსი (20+16 მოხსნა)**
**საკრამენტო: უილიამსონი (30), რიჩმონდი (23)**

მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე მიჩ რიჩმონდის სამქულიანის შემდეგ ანგარიში 100:99 [illegible] სასარგებლოდ. მაგრამ [illegible] თამაშში შეიტანა თუ არა ბურთი, სემ კასელზე დაჯარიმდნენ. მანაც აუღელვებლად ტყორცნა ორი საჯარიმო და თამაშის ბოლო ქულები მიითვალა.

### ვაშინგტონი 110:87 გოლდენ სტ.

**ვაშინგტონი: უებერი (26), მიურეი (24), სტრიკლენდი (20+13 პასი)**
**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (18)**

გოლდენ სტეიტმა იმდღევანდელ მეტოქეზე ძლიერ ნიუ იორკს კი მოუგო სტუმრად, მაგრამ ამჯერად დედაქალაქელებთან ადვილად დათმო მატჩი.

### მაიამი 91:72 დალასი

**მაიამი: ჰარდევეი (20)**
**დალასი: ფინლი (31)**

ირაკლი ფირაშვილი

#### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 39 | 18 | 68,4 |
| ნიუ იორკი | 32 | 23 | 58,2 |
| ნიუ ჯერსი | 33 | 24 | 57,9 |
| ორლანდო | 29 | 27 | 51,8 |
| ბოსტონი | 26 | 30 | 46,6 |
| ფილადელფია | 18 | 36 | 33,3 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 42 | 16 | 72,4 |
| ინდიანა | 38 | 17 | 69,1 |
| ატლანტა | 33 | 23 | 58,9 |
| შარლოტი | 33 | 23 | 58,9 |
| კლივლენდი | 30 | 26 | 53,6 |
| მილუოკი | 28 | 28 | 50,0 |
| დეტროიტი | 25 | 30 | 45,5 |
| ტორონტო | 12 | 43 | 21,8 |

#### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| იუტა | 38 | 16 | 70,4 |
| სან ანტონიო | 38 | 18 | 67,9 |
| ჰიუსტონი | 30 | 25 | 54,5 |
| ვანკუვერი | 14 | 42 | 25,0 |
| დალასი | 10 | 46 | 17,9 |
| დენვერი | 5 | [illegible] | 8,9 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 42 | 13 | 76,4 |
| ლეიკერსი | 38 | 16 | 70,4 |
| ფინიქსი | 37 | 18 | 67,3 |
| პორტლენდი | 33 | 22 | 60,0 |
| საკრამენტო | 24 | 34 | 41,4 |
| გოლდენ სტეიტი | 12 | 43 | 21,8 |
| კლიპერსი | 12 | 44 | 21,4 |

# ჩვენზე ნუ დაიბოღმებით

## ქართველებო, ალესეთ ხანჯალი!

ლატვიისა და საქართველოს ნაკრებებს ერთმანეთთან შეხვედრის წინ არც ერთი გამარჯვება არ ჰქონდათ. ბუნებრივია, შესარჩევი ტურნირის სტარტზე სამმა მარცხმა ორივე გუნდს გაუძნელა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა და ამ მატჩში დამარცხებული, ფაქტობრივად, საბოლოოდ კარგავდა ამ შანსს.

ქართველებთან მატჩის წინ ლატვიელთა მწვრთნელ ვალდის ვალტერსს ბევრი საფიქრალი ჰქონდა — ნაკრებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა. შემადგენლობაში არ იყვნენ ედგარს შნეპსი, აიგარს ვიტოლსი, ძლიერი ცენტრი რალფს იანსონსი და აიგარს ზეიდაქსი. გარდა ამისა, ვალტერსმა უარი თქვა ლატვიის საუკეთესო ცენტრ ანდრეი ბონდარენკოზე. ამის მიზეზი კი მხოლოდ თვითონ იცის.

მატჩის წინ ტრავმირებული იყო ედმუნდას ვალეიკოც და ამ ვითარებაში ვალტერსმა ნაკრებში იმ მოთამაშეებს უხმო, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არც მოიწვევდა. ესენი იყვნენ: ლიგისთვის ყველაზე მაღალი ლატვიელი, ესტონეთში მოთამაშე იანის აზაცისი, აიგარს ბერნატსი და მწვრთნელის უფროსი ვაჟი სანდის ვალტერსი. საინტერესოა, რომ მატჩისთვის მზადებისას ვალტერსი ოთხ გამთამაშებელს ამზადებდა — ვალეიკოს, სანდის ვალტერსს, შტელმახერს და ბუშკევიცს.

საქართველოსთან მატჩის წინ ლატვიელებმა ესტონელებთან გამართეს ორი შეხვედრა და მხოლოდ ერთი მოიგეს, თუმცა მოთამაშეებს არც ჰქონდათ ასეთი ამოცანა — აუცილებლად მოეგოთ. ვალტერსმა ახალგაზრდები გამოსცადა და კმაყოფილი დარჩა.

საქართველოს ნაკრები ლატვიაში მატჩის წინა დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც მოსკოვის ცსკა-სთან დამარცხდა 8 ქულით. მოსკოვში გუნდს შეუერთდა ძირითადი ცენტრი სტეფანია, რომელიც ნბა-ში მოხვედრას იმედოვნებს. მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა ჩვენებს მატჩის წინ ხანჯალი აჩუქა. ეს, რა თქმა უნდა, იმის სიმბოლო კი არ იყო, რა მოუვიდოდათ ლატვიელებს გამარჯვების შემთხვევაში, არამედ იმისა, რომ ქართველი კალათბურთელებიც ისეთივე ბასრად ითამაშებდნენ, როგორიც ხანჯალია.

ამ მატჩს ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წაგებულს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოხვედრის იმედიც აღარ რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე, მათ მაინც ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა — შინ თამაშობდნენ. წაგების შემთხვევაში ლატვიის ნაკრებს და მის მწვრთნელს ისეთი კრიტიკა დაატყდებოდათ თავს პრესისა და გულშემატკივრების მხრიდან, რომ ძნელად თუ რომელიმე მათგანი გაუძლებდა.

მატჩის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ სერიოზული თამაში არ გამოვიდოდა — ძალიან დიდი განსხვავება იყო მეტოქეთა ოსტატობაში.

საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თავის სანაკრებო დებიუტს ასეთი კომენტარი გაუკეთა — საზიზღრად ვითამაშეთ. აქ სათქმელიც არაფერი იყო. მწვრთნელის აზრით, სტეფანიამ თავისი შესაძლებლობების ნახევარი გამოავლინა. ბოლოს ისიც დასძინა, მეფოკუსე ხომ არ ვარ, რამდენიმე დღეში ბრძოლისუნარიანი ნაკრები მომემზადებინაო.

ვალტერსმაც მოკლედ ისაუბრა, პირველი შეხვედრისთვის დრო არ გვქონდა მოსამზადებლად, ახლა კი 10 დღით ადრე დავიწყეთ ვარჯიში და შედეგიც მივიღეთო.

მატჩზე მეტს ვერაფერს ვიტყვი. მაპატიონ ჩემმა ქართველმა მეგობრებმა, მაგრამ ამ დღეს ლატვიის ნაკრები გაცილებით ძლიერი იყო მეტოქეზე და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გუნდი მაინც მოხვდება ფინალურ ეტაპზე. ერთი წლის შემდეგ ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან თბილისში და, ალბათ, ქართველები არ ჩაიდებენ ღვარძლს ასეთი მარცხის გამო. იმედია, ქართველი კალათბურთელების შეტევები კვლავ გახდება ისეთი ბასრი, როგორიც თქვენი ეროვნული იარაღი — ხანჯალია.

**ერიკ სტრაუსი**

**„სპორტა ავიზე", ვენტსპილსი**

**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

### E ჯგუფი

ლატვია — საქართველო 99:63, თურქეთი — იტალია 64:72, შვედეთი — ჩეხეთი 93:97 (მეორე დამატებით დროში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 344:289 | 8 |
| თურქეთი | 4 | 3 | 1 | 319:267 | 7 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 304:304 | 7 |
| ლატვია | 4 | 1 | 3 | 326:320 | 5 |
| შვედეთი | 4 | 1 | 3 | 311:339 | 5 |
| საქართველო | 4 | 0 | 4 | 289:334 | 4 |

*დღეს სიენაში საქართველოს ნაკრები ჯგუფის ლიდერს, ევროპის ვიცეჩემპიონ იტალიას ეთამაშება.*

## ევროპის ჩემპიონატი: სხვა მატჩები, სხვა ჯგუფები

25 თებერვალი

### A ჯგუფი

სლოვენია — ბელგია 72:64, ბულგარეთი — სლოვაკეთი 86:70, გერმანია — საბერძნეთი 74:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 4 | 4 | 0 | 327:281 | 8 |
| გერმანია | 4 | 3 | 1 | 293:289 | 7 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 2 | 315:288 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 307:320 | 6 |
| ბელგია | 4 | 1 | 3 | 291:298 | 5 |
| სლოვაკეთი | 4 | 0 | 4 | 281:338 | 4 |

### B ჯგუფი

მაკედონია — რუმინეთი 80:52, უნგრეთი — პორტუგალია 85:69, პოლონეთი — რუსეთი 75:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 376:302 | 8 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 1 | 318272 | 7 |
| მაკედონია | 4 | 3 | 1 | 319:304 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 3 | 288300 | 5 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 3 | 280:333 | 5 |
| რუმინეთი | 4 | 0 | 4 | 242:318 | 4 |

### C ჯგუფი

ისრაელი — ესპანეთი 61:67, უკრაინა — დანია 66:67, ბელარუსი — ინგლისი 55:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 343:256 | 8 |
| ისრაელი | 4 | 3 | 1 | 316:269 | 7 |
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 269:299 | 6 |
| უკრაინა | 4 | 1 | 3 | 282:276 | 5 |
| დანია | 4 | 1 | 3 | 267:299 | 5 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 3 | 238316 | 5 |

### D ჯგუფი

ბოსნია — ისლანდია 109:84, ესტონეთი — ჰოლანდია 90:99, ხორვატია — ლიტვა 72:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 4 | 4 | 0 | 338:203 | 8 |
| ხორვატია | 4 | 3 | 1 | 309:277 | 7 |
| ლიტვა | 4 | 2 | 2 | 302:275 | 6 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 2 | 322:332 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 3 | 318353 | 5 |
| ისლანდია | 4 | 0 | 4 | 320:369 | 4 |

**იყიდება**

თეთრი, გამჭვირვალე

**ორგანული მინა**

3 და 4 მილიმეტრიანი.

ზომები: 80x120სმ და 120x170სმ

*ფასი შეთანხმებით*

*ტელეფონი: 95-22-56*

*38-60-88 (საღამოს საათებში)*

**იყიდება**

61 სმ დიაგონალის ფერადი ნახევარგამტარებიანი ტელევიზორი

**„რუბინი-ც281"**

კარგ მდგომარეობაში, დეციმეტრული და პალ-სეკამის ბლოკებით. ფასი — 160 ლარი.

დარეკეთ: 95-22-56

საღამოს საათებში. იკითხეთ სანდრო.



# კომუნიზმი სოფლად

## ქართველებო, ძალიან, ძალიან მიყვარხართ!

...წვიმა უცბად მოვარდა და სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, გაზეთი გავშალე და წამოვიფარე.

ჩია, ჭაღაროსანი კაცი სირბილით წამომეწია და ქოლგა გამომიწოდა.

ხელი მკლავში გამომდო და ასე ვიარეთ ავტობუსის გაჩერებამდე.

გამიღიმა, თავი დამიკრა და დამემშვიდობა.

დავიბენი, მადლობაც ვერ ვუთხარი.

ორი დღის შემდეგ ქალაქის ცენტრში ვნახე — ყმაწვილებთან ერთად აღმართს მიუყვებოდა.

იმ აღმართის ბოლოში, შემაღლებულ ადგილას, ძველისძველი ბუდისტური ტაძარი დგას — სენკოჯი!

სხვა დროს არ ვიცი, მაგრამ ოლიმპიადის დღეებში აქ მილეთის ხალხი ირეოდა. ტაძრის შუაგულში, ბუდას ხის ქანდაკებას რომ გაცდები, მიწისქვეშა ჩასასვლელია. ხალხი ფეხსაცმელს იხდის და ბნელ დერეფანს მიუყვება. აქ თურმე შეიძლება სამოთხის გასაღები იპოვო.

იმ ჩია, ჭაღარა კაცს სახეზე ეტყობოდა, გასაღები კარგა ხნის ნაპოვნი აქვს. იმ დღეს, ალბათ, ყმაწვილკაცებს ბედის საცდელად მიუძღვოდა.



გოგი თოფაძე და გერა აბრამიშვილი ფირმა „ატომიკის" შეფთან ერთად



ნანაიელი ბავშვები სალამს უთვლიან ქართველ თანატოლებს

***

ნაგანო .— ვაკეზე გაშენებული, მთებით შემოჯარული კოხტა ქალაქი. ხალხმრავალი, გაჩირაღდნებული, ნაძვისხესავით მორთული და მოზეიმე. მაგრამ ნაგანომდე იყო ტოკიო, ნარიტას საერთაშორისო აეროპორტი. პირველი შეხვედრა იაპონიასთან, პირველი ნაცნობები. ხუთი საათი ავტობუსით — თეთრი თამაშების დედაქალაქამდე. თვალი ხარბად ისრუტავს ყველაფერს. პირველი შთაბეჭდილება: ეს სხვა ქვეყანაა და სხვა სამყარო, აქ სხვა




კახა წაქაძე



ზურაბ ჯიჯიშვილი

ავთანდილ [illegible] ფოტოები



სოფო ახმეტელმა ბოლო კარი გამოტოვა და ფინიშში წაქცეულმა გადაკვეთა

ხალხი ცხოვრობს, სხვა წესებითა და კანონებით.

ამ ხალხმა ასეთი ქვეყანა როდის და რით ააშენა — კითხულობს ერთი.

გუშინ და შრომით — პასუხობს მეორე.

***

სამოთხის გასაღებისა არ ვიცი, მაგრამ ჰერმან მაიერმა სპორტის ისტორიაში კი იპოვა თავისი ადგილი. გუშინწინდელი ერთი ჩვეულებრივი ავსტრიელი სოფლელი ბიჭი დღეს ოლიმპიადის გმირი გახდა, სულ რაღაც წლინახევრის წინ ზვავივით მოვარდა სამთომოთხილამურეთა ამალაში და მთელი ელიტა თან მოიყოლა. ჰაკუბას დაშვების ტრასაზე ნაფრენი, დანარცხებული, ნაბეგვი და ნათრევი კაცი, ფენიქსივით ადგა და ზედიზედ ორი ოქრო მოიგო.

ნაგანოს სამგზის ჩემპიონები და მეტგზის მედალოსნებიც ჰყავს, მაგრამ ტრიუმფატორად მაინც მაიერი აღიარეს — ქალაქის ცენტრში, დაჯილდოების ცერემონიალზე მეფური შეხვედრა მოუწყვეს.

აბა, ახლა ავსტრიაში, ჰერმანის მშობლიურ სოფელში რა ამბები დატრიალდებოდა!

***

სოფელმა გამახსენა: აქ, ნაგანოში ჩემს თვალწინ ლენინის კიდევ ერთი ცნობილი თეორია გაცამტვერდა. კომუნიზმი, თურმე, არა მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში, არამედ ერთ კონკრეტულ სოფელშიც იმარჯვებს. ოღონდ ერთი პირობით — სოფელი ოლიმპიური უნდა იყოს:

ნაგანოს ოლიმპიური სოფელი ქალაქის განაპირას, უცხო თვალთაგან მოფარებულ ადგილას გაუშენებიათ — ექვს კვარტლად დაყოფილი ოცდასამი თანამედროვე საცხოვრებელი კორპუსი და უამრავი დამხმარე ნაგებობა. მაქსიმალური სერვისი და კომფორტი. იცხოვრე, გაერთე, იმხიარულე, ითამაშე, ივარჯიშე, დაისვენე.

სოფელს ჰყავს თავისი მთავრობა, ადმინისტრაცია, მუნიციპალური სამსახური, დაცვა, მაგრამ არა აქვს საკუთარი ფულის ნიშანი. უფრო უცნაური ის არის, რომ აქ არც ერთი სხვა ქვეყნის (თუ სოფლის) ფულს არ ღებულობენ. საერთოდ, აქ ფული მართლა ხელის ჭუჭყია და მეტი



ქალთა ჰოკეის პირველი ოლიმპიური ოქრო — ამერიკას!

არაფერი. ერთადერთი, რაც მოგეთხოვება — სოფლის მაცხოვრებლის საბუთი. წარმოადგინე და იცხოვრე კომუნიზმში, სადაც ყველაზე პოპულარული სიტყვაა „არიგატო“ (გმადლობთ).

ვთქვათ, შეხვედით სოფლის უშველებელ სასადილოში, რომელიც მუდამ ღიაა და ათასნაირ საჭმელ-სასმელს გთავაზობენ. არიგატო, რომ მობრძანდით — გიღიმით კარისკაცი; არიგატო, რომ ამჯერად ევროპულზე უარი თქვით და იაპონური სამზარეულო გასინჯეთ — თავს გიკრავთ მზარეული გოგონა... ემოციებს ნუ აყვებით, თორემ შესაძლოა გული აგიჩუყდეთ და მადა დაკარგოთ.

შეირგეთ კომუნიზმი, რომელიც 22 თებერვლამდე გასტანს.

***

მიხო ოკა, იუნიკო ოშიმა, მიცუტა კაოსი — სამი სტუდენტი გოგონა მოხალისეთა ათიათასიანი რაზმიდან. მართლა მოხალისეები, ხალისით რომ გისრულებენ ყველა თხოვნას და სურვილს. მათ გაიარეს სამი კონკურსი, რვა შეკრება და ორი გამოცდა. ორი წელიწადი ემზადებოდნენ, საუნივერსიტეტო პროგრამასთან ერთად სწავლობდნენ საქართველოს ისტორიას და... რუსულ ენას.

მიხო ყველაზე კარგი მორუსულე გამოდგა, განსაკუთრებით საქმიანი და ყურადღებიანი.

— მანქანის გამოძახება გნებავთ?
— ახლავე.
— ბილეთებია შესაკვეთი — კი ბატონო.
— ექიმის ნახვა გინდათ? — მე თვითონ გამოგყვებით.
— ამინდის პროგნოზი გაინტერესებთ? — აგერ კომპიუტერი.

მოკლედ, მიხო მოხალისე კი არა, ჩვენი დელეგაციის შეუცვლელი წევრი გახდა, ოღონდ ეგ იყო, არდადეგები სხვებზე ადრე დაუმთავრდა და ოლიმპიადის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე დაგვტოვა.

ოფისის კარი რომ შევაღეთ, მიხოს ნაცვლად დაგვხვდა ბლომად ტკბილეული და წერილი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ძვირფასო ქართველებო. მე თქვენ ძალიან, ძალიან მიყვარხართ! ნახვამდის!“

მოხალისეები დიდ საქმეს აკეთებდნენ ოლიმპიადაზე. შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიადა მათ მხრებზე გადადის: ამის დასამტკიცებლად მიხოს და მისი მეგობრების მაგალითიც კმარა, მაგრამ სხვასაც გავიხსენებ. ნაგანოს სადგურში ოლიმპიური ავტობუსების გაჩერებაზე ორი ახალგაზრდა კაცი გავიცანი: ისაო ვატანაბე და ნარიო ნაკაიამა. ჩემი მარშრუტი აქ გადიოდა და ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც ვხვდებოდი ამ გაჩერებაზე. ისაო და ნარიო აქ იდგნენ ფეხმოუცვლელად და ავტობუსების მოძრაობას არეგულირებდნენ — დილით თუ ღამით, თოვლსა და ქარში.

ცხადია, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე: „ფული რა მოსატანია, ჩვენ იაპონიას ვემსახურებით“.

***

არადა, ფული საჭირო რამ გახლავთ. განსაკუთრებით — სწორედ იაპონიაში. ამბობენ, ყველაზე ძვირი ქვეყანა იაპონიაა, ყველაზე ძვირი ქალაქი — ტოკიო. ნაგანოდან ტოკიოში ჩქარი მატარებლით ჩასვლა და უკან მიბრუნება სულ „რაღაც“ ორასი დოლარი ჯდება. საათნახევარი იქით, საათნახევარი უკან. ტოკიო თუ არ გინახავს, ნუ იტყვი, იაპონიაში ნამყოფი ვარო.

რაღა დაგიმალოთ — ძალიან მინდოდა ტოკიოს ნახვა.

ტოკიო გოგი თოფაძემ გვაჩუქა. ტოკიო და კიოტო.

ოლიმპიადის განრიგში „ფანჯარა“ გამოჩნდა და უმალ სატოკიოდ გავემზადეთ, მარშრუტიც „დავამტკიცეთ“. სოფლიდან რკინიგზის სადგურამდე — ჩვენი დელეგაციის მანქანით, სადგურიდან ტოკიომდე — მატარებლით, იქიდან გაუჩერებლად მივდივართ კიოტოში, ვათვალიერებთ ქალაქს, ვბრუნდებით უკან, ერთ ღამეს ტოკიოში ვათენებთ და მეორე დღის საღამოს ნაგანოსაკენ.

ჩინებულია!

მანქანა, რა თქმა უნდა, დანიშნულ დროს მოვიდა, მაგრამ სადგურის ნაცვლად თურმე ჰაკუბასკენ გაგვაქანა. გვირაბში რომ შეყო ცხვირი, მაშინღა მივხვდით. განგაში ავტეხეთ და უკან მოვაბრუნეთ. მაგრამ ვერაფრით ვაგებინებთ, რა გვინდა და სად გვინდა. ისევ მიხომ გვიხსნა: მობილურით დავუკავშირდით და მძღოლს დავალაპარაკეთ. 10 წუთის გზას საათნახევარი მოვუნდით. უფრო ნაკლები დაგვჭირდა ტოკიომდე — კი არ ჩავედით, ჩავფრინდით (2225 კმ საათში).

ტოკიოს „თემას“ აქ დავამთავრებ. მოყოლას აზრი არა აქვს.

ჩადით და თქვენი თვალით ნახეთ. ასე სჯობს.

***

მე ფუძიამაც ვნახე. მატარებლის ფანჯრიდან, კიოტოსკენ მიმავალ გზაზე.

„ფუძიამა“! ერთბაშად წამოიძახა რამდენიმე მგზავრმა და დანარჩენებსაც იქითკენ გაგვექცა თვალი. ზვიადი და ამაყი ჩანდა. ოლიმპიური სიმშვიდით გადაჰყურებდა არემარეს.

ოლიმპიადის დედაქალაქში კი სიმშვიდის ნიშანწყალი არ არის. ამას უფრო ოლიმპიური ციებ-ცხელება ეთქმის. ამინდს მნიშვნელობა არა აქვს — ნაგანოს ქუჩებს ხალხის ნაკადი ავსებს.

დღეს იაპონიის დღეა — მფრინავმა მოთხილამურეებმა გუნდური შეჯიბრებაც მოიგეს. კაცურში ფუნაკიმ ულამაზესი ნახტომით დააგვირგვინა იაპონელთა ტრიუმფი. ნაგანო ისევ ბორგავს. სტადიონიდან ცენტრისკენ ვეშვები. აქ საღამოსთვის დიდი ფოიერვერკია დანიშნული.

— ფუნაკი, ფუნაკი! — გაჰყვირიან ერთნი.

— ჰარადა, ჰარადა — მხარს უბამენ მეორენი.

მოედანი, დაჯილდოებათა ცერემონიალის ადგილი, უკვე ოკუპირებულია. თავსხმა წვიმა და ქოლგების სიჭრელე. ასი ათასი კაცი მორჩილად დგას და ფეხს არ იცვლის. და შენც გინდა, რომ ამ ზეიმის მონაწილედ იქცე, მაგრამ მოგვიანებით ხვდები, რომ ეს „შენი ქუჩა“ არ არის. შენს ქუჩაზე ზეიმს ჯერ არ ჩამოუვლია. ზამთრის თამაშების კვარცხლბეკზე ქართველთაგან ჯერ არავინ შემდგარა.

— მეთოთხმეტე ადგილი. სულ ეგ არის? ღირდა კი ამის გულისთვის ამხელა გზაზე წოწიალი?

— თუ ოდესმე პირველ ... გვინდა, ეს გზა (და კიდევ სხვა გზები) აუცილებლად გასავლელია.

და ბევრი სხვა რამაც არის გასაკეთებელი.

ოღონდ, საქმის ცოდნით და სიყვარულით.

იქნებ, იმ ჭაღარა, ჩია კაცის, ამბავიც გავიხსენოთ.

იმ კაცს, ეჭვი არ შევეპაროთ, იმპერატორზე ნაკლებ როდი უყვარს იაპონია.

**ელგუჯა ბერიშვილი**
**ნაგანო — თბილისი**




აშშ — შვედეთი: შვედმა სამუელსონმა ამერიკელი უეიტი ქექა




ფიგურული სრიალი ფრანგულად: დომინიკ დინიო და მარსიალ ქაფრედო

# და იყო გუნდი

თბილისის „ბურევესტნიკი“ (იგივე სპი, „პოლიტექნიკი“, ძალიან ადრე „ნაუკა“)...

ასეთი რა გუნდი იყო — იკითხავს კალათბურთის ახალგაზრდა მოყვარული — რა წარმატებები ჰქონდა, ევროპაში გაუმარჯვია?

— ევროპაში არა, ისა — უპასუხებს ძველი თაობის გულშემატკივარი.

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თუ ყოფილა ან პრიზიორი?

— არასოდეს, საუკეთესო შედეგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-8 ადგილი იყო.

— აბა, მაშინ ვერაფერი გამიგია, რატომ ოხრავთ ასე მის გახსენებაზე, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშობდნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის ცსკა, რიგის სკა და კაუნასის „ჟალგირისი“, ტარტუს „კალევი“ და კიევის „სტროიტელი“. რით იყო გამორჩეული?

— რით? — ჩაფიქრდება ძველი. მართლაც რა იყო ის ერთადერთი მახასიათებელი, რაც მის საყვარელ გუნდს ამდენი გრანდისგან განასხვავებდა? — „ბურევესტნიკი“ ის გამონაკლისი იყო, რომლის თამაშის შემდეგ არასოდეს იყავი უკმაყოფილო.

— როგორ, სულ იგებდა? — იბნევა ნაკლებსტაჟიანი გულშემატკივარი.

— ეეჰ, მაინც ვერაფერს გაიგებ, იმიტომ, რომ მისი თამაში არ გინახავს.

და მართლაც ასეა, ვისაც თბილისის „ბურევესტნიკის“ თამაში არ უნახავს, გაჭედილ დარბაზში გუნდის შეხვედრებს არ დასწრებია, ვერასოდეს გაიგებს, რას ნიშნავს თავდადება, ულალატობა და მეგობრის გრძნობა კალათბურთში, ვერასოდეს იხილავს, როგორ სჯობნის მოთამაშე საკუთარ თავს და ამის შედეგსაც იმკის — საბჭოთა კავშირის ყველა დიდი გუნდი დამარცხებულა ჩვენს „ბურევესტნიკთან“.

ქართველი გულშემატკივარი განებივრებული იყო დიდი ოსტატებით და კარგი გუნდებითაც. რა თქმა უნდა, არსებობდა სათაყვანებელი თბილისის „დინამო“, რომელიც საბჭოთა კავშირსა და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ვირტუოზებითა და დიდი ამბიციებით, უნახავთ ქართველებს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდიც, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და ქუთაისელთა ჩინებული კლუბიც. „ბურევესტნიკს“ მათი დარი წარმატებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ იგი გამორჩეულად უყვარდათ, მის თამაშებზე დარბაზები ყოველთვის სავსე იყო და ამაზე 60-იანი წლების ბოლოს „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული ცხრილიც მეტყველებს — „ბურევესტნიკი“ პირველ ადგილზე იყო მაყურებელთა დასწრებით, მაშინ, როცა ჩემპიონატში ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი“, თბილისის „დინამო“ და კაუნასის „ჟალგირისი“ ასპარეზობდნენ.

რა თქმა უნდა, გუნდი ყამირ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მას ჰყავდა იმამდელი



1961 წელი. მარცხნიდან: თამაზ კაკაურიძე, სანდრო გლურჯიძე, ვალერი ლომაძე, ანზორ საკანდელიძე, თემურ ქობეჩიშვილი, ანტონ კაზანჯიანი, თამაზ დონაძე, ილია ლეჟავა, რამაზ მანაგაძე

წინამორბედი, რომელშიც იმ დროისთვის ცნობილი მოთამაშენი — გიორგი ავალიშვილი, ლევ ძეკონსკი, ლევან ფალავანდიშვილი, სერგო ოგანეზოვი და სხვები გამოდიოდნენ. 50-იან წლებში ბევრი კარგი ოსტატი იყო — მარენ კეკელია, როლანდ ხომერიკი, გიორგი ზაქარიაძე და სხვები. მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული გუნდმა 50-იანების ბოლოსა და 60-იან წლებში დაიმსახურა, როცა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა და პირისპირ იდგა საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებთან.

„ბურევესტნიკი“ საოცრად ჰგავდა თავის შემოქმედს, კაცს, რომელმაც მას სიცოცხლე შთაბერა — მიხეილ კეკელიძეს! ჯერ არ მინახავს კალათბურთელი თუ გულშემატკივარი, რომელსაც მისი სახელის ხსენებაზე სახე არ განათებოდა — მართლაც წარუშლელია იმ სიკეთის კვალი, ამ დიდებულმა ადამიანმა რომ დატოვა. მიხეილ კეკელიძე სიყვარულის, მეგობრობის, კაცურკაცობის განსახიერება იყო და სწორედ ეს გრძნობები დაუდო გუნდს საფუძვლად. ამაზე იყო აგებული „ბურევესტნიკი“ და ასეთი დამოკიდებულება ერთი თაობიდან მეორეზე გადადიოდა — უმცროსს უფროსის პატივისცემა და რიდი ჰქონდა, უფროსები კი, თავის მხრივ, გარკვეულ პასუხისმგებლობას კისრულობდნენ ახალბედათა მიმართ. მიხეილ კეკელიძე განსწავლული ადამიანი გახლდათ, ზოგჯერ მოთამაშეთა განტვირთვისთვის პოეზიას მოიშველიებდა ხოლმე და ამიტომაც იყო ბურევესტნიკელთა ყველა თაობა ცოდნასთან ნაზიარები, ბევრმა მათგანმა მერე საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძია მიშას ვერაფერს გამოაპარებდი, იგი ყველაფერს ხედავდა და გრძნობდა. გუნდის ცხოვრებაც კალათბურთის მოედნით არ განისაზღვრებოდა — მწვრთნელიც და მოთამაშეებიც ერთად იყვნენ ჭირსა თუ ლხინში. ასეთ პიროვნებას არც იუმორის გრძნობა ღალატობდა.

## ბურევესტნიკელთა მოგონებებიდან:

გივი ბიჭიაშვილი — ჩვენი გუნდის მთავარი იარაღი ტემპი და ჯიგარი იყო და თუ მეტოქე ასეთ თამაშში აგვყვებოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა. სერგეი კოვალენკო, ჩვენი ცენტრი და ერთადერთი ტანმაღალი მოთამაშე, ვისაც სხვა გუნდების ცენტრებთან გამკლავება შეეძლო, უფრო მშვიდი და წყნარი იყო. ერთხელ ძია მიშა ეუბნება: „ტრებუი მიაჩ, სერგეი, რაზგავარივაი!“ მერე მოგვიტრიალდა და გვითხრა, ამანაც რომ ლაპარაკი დაიწყოს, რაღა მეშველება ამდენ გიჟშიო.

გიორგი ჯუღელი — ხშირად ვამბობდი, ცხოვრებაში რაც კარგი შემიძენია — სიყვარული, სითბო, ერთმანეთის გატანის უნარი — სულ „ბურევესტნიკის“ ბიჭებისგან, ყოველივე ამას კი ძია მიშამ ჩაუყარა საფუძველი. ერთხელაც ვთქვი ეს და მამაჩემი წამადგა თავზე, კაცო, რა გამოდის, მე არაფერი მისწავლებიაო?!

## უშუქოდაც აგდებდნენ

„ბურევესტნიკს“ სულ ჰქონდა სიმაღლის პრობლემა. ამიტომაც იყო, მაღალ გუნდებთან თამაში რომ უჭირდა, თავისნაირებს კი, თუნდაც ეს „აკადემიკოსები“ — ტარტუს „კალევი“ ყოფილიყო, უფრო იოლად უგებდა. მაგრამ „ბურევესტნიკი“ უბრძოლველად არავის ნებდებოდა, თვით ცსკა-ც კი გაუკრავს ბეჭებზე. ვალერი ლომაძე იხსენებს: „ერთხელ ფარქვეშ შევიჭერი და უმალ მომწვდა ამდენი მაღალი კაცის ხელი — ანდრეევა, ჟარმუხამედოვი... შუქი აღარ ჩანდა, ჩამობნელდა, დახუჭულმა ვისროლე, ისე ჩავაგდე კალათში“. აი, ასე ამარცხებდნენ ევროპის საუკეთესო გუნდებს.

## დაუვიწყარი მატჩები

გიორგი ჯუღელი — სპორტის სასახლეში კაუნასის „ჟალგირისს“ ვეთამაშებოდით, რომელსაც მაშინ სახელგანთქმული მოდესტას პაულაუსკასი თავკაცობდა. წარმოიდგინეთ — გედრაიტისი, ვენზბერგასი, ბუდნიკასი — ლიტველებს ხომ არასოდეს აკლდათ კარგი მოთამაშეები. ტაიმნახევარია გასული და 22 ქულას ვაგებთ. ავიწყვიტეთ, ჩვენებური თამაში გავჩაღეთ, დაინგრა სპორტის სასახლე. 30 წამზე ნაკლები რჩება — 2 ქულით ვაგებთ, ესე იგი, შეუძლიათ ბოლომდე დიაჭირონ ბურთი. ვეცი ჩუპკოვასს და ჯარიმა ავიკიდე. ერთიც რომ ჩააგდოს, ცუდადაა საქმე — სამქულიანები მაშინ არ იყო. არადა, ლიტველია, მშვიდი, უემოციო, მაგრამ არ გააფუჭა ორივე საჯარიმო? წინ გავვარდი და პასიც მივიღე. პაულაუსკასი ჩემს დაჭერას ცდილობს, მაგრამ სროლა მაინც მოვახერხე და ანგარიში გათანაბრდა. დამატებით დროში პირველივე ბურთი ჩავაგდე, ლიტველებმა ნახეს, წამივიდა თამაში და შემომიტიეს. ისინი ფარიდან შორს გავიყვანე, ლევან ჩხიკვაძემ კი დერეფანში იარა, იარა და — 13:2 მოვიგეთ დამატებითი დრო, 11 ქულა ამ დამატებითში ლევანმა გააკეთა. ხელში აყვანილი გამოგვიყვანეს მოედნიდან.



უტევს ვალერი ლომაძე

ვალერი ლომაძე — რიგის სკა-ს ვეთამაშებით რიგაში, იმ დროს ევროპაში უძლიერესი გუნდია, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი. გომელსკიმ სასტარტო ხუთეულში იანის კრუმინში არ გამოიყვანა, ისედაც მოვიგებთო — მათ ხომ მუიჟნიექსები, ვალდმანისი, კალნინში და სხვა ევროპული დონის ვარსკვლავები ჰყავდათ. თამაში წაგვივიდა და ავიწყვიტეთ. ვერ გაგვაჩერეს. გაგიჟდა გომელსკი: 10 წუთის შემდეგ გამოიყვანა კრუმინშიც, მაგრამ მანაც ვერაფერი გააწყო — ტემპი აღარ შევანელეთ და მოვიგეთ. სკა-ს ცსკა დაეწია და მერე ისევ თბილისის „დინამომ“ უშველა, ცსკა დაამარცხა და მაინც რიგის სკა გახდა ჩემპიონი.

გივი ბიჭიაშვილი — „ბურევესტნიკში“ თამაშისას საბჭოთა კავშირის ბომბარდირებში მეორე ადგილზე გავედი მიშა ქორქიას შემდეგ. ჩემი რეკორდი ერთ თამაშში 39 ქულა იყო და ეს 39 ქულა მოსკოვის ცსკა-სთან გავაკეთე. ახლა ვფიქრობ, მაშინ სამქულიანები რომ ყოფილიყო, სამი-ოთხი მაინც ხომ მექნებოდა შორიდან ჩაგდებული.

ვალერი ლომაძე — კიევის „სტროიტელთან“ თბილისში გულშემატკივრების უსაქციელობის გამო ჩვენს ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან, კიევის სკა-სთან მოსკოვში გვათამაშეს ორივე მატჩი. კიეველებს შევთავაზეთ, ქულები გავიყოთო, იმათ კი უარი გვტკიცეს — გიჟები ხომ არა ხართ, უნდა მოვიგოთო. ორჯერვე დავამარცხეთ. პირველ თამაშში ბოლო წამებზე ქულას ვაგებდით. ბურთი მე მქონდა და ჩემზე დაჯარიმდნენ. მატჩის დრო გასულია, მარტო მე და კალათი ვართ. მოდიან ბიჭები და მეუბნებიან, ორივე ჩააგდეო. იმათი თქმა რად მინდოდა, მაგრამ როგორი საქმეა, ჩემს ხელთაა მატჩის ბედი. მუხლები ამიკანკალდა, ვტყორცნე და ორივე ჩავაგდე. გავიმარჯვეთ.

## კაპიტანი

აი, მართლაც ვის ერქვა კაპიტანი. სანდრო გლურჯიძე — „ბურევესტნიკის“ სული და გული. მოედანზე ყველა კომბინაციას იგი იწყებდა. ეს ბუნებრივიც იყო, სანდრო ხომ გამთამაშებელი იყო — ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა კავშირში. უბადლო დრიბლინგი და ზუსტი პასები ჰქონდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ იგი მოედნის გარეთაც ლიდერი გახლდათ. მის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა, რომელსაც ყველა ემორჩილებოდა და არა განსაკუთრებული რიდის გამო — სანდროს საოცარი შინაგანი ძალა გააჩნდა. ძია მიშაც უსაზღვროდ ენდობოდა, თუ სადმე წავიდოდა და კაპიტანს ტოვებდა, იცოდა, რომ იგი გასწევდა მის მაგივრობას. ამას ყველა გრძნობდა — ვეტერანიც და ახალბედაც.

გიორგი ჯუღელი — გუნდში ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით — დარდსაც ვინაწილებდით და სიხარულსაც. უცხოეთში ყოფნისას ესა თუ ის მოთამაშე მთელ გუნდს უჩვენებდა ხოლმე თავის შენაძენს. უფროს-უმცროსობაც საოცარი გვქონდა: როცა გუნდში უფროსი თაობის წარმომადგენელი გავხდი, ახალგაზრდებს ბევრჯერ არ უჭამიათ, მე რომ დავნაყრებულიყავი. ასეთი დაუწერელი, ერთმანეთის პატივისცემით გამსჭვალული კანონები იყო გუნდში.

ერთხელ პრაღაში ვართ. ერთ-ერთ ახალწვეულს, ეტყობა, შინ უთხრეს, რომელი მაღაზია იყო ყველაზე იაფი. მიდის ჩვენი ავტობუსი და უცებ მან იყვირა, „ტანკი, ტანკი“. პრაღაში რომ საბჭოთა არმიის „განმათავისუფლებელი“, ეგრეთ წოდებული გონჩარენკოს ტანკი იდგა, იმაზეა ლაპარაკი. რა ტანკი, რის ტანკიო, გაუკვირვეთ ჩვენ. რაღაცაშია საქმეო, მიხვდა ბოლოს სანდრო გლურჯიძე. მეორე დღეს ჩავუსაფრდით და ვხედავთ, ეს ჩვენი ახალბედა იმ ტანკთან ახლოს მდებარე მაღაზიაში შედის. როცა შევხვდით, სანდრომ დაანამუსა, არ გრცხვენია, თუ ასეთი რამ იცოდი, რატომ არ უთხარი თანაგუნდელებსო, თან ისე, ჩვენს წინაშე არ დაუმცირებია, მის ავტორიტეტს გაუფრთხილდა. შეიძლება, საერთოდ არ შევსულიყავით იმ მაღაზიაში, მაგრამ გუნდის სული ასეთი იყო — ერთმანეთისგან არაფერი უნდა დაგვემალა.

## „ბურევესტნიკი“ და „დინამო“

რა თქმა უნდა, განსხვავებული მიზნები ჰქონდათ ჩემპიონატში და „დინამოც“ სულ სხვა იყო, მაგრამ „ბურევესტნიკს“ თავისი ხიბლი ჰქონდა. „ბურევესტნიკში“ არ არსებობდა ძირითადი და რეზერვი, ის მოთამაშეები, რომლებიც სკამზე ისხდნენ და ყვიროდნენ, „მიდი, ილო, ჩააგდე“ ან „ვალერა, ესროლე“, ისეთივე მონაწილეობას იღებდნენ გუნდის გამარჯვებაში, როგორც მოედანზე მყოფნი. თუ თამაშის შემდეგ ვინმე სათადარიგო იტყოდა, რა თამაში მოვიგეთო, ეს ძირითად მოთამაშეს, თუნდაც 30 ქულა დაეგროვებინა, არ სწყინდა, იმიტომ, რომ სიმართლე იყო. ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის — ზუსტად „ბურევესტნიკს“ ეთქმოდა. „დინამო“ ვარსკვლავთა გუნდი იყო ყველა შესაბამისი ატრიბუტით. „დინამოში“ პასი თუმანი ღირსო, ხუმრობდნენ ბურევესტნიკელები. „ბურევესტნიკში“ კი ოღონდ ვინმეს თამაში წასვლოდა, მთელი გუნდი ეხმარებოდა.

ვალერი ლომაძე — 1962 წელს ალბერტ კაზანჯიანი და მე საბჭოთა კავშირის 25 საუკეთესოში მოვხვდით და „დინამოში“ გადაგვიყვანეს, სადაც 1965 წლამდე დავყავი. მაგრამ „დინამოში“ თამაში არ გამომივიდა, სახელები მთრგუნავდა. „ბურევესტნიკში“ სულ სხვა იყო, ლიდერი გახლდით, მაგრამ იქ წამყვანი კალათბურთელები სხვებზე გამორჩეულად არ მოქმედებდნენ, ყველანი ერთი ვიყავით და დავბრუნდი „ბურევესტნიკში“.

გივი ბიჭიაშვილი — ასეც ყოფილა: 60-იანი წლების ბოლოს გუნდები ერთმანეთს წყვილ-წყვილად ეთამაშებოდნენ. სტუმარ გუნდს თბილისში ოთხი მატჩი უნდა გაემართა, როგორც წესი, ჯერ „დინამოს“ ხვდებოდა, მერე — „ბურევესტნიკს“. ჩამოვიდოდა „სტროიტელი“ ან მოსკოვის „დინამო“ და მოუგებდა თბილისის „დინამოს“, მერე კი დინამოელთა ჯავრს „ბურევესტნიკი“ იყრიდა.

გიორგი ჯუღელი — ჩვენგან მიჰყავდათ საუკეთესო მოთამაშეები. რა თქმა უნდა, გული გვწყდებოდა, მაგრამ არასოდეს გვითქვამს, რატომ „დინამოს“ და არა ჩვენო. ვიცოდით, მას სხვა ამბიციები ჰქონდა, ქართული კალათბურთისთვის ძლიერი „დინამო“ საჭირო იყო. თუმცა პირად შეხვედრებში, ცხადია, გვინდოდა დაგვემარცხებინა და ჩვენი ძალა გვეჩვენებინა.

## სალაღობო გადახვევა

გიორგი ჯუღელი — კიევის არმიელებს ვეთამაშებით. ილო ლეჟავამ მეტოქის გადაცემა ჩაჭრა და ამასობაში „ხარაბუზა“ — რამაზ მანაგაძე კიეველთა ფართან გაიპარა. ვერ ყვირის, მოწინააღმდეგეები გაიგებენ და ჩუმად გმინავს, „მმმ“...მივედი და ილოს ვეუბნები, პასი მომეცი-მეთქი. ილო ვერ ხედავს მანაგაძეს, სანდროც უახლოვდება, მიეცი — ილოს არ ესმის. ცოტა ხანში გვერდით ხაზთან მთელი დარბაზი [illegible] „ხარაბუზა“, რას შვრება, კაცო, ვერ ხედავს, რომ თავისუფალი ვარ?“.



გივი ბიჭიაშვილი

## იგავი უფროს-უმცროსობაზე და კაცურ სიყვარულზე

გიორგი ჯუღელი — ვარჯიშზე ორმხრივი თამაში გვაქვს. ილო ლეჟავამ ხელში ჩამარტყა და უმისამართოდ შევაგინე. ილომ თავის თავზე მიიღო და მაგინებით მიპასუხა. ვერ მოვითმინე და დავარტყი, ილოს არც გაუგია, განაგრძობდა თამაშს. გავექანე და მეორედ დავარტყი. აუუ — იყვირა ლეჟავამ და ჩემსკენ ისეთი სახით წამოვიდა, ვიფიქრე, შემჭამს-მეთქი. ჩაერივნენ თანაგუნდელები და გაგვაშველეს. დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს, მაგრამ ჩხუბის დაწყების მიზეზი ხომ მაინც მე ვიყავი. ადგა კეკელიძე და ლეჟავა მოხსნა შეკრებიდან. რატომ ილო და არა მე? ილო ჩემზე უფროსი იყო და ძია მიშას აზრით, ვალდებული იყო, ეს ამბავი თავად მოეგვარებინა.

ორი წელი ხმას არ ვცემდით ერთმანეთს. თამაშის დროს, რა თქმა უნდა, ერთ ფერხულში ვიყავით ჩაბმულნი, მაგრამ მოედნის გარეთ უბრად ვიყავით. ორი წელი გავიდა და ერთხელაც სუფრასთან ვართ, თამადა სანდროა. წყვილ-წყვილად ადღეგრძელებს ყველას, იცის თავის საქმე და ილო და მე ბოლოსთვის მოგვიტოვა. ჩვენი რიგი რომ მოვიდა, კიდევ ხარ ნაწყენი? — მითხრა ილომ. გადავეხვიეთ ერთმანეთს და კაცურად ავტირდით. ორი წლის დაოკებულმა გრძნობებმა ერთბაშად იფეთქა.

## ვინ არ გავარდნილა, მაგრამ...

უცნაური ჩემპიონატი იყო 1972 წელს. გუნდები ოთხ-ოთხჯერ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი“ იმდენად აღემატებოდნენ სხვა გუნდებს, რომ სხვები ქულასაც ვერ ართმევდნენ და ამ ორ ლიდერთან 8-8 დამარცხება ეწერათ. სხვები კი იმდენად თანაბარი ძალისანი იყვნენ, რომ ამ „-8“-ს ვერაფერი მოუხერხეს და ერთმანეთს დაუწყეს ჯიჯგნა. მესამე ადგილზე გასულ კიევის არმიელებს წაგება მეტი ჰქონდათ, ვიდრე მოგება. ამ უცნაურ სეზონში გავარდა თბილისის „ბურევესტნიკი“. არადა, ცოტა წაღმა რომ დატრიალებულიყო 3-4 თამაში, შეიძლება, პრიზიორებშიც მოხვედრილიყო. გავარდა „ბურევესტნიკი“ და მის ოთხ წამყვან მოთამაშეს — ბიჭიაშვილს, ჩხიკვაძეს, პულავსკის და ძიძიგურს „დინამოში“ უკრეს თავი, სადაც კარგა ხანს ლიდერობდნენ. „ბურევესტნიკმა“ კი ასეთ სერიოზულ დანაკლისს ვერ გაუძლო და უმაღლეს ლიგაში ვეღარ დაბრუნდა. ვინ არ გავარდნილა, მაგრამ კალათბურთის გულშემატკივარს მოაკლდა ის განუმეორებელი დღესასწაული, რომელსაც თბილისის „ბურევესტნიკის“ თამაში ერქვა და ვერც ერთმა სხვა გუნდმა ვერ შეცვალა.

## ბოლოთქმა

იქნება კიდევ მსგავსი გუნდი? სამწუხაროდ, ალბათ, არა. ქალაქი ნელ-ნელა ცივდება, იკარგება ურთიერთპატივისცემის, ერთგულების, ულალატობის ტრადიციები. უფერულდება ნამდვილი, კაცური, უანგარო მეგობრობა და ცოტანი რჩებიან ისეთი ადამიანებიც, ძია მიშასავით უშურველ სითბოსა და სიკეთეს რომ დაატარებენ გულში. „ბურევესტნიკი“ ხომ სწორედ ამით იგებდა და არამარტო ზუსტი ტყორცნებით.

ილია მხეიძე

# ასროლინეთ გორანს ჩოგანი



სედრიკ პიოლინი

**ლონდონი. ინგლისი. „გარდიან დირექტ კაპი". ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 690 ათასი $**

ლონდონის „ბეთარსიი პარკში" სახელდახელოდ გამართულ კარავში მიმდინარე ტურნირის ორგანიზატორებს პირველი წრის ერთ-ერთი შემორჩენილი შეხვედრის შედეგი წმინდა პატრიოტულ გრძნობებს რომ თავი დავანებოთ, წმინდა ფინანსურ საკითხებშიც ვერ მოუტანდა დიდ შვებას — მაყურებელთა მთავარი სატყუარა, გასული კვირის ანტვერპენის ბოლოლა ტურნირის გამარჯვებული გრეგ რუზეცკი ასპარეზობას პირველივე წრეში გამოეთიშა. ინგლისის პირველ ჩოგანს „მუდმივად პერსპექტულმა" 26 წლის გერმანელმა მარკ-კევინ გელნერმა მოუგო 5:7, 7:5, 6:4. რუზეცკის, რომელსაც მატჩის განმავლობაში 33 ეისთან ერთად 16 ორმაგი შეცდომა დაუგროვდა, მეორე სეტში 2 მატჩ-პოინტიც ჰქონდა 5:4-ზე, მაგრამ შესაძლებლობები ქარს გაატანა და მარცხის ასახსნელად მთელი თავისი ფსიქოლოგიის ცოდნა არ დაიშურა: „ანტვერპენში გამარჯვებამ გონებრივად მეტად დამღალა. ტურნირის მოგების შემდეგ პირველი მატჩის მოგება ყოველთვის ყველაზე ძნელია". ევროგაერთიანების პირველობის ფინალი — რუზეცკი — როსე ინგლისში მეორე წრეშივე შეიძლებოდა განმეორებულიყო, მაგრამ შვეიცარიელმა ინგლისელ კოლეგას ხათრი არ გაუტეხა და ასპარეზობას თავადაც გამოეთიშა. მან ენდრიუ რიჩარდსონთან მატჩის მეორე სეტში შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და ზედიზედ ორი ტურნირის ფინალში ასპარეზობის შემდეგ დამსახურებული შვებულება აიღო.

**პირველი წრე: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 3:6, 6:3**

რუზეცკის და როსეს მეორე წრეში კიდევ ერთი ეისმენი, გორან ივანიშევიჩი მიჰყვა. ხორვატმა თავისი მთავარი იარაღი — მძლავრი მოწოდებები ვერაფრით აამუშავა და ერთ დროს ელიტის წევრ სამხრეთაფრიკელ უეინ ფერერას წინააღმდეგობის მაგვარი მატჩის ბოლოსღა გაუწია, თუმცა ნაგვიანევი გაბრძოლება საკმარისი აშკარად არ აღმოჩნდა 2:6, 4:6. კოლეგებისგან განსხვავებით, გორანი ორგანული თუ ფსიქიკური მიზეზების ძებნას არ შეუდგა და ყველაფერი ATP-ის სისტემას გადააბრალა, ცხელ გულზე ჩოგნის სროლისთვის ტყავს რომ არ მაძრობდნენ, შეიძლება ნაკლები შეცდომა მომსვლოდაო: „ჯარიმების სისტემა ისე სასტიკია, რომ ყველაფერზე აგაღებინებენ ხელს. ATP-ის იმდენ ფულს ვუხდი, ლამის მათ მთავარ სპონსორად ვიქეცი. ჩემი აზრით, ჩოგბურთელებს ემოციების გამომჟღავნება არ უნდა ეკრძალებოდეთ, მაყურებელი ხომ ორი რობოტის სანახავად არ მიდის კორტზე".

კიდევ ერთხელ გაუშვა ხელიდან კლასიფიკაციაში სამპრასის გადასწრების შანსი პეტერ კორდამ. ამჯერად ჩეხს გზაზე უიმბლდონის შარშანდელი ფინალისტი სედრიკ პიოლინი გადაეღობა. ფრანგმა, რომელმაც კორდასთან ავსტრალიის ღია პირველობის



გორან ივანიშევიჩი

მერვედფინალში წააგო, ამჯერად განსხვავებული ტაქტიკა აირჩია — ყველა შესაძლებლობაზე ბადესთან გარბოდა და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მილებისა და შემოვლების პატრონ ჩეხს მოულოდნელად იოლადაც აჯობა 6:3, 6:3. კორდამ მეტოქე ფრიად შეაქო — ასე კარგად არასოდეს უთამაშიაო, თავად კი პრაღაში მიმავალ პირველივე თვითმფრინავს გაჰყვა, რათა ქრონიკულად მტკივანი ზურგი ჩეხეთის ოლიმპიური ჰოკეის გუნდის ექიმის — პაველ კოლარისთვის ეჩვენებინა.

**მეორე წრე: პატრიკ რაფტერი — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 7:6 (8:6); კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — ფილიპ დევულფი (ბელგია) 6:4, 6:3; იან სიმერინკი (ჰოლანდია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 6:7 (4:7), 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4; ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 4:6, 6:3, 6:4; გელნერი — რიჩარდსონი 6:4, 6:7 (4:7), 7:5**

**ფილადელფია. აშშ. ადვანტას ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი 589 250 $**

ფილადელფიაში მიმდინარე ტურნირზე ჯერჯერობით ერთადერთი დიდი მოულოდნელობა მოხდა: მხრის ტრავმით გატანჯული მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ჯიმ კურიე, რომელიც აქ მეხუთედ იყო განთესილი, მეორე წრეში კანადელ წყვილების ოსტატ სებასტიან ლაროსთან დამარცხდა 6:7 (5:7), 5:7. კურიე, რომელსაც კლასიფიკაციაში 1989 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი — 41-ე ადგილი უჭირავს, მორიგი მარცხისგან ძველი უილსონის ჩოგნისგან ახალ — 6,1-ზე გადასვლამაც ვერ იხსნა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა — პიტ სამპრასმა, რომელიც ფილადელფიაში საუკეთესოთა ათეულის ერთადერთი წარმომადგენელია, მორიგ მეტოქეს, იტალიელ ანდრეა გაუდენცის ნერვების დიდი დაძაბვის გარეშე მოუგო 7:6 (8:6), 6:3 და პირველი ჩოგნობა ზედიზედ 99-ე კვირაშიც გაინაღდა.

**მეორე წრე: ტომი ჰაასი (გერმანია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 3:0 — ტრავმა; სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:2, 4:6, 7:6 (7:1); ჯეფ ტარანგო (აშშ) — ჯონათან სტარკი (აშშ) 6:2, 6:7 (4:7), 6:3; ტომას ენკვისტი (3, შვედეთი) — მარსელო კრაკა (გერმანია) 4:6, 7:6 (7:2), 6:2; რიჩი რენებერგი (აშშ) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 7:5**

**ლინცი. ავსტრია. გენერალის ქალთა პირველობა. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი $**

**მერვედფინალი: ივა მაიოლი (2, ხორვატია) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:1, 6:1; ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) — ალესანდრა ფუზაი (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:2; დომინიკ ვან რუსტი (4, ბელგია) — ადრიანა გერსი (ჩეხეთი) 2:6, 7:5, 7:6 (9:7); ლაიზა რეიმონდი (5, აშშ) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 7:6 (7:3); იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — ამელი მორეზმო (საფრანგეთი) 6:4, 6:2; ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:3, 6:4**

**ავთანდილ სვანიძე**

# აგასი დევისის თასს დაუბრუნდა

ანდრე აგასიმ თვის დასაწყისში ორი წლის განმავლობაში პირველი ტურნირის მოგებით, რომლის დროსაც საუკეთესო კლასიფიკაციის მქონე ორ ამერიკელ ჩოგბურთელს — პიტ სამპრასსა და მაიკლ ჩანგს სძლია, ტომ გალიქსონი, ეტყობა, საბოლოოდ დაარწმუნა საკუთარ ძალებში და აშშ-ის დევისის თასის ნაკრებში მიწვევაც დასტყუა. ანდრემ, რომელიც თასის მომპოვებელ გუნდში 1990, 92 და 95 წლებში შედიოდა, უკანასკნელად თავისი ქვეყნის სახელით შარშან, ჰოლანდიელების წინააღმდეგ მეოთხედფინალურ შეხვედრაში იასპარეზა და არცთუ ურიგოდ — ორივე პირად შეხვედრაში იმარჯვა. აღმავლობის გზაზე მდგარ ჩოგბურთელს, რომელიც ნოემბრის შემდეგ კლასიფიკაციაში 141-დან 49-ე ადგილამდე აღზევდა, დევისის თასზე 28 მატჩიდან 24 აქვს მოგებული, ამათგან ბოლო 15 ზედიზედ და 3-5 აპრილს რუსების წინააღმდეგაც თუ თავს გამოიდებს, ბილ ტილდენის ეროვნულ რეკორდს (17 მოგება) მოხსნით თუ არა, გამეორებით მაინც დაემუქრება. ანდრეს არც იმან უნდა დასწყვიტოს გული, რომ კაფელნიკოვს და კომპანიას ატლანტის „სთოუნ მაუნთინ პარკის" საჩოგბურთო ცენტრში შეერკინება, სწორედ იქ 1996 წელში ოლიმპიური ოქრო რომ მოიპოვა.

ტომ გალიქსონისგან განსხვავებით, რომელიც ეროვნულ გუნდში ბობოლა ჩოგბურთელებს ხან დაპირებებით იტყუებს და ხანაც მუქარით, აშშ-ის ფედერაციის თასის გუნდის კაპიტან ბილი ჯინ კინგს სხვა თავსატეხი აქვს — სათამაშოდ გამზადებული დიაცებიდან რომელი ერთი აირჩიოს. ბოლოს და ბოლოს კინგმა ერთი კანდიდატურა — ლინდსი დევენპორტი საბოლოოდ დაამტკიცა, მონიკა სელეშსა და ვინუს უილიამსს შორის კი უკეთეს ფორმაში მყოფს, ალბათ, ჰოლანდიელებთან შეხვედრის წინლა გამოარჩევს. ამერიკელებს ნარინჯისფრებთან ძველი ანგარიში აქვთ გასასწორებელი: შარშან 1996 წლის ჩემპიონები მეოთხედფინალში სწორედ ახლანდელ მეტოქეებთან დამარცხდნენ.



ანდრე აგასი





ექსპრეზიდენტ ვაჟა შუბლაძის ბოლო სიტყვა

# აურზაური სასახლის გამო

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაგრამ გურგენიძის ამ სვლამ ყრილობას ვერ უშველა. ავანსცენაზე ჩვენი ოლიმპიური გუნდის სახელოვანი წევრები გამოვიდნენ. ნანა იოსელიანმა აღნიშნა, რომ მწვრთნელს გუნდი ირჩევს, აზმაიფარაშვილზე კი ყველა წევრმა თქვა უარი, თუმცა მის საჭადრაკო კლასში ეჭვი არ გვეპარებაო. დაპირისპირება მოჭადრაკე ქალებსა და ვაჟებს შორის ჩვენი მოგონილი არ არისო, ვაჟებიდან მოდისო. ნანა ალექსანდრიამ, გამოსვლას არ ვაპირებდი, რადგან შუბლაძე ჩემი ნათესავია, კამათიც ბევრჯერ მომსვლია, მაგრამ იგი საუკეთესო ორგანიზატორია. ზურაბ აზმაიფარაშვილის არჩევით კი ჩვენი ჭადრაკი შეიძლება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდესო.

მომდევნო სვლა ვაჟებისა იყო. თამაზ გიორგაძემ უარყო, რომ რაიმე დაპირისპირებას აქვს ადგილი დიდოსტატ ვაჟებსა და ქალებს შორის და დაასახელა ორი მიზეზი, რომლის გამოც გაიხლიჩა იმ დღეს დარბაზი: ეს არის პრეზიდენტობის სხვადასხვა კანდიდატურა და ჭადრაკის სასახლის შესაძლო პრივატიზაცია, რისიც კატეგორიული წინააღმდეგი არიან ვაჟი დიდოსტატები.

აქ ტრიბუნაზე ავიდა ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკე მაია ლომინეიშვილი და თქვა, პრობლემა გაზვიადებულია, მადლობა პრეზიდენტს გაწეული სამსახურისთვის, მაგრამ ზურაბ აზმაიფარაშვილი გაცილებით ბევრს გააკეთებსო.

ამ გამოსვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ დაპირისპირება საერთოდ ქალ და ვაჟ მოჭადრაკეებს შორის კი არაა, არამედ საქართველოს ქალთა ოლიმპიურ ნაკრებსა და თითქმის დანარჩენ მოჭადრაკეებს შორის.

ყველა ჩვენი სასიქადულო ნონა გაფრინდაშვილის გამოსვლის მოლოდინშია. ნონამაც თავისი სახელგანთქმული თანაგუნდელების პოზიცია გაიზიარა. თან დამსწრენი გააფრთხილა, რომ მომავალში ქალ მოჭადრაკეთა წარმატებებიც სათუო შეიძლება გახდეს, რადგან სერიოზულ დაპირისპირებასთან გვაქვს ადგილიო.

საპასუხო სვლა ლაშა ჯანჯღავამ გააკეთა. არავითარი საშიშროება არ არის, ზურაბ აზმაიფარაშვილი სამართლიანი პიროვნებაა და ჩვენ მის კანდიდატურას მხარს რომ ვუჭერთ, ზნეობრივი პოზიციით გამოვდივართ და არა იმით, ვის რა ორგანიზატორული ნიჭი აქვსო.

სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. ერთი მხრივ, ჩვენი სიამაყე — ქალთა ეროვნული ნაკრები და მეორე მხრივ — დანარჩენები.

მეორე ცდა სიტუაციის განმუხტვისა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა გააკეთა. მან თქვა, რომ აზმაიფარაშვილი მოქმედი მოჭადრაკეა, ამდენ საქმეს ვერ გასწვდება, რადგან ტურნირებზე უნდა იაროს. ალბათ, მის უკან კიდევ ვინმე დგას, რადგან მისი აქ არყოფნის პერიოდში ჭადრაკში თავისი პოლიტიკის გატარებას ლამობს, ამიტომ დავფიქრდეთ და ისე გადავწყვიტოთ, როგორი პრეზიდენტი გვინდა.

ეჭვგარეშეა, დაპირისპირების საფუძველი უფრო ღრმა იყო და კულისებში შესვენებისას ვცადე საქმეში გარკვევა. აქ კი თქვეს, რომ ჩვენს მოჭადრაკე ქალებს პრეზიდენტთან ერთად ჭადრაკის სასახლის პრივატიზაცია სურთ, გასაგებია, ისინიც ფიქრობენ შემოსავლის წყაროზე, როცა თამაშს თავს დაანებებენ. მაგრამ მომავალმა თაობამ რა ჰქნას, იქნებ კიდევ მოდიან ახალი მსოფლიოს ჩემპიონები და მათ რატომ უნდა მოვუსპოთ ეს შესაძლებლობაო. აზმაიფარაშვილი კი პატიოსანი კაცია, იგი შემოსავალს არ დაუწყებს დევნას, მსოფლიოს ყველა წამყვან დიდოსტატს კარგად იცნობს, ფიდეშიც თავის წონა აქვს და ჭადრაკის განვითარებისთვის ის უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე სხვაო.

ვაჟა შუბლაძემ საბოლოო სიტყვით არ ისარგებლა და კიდევ ერთხელ დაამშვიდა აზმაიფარაშვილის მომხრენი, რომ თავის კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებს, რასაც ოლიმპიელი ქალები უკმაყოფილოდ შეხვდნენ. სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა პარტიის გადადება სცადა, იქნებ არჩევნები გადავიტანოთ, კარგად როცა მოვიფიქრებთ ყველაფერსო. მას პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე და განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რომან მიმინოშვილიც დაეთანხმნენ.

თამაზ გიორგაძემ კომპრომისული გადაწყვეტილება შესთავაზა, 45 წუთი შევისვენოთ, ცალკე შევხვდეთ 37-ე ოთახში და მერე გადავწყვიტოთ, როგორ განვაგრძოთ ყრილობაო.

## ენდშპილი

37-ე ოთახიდან დაბრუნების შემდეგ კახი ასათიანმა თქვა, არის ორი აზრი: დღესვე ჩატარდეს არჩევნები ან საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგო. ზურაბ აზმაიფარაშვილმა აღნიშნა, მეუბნებიან, რომ ჩემი პრეზიდენტობა ჩემს საჭადრაკო კარიერას ხელს შეუშლის, ორ კვირაში 38 წლის ვხდები, მსოფლიოს ჩემპიონები 38 წლისეში არ უნდა ვეძებოთ, ისინი 15-20 წლისებში შეიძლება აღმოვაჩინოთო, მე კარგა ხანია ერთ დონეზე ვთამაშობ, ვარ საჭადრაკო ელიტაში და ამ დონისთვის პრეზიდენტობა ხელს არ შემიშლის. ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მან ესა თუ ის გზა უნდა აირჩიოს, მე დღეს ეს მომენტი მაქვს. მჯერა, რომ ჩემი პრეზიდენტობით ბევრს გავაკეთებ და თუ არჩევნები გადაიტანეთ, გინდა ერთი თვით, გინდა ერთი დღით, მე ჩემს კანდიდატურას აღარ წამოვაყენებო.

კახი ასათიანმა ყრილობას მიანდო ამ საკითხის გადაწყვეტა. ყრილობამ არჩევნების ჩატარება დიდი უმრავლესობით გადაწყვიტა და ნონა გაფრინდაშვილმა, ნანა იოსელიანმა, ნანა ალექსანდრიამ და ნინო გურიელმა დარბაზი დატოვეს (მაია ჩიბურდანიძე ყრილობას საერთოდ არ დასწრებია).

არჩევნების შემდეგ ზურაბ აზმაიფარაშვილს პრეზიდენტოად არჩევა ვაჟა შუბლაძემ მიულოცა.

ახალმა პრეზიდენტმა კი თქვა: „რაც ამ დარბაზში მოხდა, ძალიან ცუდია. მე უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკე ქალებს და ჩვენი უთანხმოება, ჩემი აზრით, მხოლოდ ნაკლებადმნიშვნელოვან დეტალებშია. არჩევნებამდე მე უფლება მქონდა, მკაცრად გამოვსულიყავი აუდიტორიის წინაშე, არჩევნების შემდეგ კი ამის უფლება არა მაქვს. პრეზიდენტს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. მე ვგრძნობ ამას და საკუთარი თავმოყვარეობის შელახვის ფასადაც ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენს საჭადრაკო ოჯახში ერთიანობა აღდგეს. ალბათ, ბოლომდე არ გადავდგით ნაბიჯი ერთმანეთისკენ დაპირისპირებულმა მხარეებმა და ამ ნაბიჯს მე გადავდგამ. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ ქართული ჭადრაკის საკეთილდღეოდ და მჯერა, ეს ასეც იქნება."

ღმერთმა ქნას, ასეც იყოს, ჭადრაკშიღა გვაკლია განხეთქილება.

**გია აგლაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგულარული ჩემპიონატი

# ვისაც კარგი ჩეხი ჰყავსო

### მონრეალი 2:6 პიტსბურგი

**შაიბები: ლანგი 8 (0:1), ბარნსი 23 (0:2), პოპოვიჩი 2 (1:2), ტორნტონი 4 (2:2), იაგრი 26 (2:3), ბარნსი 24 (2:4), ფრენსისი 17 (2:5), იაგრი 27 (2:6)**

ჩეხეთის ნაკრების ლიდერმა, იარომირ იაგრმა, თავისი ქვეყანა რომ ესახელებინა, ოლიმპიადაზე თავი არ დაზოგა, მაგრამ მონრეალში დაღლა არც ეტყობოდა: თავად ხომ გაიტანა, თავის მუდმივ პარტნიორს რონ ფრენსისსაც უძღვნა საჩუქარი. მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა გაათანაბრეს ანგარიში და თითქოსდა ინიციატივაც იგდეს ხელთ, იაგრი საქმეს შეუდგა. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, ჩეხის სამეულმა გადაწყვიტა — მის ანგარიშზე 11 (5+6) ქულაა, სახელოვანმა რონ ფრენსისმა კი, რომლისთვისაც ეს სეზონი მე-17 გახლავთ, 4 (1+3) ქულა მიითვალა. იგი 1410 (420+990) ქულით ნჰლ-ის ისტორიაში მეათე ბომბარდირი გახდა.

**25 თებერვალი. ვანკუვერი — ანაჰაიმი 5:2, ფინიქსი — კოლორადო 2:4, ედმონტონი — ოტავა 5:2, დეტროიტი — ლოს ანჯელესი 1:1, ბუფალო — ტორონტო 2:2, ფლორიდა — ნიუ ჯერსი 2:3, ვაშინგტონი — ტამპა 3:4, აილენდერსი — დალასი 1:4**

**26 თებერვალი. სან ხოსე — სენტ ლუისი 3:1, ჩიკაგო — ლოს ანჯელესი 4:7, ბოსტონი — ბუფალო 1:1, ტამპა — ნიუ ჯერსი 1:4, ტორონტო — რეინჯერსი 2:5, კოლორადო — ფინიქსი 3:0**

ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორს, ჩეხ დომინიკ ჰაშეკს ბუფალოში დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ. მაყურებელს თითქოსდა დაავიწყდა, რომ სწორედ ამ მეკარემ გადაუღობა გზა აშშ-ისა და კანადის ნაკრებებს ოლიმპიური ოქროსკენ. თავად გოლკიპერი კი ემოციებითა და ხანგრძლივი მგზავრობით გადაღლილი იყო — ბუფალოში ჩასვლამდე იგი პრაღას ჩაფრინდა, სადაც თანამემამულეებმა ლამის ხელისგულზე ატარეს და ეროვნულ გმირად შერაცხეს. მიუხედავად ამისა, ტორონტოსთან მატჩში ჰაშეკმა მაინც მიიღო მონაწილეობა და კანადელი უორინერის შაიბამდე (ეს 39-ე წუთზე მოხდა) სულ ცოტა 6-ჯერ იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბუფალო ჯერ კიდევ მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე იგებდა, მაგრამ საბოლოო შტურმზე გადასულმა სტუმრებმა, კერძოდ, შნაიდერმა, ქულა გადაარჩინეს. ცხადია, ჰაშეკი ამ თამაშშიც უპირველეს ვარსკვლავად აღიარეს, მისმა ახალმა თანაკლუბელმა, ჯეფ სანდერსონმა (8) კი, რომელიც ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გადავიდა კლუბში, თავისი პირველი გოლი გაიტანა. მეორე დღეს ბუფალო ბოსტონში გაემგზავრა, ხოლო „დომინატორს", სრულიად დამსახურებულად, დასვენების უფლება მისცეს. მისმა შემცვლელმა სტივ შილდსმაც ივარგა და მისი წყალობით ბუფალომ გააგრძელა თავისი ხეირიანი 11-მატჩიანი სერია (5 მოგება და 6 ფრე). გამოსარჩევია ოლიმპიელი ალექსეი ჟიტნიკიც — სწორედ მისმა ზუსტმა დარტყმამ იხსნა „ხმლები" თამაშის ბოლო წუთზე, არადა, ოლიმპიადაზე რუსმა ვერაფრით გახსნა პირადი ანგარიში. შვედი სუპერვარსკვლავი პეტერ ფორსბერგი კი ერთ-ერთი ამ ჰოკეისტთაგანია, რომლებიც ნაგანოში მაინცდამაინც არ გადაღლილან, ამიტომაც ფინიქსთან ორდღიან დუელში კოლორადოელი თავდამსხმელი ერთობ კარგად გამოიყურებოდა და „ეველანშის" წარმატებაში ლომის წილიც დაიდო. პირველ მატჩში სტუმრებს თავიდან გაუჭირდათ და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერის, ტკაჩუკის მორიგი, 36-ე გოლის შემდეგ (სხვათა შორის, ტკაჩუკმაც მოასწრო დასვენება, რადგან აშშ-ის ნაკრების ღირსებას იცავდა) აგებდნენ კიდეც, მაგრამ ფორსბერგმა უმცირესობაში ფინიქსელებს შაიბა აართვა და მეკარესთან პირისპირ გასვლის შემდეგ იმარჯვა. ამან პარტნიორები გაამხნევა და დარჩენილ დროში მხოლოდ კოლორადოელები გამოირჩნენ. ფორსბერგმა ერთი შედეგიანი პასიც მიითვალა, ხოლო გადამწყვეტი გოლი გამოჯანმრთელებული ჯოუნსის გადაცემის შემდეგ გერმანელმა კრუპმა გაიტანა, რომელმაც ნაგანოში, ფაქტობრივად, ვერ მოასწრო თავისი ოსტატობის ჩვენება.

მეორე შეხვედრაშიც მხოლოდ „ეველანშს" გაჰქონდა გოლები. ისევ ფორსბერგმა გამოიჩინა თავი, რომელმაც პირველ შაიბაში მიიღო მონაწილეობა. მისმა კანადელმა თანაკლუბელმა, მეკარე პატრიკ რუამ კარიერაში მე-40 „შათაუტი" მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშებში კოლორადოელებს ნაგანოში ტრავმამიღებული ჯო საკიკი აკლდათ.

რუას შემცვლელმა ეროვნულ ნაკრებში, ნიუჯერსელმა მარტინ ბროდომ მწვრთნელთა ნებით ნაგანოში ვერც ერთი მატჩი ჩაატარა და არც შინ დაბრუნებისთანავე მოუწია ყინულზე გამოსვლამ, თუმცა „ეშმაკებმა" უმისოდაც სძლიეს მათივე სათამაშო სტილის მიმდევარ ფლორიდას. მატჩის განმავლობაში ნიუჯერსელები ორჯერ აგებდნენ, მეორე პერიოდის შუაგულში კი საგრძნობლად მოუმატეს და ვეტერან კარპენტერისა და პედერსონის შაიბების შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც. ბროდოს შემცვლელმა დანჰემმა 23 დარტყმა მოიგერია და ძირითადი მეკარის პრესტიჟი არ შელახა. მეორე დღეს კი ისევ ბროდო შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და აუტსაიდერ ტამპას ერთ გოლზე მეტი არ გაატანინა. მის თანაკლუბელთაგან განსაკუთრებით რობერტ ჰოლიკმა იაქტიურა, რომელსაც, სამწუხაროდ, ოლიმპიადაზე არ უთამაშია. ჩეხმა თავდამსხმელმა ორი შაიბა შეაგდო, აქედან ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ყურადღების ღირსია აშშ-ის ოლიმპიელთა კარგი თამაში. მათ, ეტყობა, სინდისი ქენჯნით, რადგან ნაგანოში ვერაფრით გაახარეს ქომაგები და შინ დაბრუნებულნი მათი გულის მოგებას ცდილობდნენ. თუმცა, დალასელი მაიკ მოდანო, პარტნიორებისგან განსხვავებით, ოლიმპიადაზეც კარგად გამოიყურებოდა და აილენდერსთან შეხვედრაშიც ლიდერობა იტვირთა. მისმა სამეულმა ორი გოლი მიითვალა, ხოლო თვით მოდანომ 2 (1+1) ქულა ჩაიწერა აქტივში. აღსანიშნავია, რომ „ვარსკვლავებმა" ანგარიში პირველივე წუთზე, რიცხვმრავლობაში გახსნეს, მას შემდეგ, რაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ერთადერთი ზუსტი ბულიტის ავტორმა რობერტ რაიჰელმა 22-ე წამზე წესი დაარღვია. თუმცა მალე მან ექს-ვანკუვერელ ტრევორ ლინდენის პასის შემდეგ გატანილი შაიბით გამოასწორა თავისი შეცდომა.

ლინდენის ყოფილი თანაგუნდელები კი, როგორც ჩანს, ოლიმპიადამდე აღებული ტემპის შენელებას სრულიადაც არ აპირებენ და ოთხშაბათს ანაჰაიმი სასტიკად დაამარცხეს. აღნიშვნის ღირსია, რომ „კენაქსის" რიგებში ყველაზე უკეთ ახალწვეულები გამოიყურებიან და ამ მატჩშიც საუკეთესონი იყვნენ. მათ არც ვეტერანი პიტერ ზეზელი ჩამორჩა და ერთი გოლითა და ორი პასით დაამტკიცა, რომ ნიუ ჯერსიში ამაოდ უპირებდნენ პენსიაზე გაშვებას. ვანკუვერმა ბოლო 6 მატჩიდან 5 მოიგო. რაც შეეხება ანაჰაიმს, მას ამ თამაშში პირველი სამეულის სამივე თავდამსხმელი აკლდა: პოლ კარიას გარდა, რომელმაც ვერც ოლიმპიადაზე ითამაშა, „იხვებს" ნაგანოს ერთ-ერთი გმირი, ტეემუ სელიანე არ ჰყავდათ, ამ ორს აილენდერსიდან გადაბირებული ტრევის გრანიც დაემატა.

ედმონტონის ამერიკელმა თავდამსხმელებმა — გერინმა და უეიტმა, რომლებსაც ოლიმპიადაზე არ მოუწიათ გვერდიგვერდ თამაშმა, ბოლო მატჩებში კვლავ გამოავლინეს ჩვეული ურთიერთგაგება (ორივემ 2 (1+1) ქულა მიითვალა). მათი გუნდის ოტავასთან გამარჯვება კი რიცხვმრავლობის კარგმა გამოყენებამ განაპირობა.

სენტლუისელთათვის მეორე პერიოდი საბედისწერო გამოდგა: მათ სანხოსელებისგან ორი გოლი მიიღეს და მეკარე გრანტ ფიორიც დაუშავდათ.

ტურის ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩიკაგოში გაიმართა. სლოვაკმა ოლიმპიელმა შტუმპელმა და მიურეიმ ორ-ორი შაიბა შეაგდეს.

უეინ გრეცკიმ, რომლის ყველაზე დიდი ოცნებაც — ოლიმპიური მედლის მოპოვება — ოცნებად დარჩა, მთელი ჯავრი ტორონტოზე იყარა და სამი ჩინებული პასით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**სამველ ლარიბიანი**

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

# ფიოდოროვის მესპრესმილიონები

ბოლო ერთი კვირა დეტროიტისა და კაროლინას ხელმძღვანელები „წითელფრთიანთა" მეამბოხე თავდამსხმელს სერგეი ფიოდოროვს ეცილებოდნენ ერთმანეთს. შეგახსენებთ: „კაროლინა ჰერიკეინსმა" ჰოკეისტს 6-წლიანი კონტრაქტი და 38 მილიონი დოლარი შესთავაზა და დეტროიტელები უფრო სარფიანი კონტრაქტით თუ მოიშორებდნენ თავიდან კონკურენტს, მაგრამ გუნდის გენერალურმა მენეჯერმა კენ ჰოლანდმა სხვა გზა ირჩია და ლიგის ხელმძღვანელებთან იჩივლა, აქაოდა, ფორვარდის ხელშეკრულება ნჰლ-ის კანონებს ეწინააღმდეგებაო. კონტრაქტი უკანონოდ ჩაითვალა და საქმე გასარჩევად საარბიტ-



სერგეი ფიოდოროვი

რაჟო კომისიას გადაეცა. ამის შემდეგ მოვლენები ელვისებურად განვითარდა: საარბიტრაჟო კომისიამ კაროლინას მხარე დაიჭირა და დეტროიტის თავკაცებსაც რაღა დარჩენოდათ — სუპერფორვარდის პირობებს დათანხმდნენ. პირობები კი ასეთია — ოთხი თვის განმავლობაში 28 მილიონი დოლარი (!!!). ასეთი რამ ნჰლ-ის არ ახსოვს. საქმე კი ის გახლავთ, რომ 2-მილიონიანი გასამრჯელოსა და 14-მილიონიანი პრემიების გარდა, კაროლინას მფლობელი პიტერ კარმანოსი ფიოდოროვს დამატებით 12 მილიონს დაპირდა, თუ „ქარიშხლები" პლეი-ოფის ნახევარფინალში გავლენ. სწორედ ხელშეკრულების ეს პუნქტი გახდა საგანგებო კომისიის მსჯელობის საგანი, რადგან დეტროიტისთვის ზედიზედ მეორედ ასეთი შედეგის ჩვენება გაცილებით იოლი საქმეა, ვიდრე სუსტი კაროლინასთვის. სასამართლომ კი ძლიერს უგანა, ასე რომ, კენ ჰოლანდს ზღაპრული თანხის გადახდა მოუწევს. მომდევნო ხუთ სეზონში ფიოდოროვი წელიწადში დაახლოებით 4,5 მილიონს მიიღებს.





# სკუდერია მინარდი

**დირექტორი** ჯანკარლო მინარდი
**ტექნიკური კოორდინატორი** გაბრიელ ტრადოცი
**დებიუტი ფორმულა 1-ში:** 1985, ბრაზილიის დიდი პრიზი
205 რბოლა, 27 ქულა
**შასი:** მინარდი 198; **ძრავი:** ფორდ-ცეტეკ R-V10
**საბურავები:** ბრიჯსტოუნი



მინარდის ახალი ბოლიდი

# ეს იჩანჩალებს

**სინჯი ნაკანო**
(იაპონია)



დაიბადა 1974 წლის 1 აპრილს ოსაკაში (იაპონია)
სიმაღლე 171 სმ, წონა 68 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი, „პროსტი"
17 რბოლა, 2 ქულა

**ესტებან ტუერო**
(არგენტინა)

19 წლის
ჩემპიონატის დებიუტანტი

ერთადერთი გუნდი, რომელმაც შარშან ქულა ვერ მოიპოვა, „მინარდი" გახლდათ. კარგა ხანია, იგი ოლიმპიური პრინციპით ხელმძღვანელობს — „მთავარია მონაწილეობა". თუმცა ეს საკუთარი სურვილით კი არა, ფინანსური მდგომარეობის გამო ხდება. ერთი წლის წინ გუნდის აქციათა ნაწილი ფლავიო ბრეატორემ შეიძინა და ჩვეული ენერგიით შეუდგა გუნდის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას. გასულ სეზონში „მინარდის" ამ მხრივ პრობლემა თითქოს არ ჰქონია.

წლევანდელი ტესტები კი გუნდმა იტალიაში, მუჯელოს ტრასაზე ჩაატარა და მისი ხელმძღვანელობაც კმაყოფილია ახალი ბოლიდით. შარშანდლისგან განსხვავებით, „მინარდი 198" უფრო ძლიერი ძრავით — „ფორდ-ცეტეკ R"-ით აღიჭურვა. თუმც ამ ძრავმა შარშან „სტიუარტის" პილოტები მთელი სეზონის განმავლობაში გააწამა. გუნდის შეფის აზრით, ახალი მოდელი საიმედო კონსტრუქციაა და ამიტომ წარმატების იმედიც აქვს. ტესტებზე ეს ბოლიდი ნაცრისფრად შეღებეს და თითქმის არ ჰქონდა სპონსორთა ემბლემები.

ძრავის გარდა, ცვლილებები განიცადეს კოკპიტმა, მოტორის განაკვეთში ჰაერის მიმწოდებელმა, შეკიდულობამ და სპოილერებმა, თუმცა კი გარეგნულად ახალი „მინარდი" მაინც წააგავს წინამორბედს.

ახალგაზრდა არგენტინელი პილოტი ესტებან ტუერო, რომელმაც გუნდს 3,75 მილიონი დოლარი მოუტანა, პირველი ტესტების შემდეგ კმაყოფილებას არ მალავდა: „ეს ბოლიდი ისეთი მოხერხებულია, თითქოს მთელი ცხოვრება ამ მანქანით ვასპარეზობდი". მოხერხებულობა ერთია და მანქანის შესაძლებლობები მეორე, რამდენად შეუძლია ამ კომპონენტის შეფასება 19 წლის ახალბედას, რომელიც პირველად მიუჯდა ასეთი სერიოზული სარბოლო ავტოს საჭეს, ძნელი სათქმელია.

გუნდის მეორე პილოტად, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, მინარდიმ იაპონელი სინჯი ნაკანო მიიწვია, რომელმაც შარშან „პროსტის" საჭესთან 17 რბოლა ჩაატარა და ორი ქულის მოპოვებაც შეძლო. ისე კი, დიდი სისწრაფითა და ტექნიკით თავი არ გამოუჩენია.

„რთული სადებიუტო სეზონის შემდეგ ნაკანოს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი ეძლევა. იგი ახალბედა აღარ გახლავთ და შეუძლია სტაბილურად ასპარეზობა, ამასთან, იაპონელ პილოტთა პროფესიონალიზმი სამაგალითოა" — თვლის გუნდის მფლობელი.

ცვლილებები მოხდა „მინარდის" ხელმძღვანელობაში: სპორტულ დირექტორად მიიწვიეს მიშელ ადრეანი, რომელიც 30 წლის განმავლობაში თავკაცობდა მონაკოს ავტოკლუბს. სეზონის განმავლობაში კონსტრუქტორთა ჯგუფის გაძლიერებასაც აპირებენ, რისთვისაც „ფერარიდან" გუსტავ ბრუნერის გადაბირებას ფიქრობენ. მისი გამოცდილება მართლაც მეტად საჭიროა გუნდის კრიზისიდან გამოსაყვანად.

წლეულს კი „მინარდი", ალბათ, კვლავ მაჩანჩალათა შორის აღმოჩნდება. გამოუცდელი არგენტინელისა და არაფრით გამორჩეული იაპონელის ამარა გუნდს გაუჭირდება ქულების მოპოვება.

**ალეკო ჩაგუკიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29